საქართველოს ... ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
5 თებერვალი **შაბათი** 2011
№028 (13325) ფასი 60 თეთრი

# საქართველო უკრაინით მსოფლიო წელს იწყებს



↳13



## ჯანომ

### ბურთი გაიტანა, მეტოქემაც ტაში დასცხო

↳3

## ვარსკვლავის ბედი

### ერთხელაც იქნება და შემოგძახებენ: იუდა



გაუტანს ტორესი ლივერპულს?

↳6



## კალაძემ

### გაძეტას ისეთი უთხრა, მილანში არ მოეწონებათ

↳4

● ინტერვიუ

# წაართვი მეტოქეს... დრო

## ირაკლი მაისურაძე: ჩვენს ფეხბურთს ბალახის ძალა აკლია



**რუსთავის "ოლიმპმა" თურქულ შეკრებაზე ჩვენთვის უცნობი ფეხბურთელი ირაკლი მაისურაძე დაიმატა. ცნობილი მხოლოდ ის იყო, რომ ირაკლი ბელარუსში თამაშობდა, საქართველოდან ადრეულ ასაკში წავიდა და მისი ფეხბურთი მხოლოდ ბავშვთა სპეციალისტებს ახსოვდათ. სწორედ ამის წყალობით დაბრუნდა საქართველოში: გაიხსენეს, "ოლიმპის" შეკრებაზე წაიყვანეს, სადაც მოულოდნელად თავი კარგად წარმოაჩინა და სამი ბურთი გაიტანა. შედეგად რუსთავულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.**
**მას "ვიტებსკში" კიევის "დინამოსა" და ბელარუსის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ალექსანდრ ხაცკევიჩი ავარჯიშებდა და ერთ-ერთ ინტერვიუში მან ასეთი რამ თქვა:** *"ჩემი აზრით, 20 წლის მაისურაძე ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელია. ვფიქრობ, ბელარუსში ბევრი ახალგაზრდა არაა მსგავსი სათამაშო ინტელექტის და ტექნიკის მფლობელი".*
**ვინ არის, როგორ მოხვდა რუსთავულ კლუბში და რა გადახდომია? ამის შესახებ "ოლიმპის" ახალწვეულის ინტერვიუდან შეიტყობთ.**

- 35-ე საფეხბურთო სკოლაში გავიზარდე და რამდენიმე მწვრთნელთან ვვარჯიშობდი. შემდეგ "ზესტაფონი 2"-ში ამიყვანეს, მაგრამ იქიდან მალე წამოვედი, 2008 წლის 1 აგვისტოს კი "მტზ-რიპოსთან" კონტრაქტი გავაფორმე. სამწუხაროდ, კლუბს ფინანსური პრობლემები შეექმნა. ეს ის დროა, როდესაც კლუბის მეპატრონე რომანოვი ლიტვაში, შოტლანდიასა და ბელარუსში თავისი გუნდების შენახვას ვერ ახერხებდა, უცხოეთში უხელფასოდ ჯდომა შეუძლებელი იყო და კონტრაქტი გავწყვიტე. 2009 წლის 24 თებერვალს კონტრაქტი "ვიტებსკთან" გავაფორმე და ერთი წელი ვითამაშე. სამწუხაროდ, 2010 წლის თებერვალში იქაურობის დატოვებაც მომიხდა.

**- რატომ?**

- დამაიმედეს, რომ ბევრად უკეთეს კლუბში გადამიყვანდნენ. კლუბთან 1+1 კონტრაქტი მაკავშირებდა, მაგრამ გაშვება ვთხოვე, აღარ გამიგრძელეს და გამიშვეს. თუმცა აღმოჩნდა, რომ შეპირებულ კლუბებში არავინ მელოდა და გასინჯვაზეც ვერ ჩავედი. ასე დავრჩი უგუნდოდ, "ვიტებსკთან" კონტრაქტი გაწყდა და სხვაგანაც ვერ გადავედი.

არადა, გასინჯვა ისეთ გუნდებში შემომთავაზეს, ბელარუსის შემდეგ გრანდებად ჩანდნენ: ნალჩიკის "სპარტაკი", "კრილია სოვეტოვი", სხვა გუნდებიც ახსენეს. ბელარუსის ჩემპიონატიდან რუსეთის პრემიერლიგაში ფეხბურთელებს ხშირად იწვევენ, ბევრს ტოვებენ და მეც იმედი მქონდა. მაგრამ გამოუცდელობის გამო შეცდომა დავუშვი.

**- 2010 წელს შენი გვარი არც ერთ ცნობარში არ იყო, არსად გითამაშია?**

- გასული წლის ბოლო თვეები მოსკოვის პირველობაზე ვთამაშობდი, მაგრამ იმ გუნდების სახელები არაფერს გეტყვით. ცხადია, ჩემს თამაშებზეც არაფერი გეცოდინებოდათ. ასეთ ტურნირში იმიტომ ვთამაშობდი, სულ რომ არ გავჩერებულიყავი, ფორმა შემენარჩუნებინა.

**- როდესაც მწვრთნელი თორნიკე მაისურაძე ფეხბურთელ მაისურაძეს იწვევს, ცხადია, ჩნდება კითხვა, ნათესავები ხომ არ ხართ?**

- არა, ნათესავები არ ვართ, თორნიკე 35-ე სკოლაში გავიცანი, სადაც ის და მამამისი, ზურაბ მაისურაძე ბავშვებს ავარჯიშებდნენ. ახლოს არც ვიცნობდი. უფრო კარგად გუბაზ დოლიძე მიცნობდა, რომელიც მაშინ 35-ე სკოლაში მუშაობდა. ასე რომ, ნათესაობა არაფერ შუაშია.

**- საქართველოში იმიტომ დაბრუნდი, რომ უგუნდობას ისევ აქ თამაში სჯობდა?**

- უცხოეთის ძლიერ გუნდში მოხვედრაზე ოცნებას, რა თქმა უნდა, აქ რეალური წინადადება და თამაში მერჩივნა. ზამთარშიც იყო შემოთავაზებები - რიგის "სკონტო", ბელარუსისა და სლოვაკეთის კლუბები გელოდებიან და თუ ნახვალო, მაგრამ ბელარუსში ისეთი გამოცდილება მივიღე, რეალური წინადადების გარდა, არაფრის გაგება არ მსურდა.

ამ დროს "ოლიმპში" გაიგეს, უგუნდოდ რომ ვიყავი და გასასინჯად მიმიწვიეს. რუსთაველებმა კონკრეტული წინადადება შემომთავაზეს. ცდას და ლოდინს აქ ვარჯიშიც სჯობდა. კონკრეტული და სტაბილური ვარიანტი ყოველთვის უკეთესია.

**- ბელარუსში თავიდან კარგად დაიწყე, მაგრამ შემდეგ იშვიათად ჩნდებოდი.**

- თავიდან მართლა ყველაფერი კარგად იყო, ჩემზე წერდნენ და თავს ურიგოდ არ ვგრძნობდი, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვა, იქ ვერ ავეწყვე. ერთი ხანობა დუბლებშიც ვთამაშობდი, რადგან ტრავმების გამო ბევრი გამიცდა.

**- როგორც ვიცით, შემტევი ნახევარმცველი ხარ.**

- ბევრ გუნდში არ ვყოფილვარ, მაგრამ "ზეტაფონი 2"-ში, "მტზ-რიპოში", "ვიტებსკში" ბევრ პოზიციაზე მითამაშია, მარცხენა თუ მარჯვენა ფლანგის ნახევარმცველად, ცენტრში საყრდენად და პლეიმეიკერად.

**- "ოლიმპში" რა პოზიციაზე გათამაშებენ?**

- რუსთაველებიც ყველგან მაკვირდებოდნენ, ფლანგზეც და ცენტრშიც. ეტყობა, მწვრთნელს სურდა გაეგო, სად უფრო სასარგებლო ვიქნებოდი და მიხარია, რომ ამიყვანა. თავიდანვე მკითხა, რომელ პოზიციაზე თამაშობ და ვუთხარი, ნახევარდაცვის ნებისმიერ პოზიციაზე-მეთქი.

**- ანთალიურ შეკრებაზე რას გვეტყვი?**

- საკმაოდ კარგ გუნდებს შევხვდით და, დარწმუნებული ვარ, ეს საკონტროლო მატჩები და მომზადება ძალიან წაგვადგება. მომეწონა "ოლიმპის" ფეხბურთი, გუნდი სწორად თამაშობს და, რაც მთავარია, ბიჭებში საბრძოლო განწყობაა. მაგალითს მოვიყვან: შვეიცარიულ "სერვეტთან" 1:2-ს ვაგებდით. საკონტროლო შეხვედრაა და წაგება ტრაგედია არ იქნებოდა, მაგრამ ბიჭებს მოგების იმხელა ჟინი და სურვილი აღმოაჩნდათ, მეორე ტაიმი ძალიან კარგად ვითამაშეთ და მოვიგეთ. შემდეგ მატჩებშიც ასე მოხდა. როცა გუნდი შეკრებაზე ასეთი მონდომებულია, მჯერა, ჩემპიონატსაც კარგად ჩაატარებს.

**- შვეიცარიელი ოლდრიხ შვაბის ვარჯიშებზე რას იტყვი?**

- მძიმე დატვირთვები გვქონდა, ისეთი, ბელარუსში რომ მინახავს, საქართველოში კი, მეეჭვება, რომელიმე გუნდი ასე ემზადებოდეს. მაგრამ არსებობს აზრიანი და უაზრო დატვირთვები, ჩვენ კი აზრიანად გვავარჯიშებდნენ. ზოგიერთი მწვრთნელი გუნდს იპოდრომზე ხუთ წრეს რომ არბენინებს, ამას დიდი სარგებლობა არ მოაქვს. შვაბი და მაისურაძე კი თურქეთში საინტერესოდ გვავარჯიშებდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად საათობით ვიტვირთებოდით, არ გამოვფიტულვართ და კარგი განწყობა გვქონდა. თითოეულ ვარჯიშს კონკრეტული დანიშნულება ჰქონდა. უმთავრესად, ყურადღება ერთი-ერთზე ორთაბრძოლებსა და პრესინგზე იყო გამახვილებული. მაისურაძე საინტერესო მწვრთნელი აღმოჩნდა, გვეუბნებოდა, პრესინგი იმიტომ გვჭირდება, მოწინააღმდეგეს საფიქრალი დრო არ უნდა დავუტოვოთო.

**- უცხოეთში წასული ფეხბურთელები ახალ კლუბებს და ლიგებს აქებენ. რეალურად ბელარუსის უმაღლესი ლიგა ჩვენზე უკეთესია?**

- "ოლიმპსა" და ბელარუსულ კლუბებს ვადარებ და, დამიჯერეთ, ბელარუსების საფეხბურთო ნიჭით ჩვენს მოთამაშეებს ვერ შეედრებიან. აქ ბევრად ნიჭიერი, ტექნიკური და აზრიანი ბიჭები არიან. მაგრამ მათ კარგი პირობები აქვთ, ფეხბურთელებს კარგად ზრდიან, ჩვენებს კი ასეთი პირობები არ გააჩნიათ და შესაძლებლობებს ვერ ავლენენ.

პირობების გარდა, ბელარუსში ძალიან კარგი მოედნებია და გაიზრდებიან, აბა, რა იქნება. ყველაზე ღარიბ გუნდებსაც ჩვენზე უკეთესი მოედნები აქვთ. არადა, მიკვირს, იქ ბევრად უფრო მძიმე კლიმატია, მაგრამ მოედნები ზამთარშიც კარგად გამოიყურება. ჩვენთან ბალახის მოვლა ბევრად უფრო ადვილია, მაგრამ მაინც არ გვივარგა. სულ მაინტერესებდა, რატომ? ალბათ, იქ სტადიონებს უკეთ უვლიან და მეტი დაინტერესებაა. არადა, გული მწყდება, ფეხბურთელს დიდ ხელფასზე მეტად კარგი მოედანი სჭირდება. ამიტომ არის, ძალიან ძნელია აქაურ სტადიონებზე სწრაფი ფეხბურთის თამაში.

**მერაბ მამულაშვილი**

● სამზადისი. სიონი

# წესით, ამათთან არ უნდა ვაგებდეთ

ბოლნისის „სიონმა" მეორე ეტაპის დაწყებამდე ბოლო სპარინგ-მატჩი ჩაატარა: **გიორგი ყიფშიძის** გუნდმა გუშინ „ავაზას" სტადიონზე აზერბაიჯანულ „ნეფთჩი ISM"-ს უმასპინძლა.

ვიდრე ამ საკონტროლო მატჩზე ვისაუბრებდეთ, იმასაც შეგახსენებთ, რომ „სიონმა" ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში გუშინდელ შეხვედრამდე რვა სპარინგი ჩაატარა და არც ერთში დამარცხებულა. ბოლნისური გუნდი სანამ შავიზღვისპირეთში გაემგზავრებოდა, „სპარტაკს" ფრედ (1:1) ეთამაშა, „ოლიმპს" 2:1 მოუგო, ხოლო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდთან უხვგოლიანი ფრით (3:3) დაამთავრა მატჩი. ამის მერე კლუბში გარკვეული საკადრო ცვლილებაც მოხდა: საკუთარი სურვილით „სიონის" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა **გიორგი ყიფიანმა** და ურეკში გუნდი უკვე გიორგი ყიფშიძის ხელმძღვანელობით გაემგზავრა. იქაურ შეკრებაზე ბოლნისელებმა 5 ამხანაგური მატჩი ჩაატარეს: „სამტრედიასთან" (3:0), „გურიასთან" (6:1), ფოთის „კოლხეთთან" (0:0), საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებთან (3:1), სომხურ „ულისთან" (2:2) და აი, ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე „სიონის" წაუგებელი სერია გუშინ შეწყდა; თანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლნისელთა მეტოქე აზერბაიჯანული „ნეფთჩი ISM" იყო, - თავისი ქვეყნის ჩემპიონატის... პირველ ლიგაში რომ ასპარეზობს. „ნეფთჩი ISM" ამჟამად მესამე ადგილზეა და პირველი ეტაპის შემდეგ 7-8 ქულით ჩამორჩება პირველ-მეორე ადგილებზე მყოფ „რავანსა" და „აფშერონს". სხვათა შორის, გუშინ ბოლნისელთა მეტოქის რიგებში სამმა ქართველმა ფეხბურთელმაც ითამაშა: **დავით შეყილაძემ, გიორგი ვაშაძემ** და **შალვა ფირცხალავამ**. შეყილაძე და ვაშაძე თავის დროზე საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გუნდის, ჭიათურის „მაღაროელში" თამაშობდნენ; აი, შალვა ფირცხალავამ კი გასული სეზონი „სამტრედიაში" ჩაატარა, 2010 წლის ზაფხულიდან კი აზერბაიჯანის ჩემპიონატს მიაშურა და უმაღლესი ლიგის გუნდ „თურანში" ჩაირიცხა. თუმცა, თოვუზელთა გუნდის მთავარ მწვრთნელად **რევაზ ძოძუაშვილის** დანიშვნის მერე, ფირცხალავას „თურანიდან"... წამოსვლამ მოუწია...

...აზერბაიჯანის პირველი ლიგის გუნდი ერთი კვირაა თბილისში იმყოფება და „ავაზას" მოედანზე ვარჯიშობს; გუშინ კი ბოლნისის „სიონს" ამხანაგურ მატჩში გაეჯიბრა და, ბევრისთვის მოულოდნელად, გაიმარჯვა კიდეც; მე-15 წუთი მიმდინარეობდა, ბაქოელთა გუნდის ფეხბურთელებმა მახვილგონივრული კომბინაცია ზუსტი დარტყმით რომ დაასრულეს. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე კი „სიონის" ახალგაზრდა ფორვარდმა **ვილი ისიანმა** შორეული დარტყმით წონასწორობა აღადგინა. მეორე ტაიმში ბაქოელთა უპირატესობა გამოიკვეთა, რაც, უმეტესწილად, უკეთესი ფიზიკური მომზადებითაც იყო განპირობებული; აქედან გამომდინარე, მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე „ნეფთჩი ISM"-ის მიერ გატანილი მეორე გოლიც სრულიად ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ. შეხვედრის საფინალო სასტვენამდე ანგარიში აღარ შეცვლილა და მატჩიც „ნეფთჩი ISM"-ის გამარჯვებით (2:1) დასრულდა.

მეორე ეტაპის დაწყებამდე ჩატარებულ უკანასკნელ სპარინგ-მატჩში „სიონმა" ასეთი შემადგენლობით ისასპარეზა: **ბობლიაშვილი-კობაური, ორბელაძე, თარგამაძე, ქორიძე-ლ. ნოზაძე, გოგობერიშვილი-ნ. კვასხვაძე, მ. ოქროპირიძე, სანიკიძე-ისიანი.** მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **რ. ჯიქია, კ. ჩხეტიანი, ლ. ჩხეტიანი, გ. მელქაძე, გ. რეხვიაშვილი, გ. ოქროპირიძე, ს. ადამაშვილი.** სხვადასხვა მიზეზის გამო ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ „სიონის" წამყვან ფეხბურთელებს: **გივი დიდავას, ირაკლი ჩირიკაშვილს, მირზა მერლანსა და ლაშა ვაშაკიძეს.**

„სიონისა" და „ნეფთჩი ISM"-ის საკონტროლო მატჩს ესწრებოდნენ საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს" პრეზიდენტი **კახა ჭუმბურიძე** და საქართველოს 19-წლამდელთანაკრების მთავარი მწვრთნელი **გიორგი დევდარიანი.** ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ მეორე ეტაპიდან „სიონის" დუბლშემადგენლობა საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს" დაქვემდებარებაში გადადის. კვირას, თემქაზე მდებარე „სიხარულის" სტადიონზე ამხანაგური მატჩი უნდა ჩატარდეს „ზოოვეტსა" და „სიონის" დუბლებს შორის. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ბოლნისელთა გუნდისთვის ეს ტესტმატჩი იქნება: „საბურთალოს" მწვრთნელები არაერთ ახალგაზრდა ახალწვეულს გასინჯავენ, რომელთაგან საუკეთესოებს „სიონის" დუბლშემადგენლობაში ჩარიცხავენ.

**გია ტუხაშვილი**

● სამზადისი. ზესტაფონი

# მამალაძემ ტრავმა და კონტრაქტი მიიღო

## თუ ზესტაფონმა კიევს მოუგო...

"ზესტაფონმა" "მარბელიას თასი" მძიმედ დაიწყო და მეოთხედფინალში პრაღის "სპარტასთან" განცდილი 0:5-ით ტურნირზე გამარჯვების შანსი დაკარგა, მაგრამ ესპანეთში კიდევ ორ მატჩს მაინც ჩაატარებს. უკვე გაცნობეთ, რომ **გია გეგუჩაძის** გუნდი მეხუთე ადგილისთვის იბრძოლებს და დღეს კიევის "დინამოს" შეხვდება. **იური სიომინსა** და მის ფეხბურთელებს ქართველები თბილისის დროით 21 საათიდან დაუპირისპირდებიან.

თუ "ზესტაფონმა" უკრაინული ბარიერის დაძლევა შეძლო, 8 თებერვალს მეხუთე ადგილისთვის მატჩს ჩაატარებს, თუ არადა, იმავე დღეს ბოლოსწინა, მეშვიდე საფეხურისთვის იბრძოლებს. "ზესტაფონის" მომავალი მეტოქე კი ან კრასნოდარის "ყუბანი" იქნება, ანაც - პლოვდივის "ლოკომოტივი".

"მარბელიას თასის" ნახევარფინალური წყვილები კი ასეთია: "პოლონია" (პოლონეთი) – "ზენიტი" (რუსეთი), "სპარტა" (ჩეხეთი) – "დნიპრო" (უკრაინა).

გუშინ გვიან საღამოს შევიტყვეთ, რომ მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო "ზესტაფონის" მეკარე **ზურაბ მამალაძემ,** რომელიც პრაღის "სპარტასთან" მატჩისას დაშავებულა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მას საფუძვლიან გამოკვლევას ჩაუტარებენ და ამის შემდეგ გაირკვევა, რამდენი ხნით მოუწევს იძულებითი უქმობა.

ესპანეთშივე გადაწყდა, რომ "ზესტაფონი" მამალაძეს ახალ, ორწლიან კონტრაქტს გაუფორმებს, მის კონკურენტ და იმერელთა ძირითად კიპერ **რონ კვასხვაძეს** კი სამწლიანს, ხოლო ნახევარმცველ **თორნიკე გორგიაშვილს** - ხუთწლიანს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სამზადისი. ვიტ ჯორჯია

# მეხუთე არ გამოვიდა

თურქეთში შეკრებაზე მყოფ "ვიტ ჯორჯიას" ბოლო ტესტმატჩი გუშინ უნდა ჩაეტარებინა ერთ-ერთ რუმინულ კლუბთან, მაგრამ უამინდობის გამო შეხვედრა ჩაიშალა. მეტი მატჩის გამართვას **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდი ველარ ასწრებს, რადგან "ვიტ ჯორჯია" საქართველოში დღეს ბრუნდება.

შეგახსენებთ, სიდეში ქართველებმა სულ ოთხი ამხანაგური მატჩი გამართეს – გერმანიის რეგიონალლიგელ "ჰალეშერთან" 0:2 დამარცხდნენ, აზერბაიჯანულ "აფშერონს" 2:1 მოუგეს, ავსტრიული "ადმირას" ახალგაზრდულ გუნდს 3:1 სძლიეს, გერმანული ობერლიგის ბინადარ "აუერბახს" კი 0:0 დაუზავდნენ. თურქეთში "ვეტერინარები" 23 ფეხბურთელით იყვნენ წასულები.

აქვე ის სპარინგებიც გავიხსენოთ, "ვიტ ჯორჯიამ" თურქეთში გამგზავრებამდე რომ ჩაატარა – სტუ-სთან 2:0, "ლოკომოტივთან" 2:0, "ზოოვეტთან" - 1:1.

13 თებერვალს, უმაღლესი ლიგის მეორე ეტაპის სასტარტო მატჩში "ვიტ ჯორჯია" სტუმრად რუსთავის "ოლიმპს" ეთამაშება. ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში გუნდი მეოთხე ადგილზეა და მესამეადგილოსან თბილისის "დინამოს" 13 ქულით ჩამორჩება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ბენდელას თასი

# ფინალისტები გამოვლინდნენ

აფხაზეთის ომში გმირულად დალუპული ფეხბურთელის, ზაზა ბენდელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე გუშინ ფინალისტები გამოვლინდნენ. შეგახსენებთ, რომ უკვე მეორე წელია, ტურნირი ორ ეტაპად ტარდება: დეკემბრის ბოლოს ამ ტრადიციულ გათამაშებას საფეხბურთო სკოლა „საბურთალო“ მასპინძლობს და სხვადასხვა გუნდის შემადგენლობებში უცხოეთში მოასპარეზე ქართველი ფეხბურთელებიც თამაშობენ. ასე, მაგალითად, 2010 წლის მიწურულს ჩატარებულ ტურნირზე არაერთი ცნობილი ლეგიონერი ვიხილეთ: **ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, დავით მუჯირი, გოგიტა გოგუა, დავით ოდიკაძე, გიორგი ნავალოვსკი, გოჩა ხოჯავა, ალექსანდრე ამისულაშვილი, დავით სირაძე**; ამას გარდა, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ასევე ტრადიციული ბავშვთა ტურნირებიც ტარდება. „ბენდელას თასის“, ასე ვთქვათ, მეორე ეტაპზე კი უკვე უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდები მონაწილეობენ და ისევე როგორც შარშან, მატჩების უმრავლესობას რუსთავი მასპინძლობდა. ოღონდ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ უმაღლესი ლიგის გუნდების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა წლევანდელ „ბენდელას თასზე“ დუბლშემადგენლობებით ასპარეზობს. მიზეზის „გამოცნობა“ კი ადვილია: იგივე, „დინამო“, „ზესტაფონი“ თუ „ვიტ ჯორჯია“ ძირითადი შემადგენლობებით ხომ ამ ეტაპზე უცხოურ შეკრებაზე იმყოფებიან. აქამდე დუბლშემადგენლობით ასპარეზობდა ცხინვალის „სპარტაკიც“, თუმცა ამის მიუხედავად გუნდმა ნახევარფინალამდე გააღწია და გუშინ „გაგრა-2“-ს დაუპირისპირდა. მოგეხსენებათ, რომ „გაგრა“ საქართველოს თასის ნახევარფინალშია გასული და ამას გარდა, პირველი ლიგის გათამაშების ერთ-ერთი ლიდერიცაა. მოკლედ, **ანატოლი პისკოვეცის** გუნდი სერიოზულად ემზადება ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპისათვის და ძირითადი შემადგენლობით ამჟამად ურეკში შეკრებაზე იმყოფება. აი, „გაგრას“ დუბლებს კი გუშინ უკვე „სპარტაკის“... ძირითადი შემადგენლობა დაუპირისპირდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრად უფრო გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „სპარტაკს“ გამარჯვება არ გასჭირვებია. იმის მიუხედავად, რომ ტრავმების გამო „სპარტაკის“ მთავარმა მწვრთნელმა **ბადრი კვარაცხელიამ** ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი (**თემურ შონია, ნუკრი მანჩხავა, ვლადიმერ უგრეხელიძე, მურმან ქურასბედიანი, ლევან ჭაფოძე, ილია ბუზალაძე**) მოისაკლისა, უმაღლესლიგელთა უპირატესობა ეჭვქვეშ ერთი წამითაც არ დამდგარა. განსაკუთრებით „მოინდომა“ თბილისის „დინამოდან“ გადმოყვანილმა ცენტრფორვარდმა **ზვიად მეტრეველმა**, ვინც ახალგაზრდული მეტოქის კარში სამი გოლი გაიტანა; თითოთითო გოლი „გაგრა 2“-ის კარში **ტიერი-ანს კლოვისმა** და 17 წლის **გიორგი ნარიმანიძემ** გაიტანეს. ნახევარფინალურ მატჩში „სპარტაკმა“ ასეთი შემადგენლობით იასპარეზა: **გრიშიკაშვილი (57. დაუშვილი)-სეფიაშვილი, ტეტუნაშვილი, ბოიომო (60. გ. ალავიძე), მამუჩიშვილი (70. ზერეკიძე)-ვ. კილასონია, (46. კაკაშვილი), მგელაძე (70. ხაჭვანი)-დეკანოიძე (65. მ. ჯიშკარიანი), ვ. ბოლქვაძე (57. ნარიმანიძე), მ. ბარაბაძე (46. კლოვისი)-მეტრეველი.**



ზვიად მეტრეველი

მეორე ნახევარფინალში კი ერთმანეთის პირისპირ „დინამოსა“ და „ზესტაფონის“ დუბლშემადგენლობები დაუპირისპირდნენ. პირველი წყვილის მსგავსად, ეს შეხვედრაც ერთ-ერთი გუნდის დომინირებით წარიმართა და **რამაზ მუმლაძის** გაწვრთნილმა „დინამოს“ დუბლებმა მეტოქის კარში 6 უპასუხო გოლის გატანა მოახერხა.

ამრიგად, „ბენდელას თასის“ ფინალურ მატჩში ერთმანეთს „სპარტაკის“ ძირითადი შემადგენლობა და „დინამოს“ დუბლები დაუპირისპირდებიან. გადამწყვეტი შეხვედრა რუსთავში, „ფოლადის“ სტადიონზე 15 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

**გია ტუხაშვილი**

● რეგიონი



# ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ...

## ჩვენი ფეხბურთის გრიპის წამალი ადგილობრივ ბიუჯეტშია

სტატია გულშემატკივრის გამოხმაურებამ განაპირობა. "ლელოს" გუშინდელ ნომერში "სამტრედიას" ყოფილი მთავარი მწვრთნელის, **გელა სანაიას** ინტერვიუ გამოქვეყნდა. მან კლუბში არსებულ პრობლემებზე ილაპარაკა და ასეთი რამაც თქვა: ფეხბურთელებთან ტაქტიკა-სტრატეგიაზე როგორ მესაუბრა, როდესაც მათთვის საჭმელი გულშემატკივრებს მოჰქონდათო.

ინტერვიუს სამტრედიელი გულშემატკივარი ფორუმზე გამოეხმაურა: *"მე, როგორც რიგით გულშემატკივარს, კითხვა მებადება: თუ სხვა რაიონისთვის შეიძლება ადგილობრივი ბიუჯეტიდან გუნდის დაფინანსდება, რატომ არის ეს აკრძალული სამტრედიისთვის? პირველ ლიგაში მოასპარეზე ჩვენი მეზობელი რაიონის გუნდს 125 000 ლარი ჩაურიცხეს, რატომ არ შეიძლება ამდენივეთი სამტრედიის გუნდიც დაფინანსდეს? ჩვენ უმაღლესში ვართ, ისინი კი პირველ ლიგაში, ჩვენ გვეუბნებიან, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება არ შეიძლებაო, იქ ეს შესაძლებელია. ჟურნალისტებო, გთხოვთ გაარკვიოთ, რატომ ხდება ასე? თუ ყველაფერი ზემოთ არის გადაწყვეტილი, რომ "სამტრედია" უმაღლეს ლიგაში უკვე ზედმეტია".*

კითხვა აქტუალურია და ზოგადად სისტემას ეხება, რომელიც ქართული ფეხბურთის აქილევსის ქუსლად არის ქცეული, თანაც აბსოლუტურად სამართლიანი კითხვაა, ერთ რაიონში რომ აფინანსებენ გუნდს (რაც საჭირო და აუცილებელია), იგივე რატომ იკრძალება მეორე რაიონში? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სამტრედიაც და ხონიც იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში შედის.

რა თქმა უნდა, ზოგადად, იდეალური ვარიანტი იქნებოდა, სახელმწიფო სტრუქტურა კლუბებს რომ არ აფინანსებდეს და მათ კერძო მეპატრონეები ჰყავდეთ. ასეა ინგლისში, გერმანიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, იტალიასა და ყველა განვითარებულ ქვეყანაში. საპირისპირო მაგალითი აღმოსავლეთ ევროპაშია, სადაც კლუბებს, უმთავრესად, სახელმწიფო აფინანსებს.

მაგრამ დასავლეთ ევროპაშიც აფინანსებენ კლუბებს ადგილობრივი მმართველობები, ანუ სახელმწიფო სტრუქტურები, თუმცა არც ისე ხელგაშლილად. მიზანი ყველა ქალაქში, დაბასა თუ სოფელში საფეხბურთო კლუბის შენარჩუნება და მოთამაშეთა გაზრდაა. საფრანგეთის მეოთხე ლიგის კლუბში მწვრთნელად მუშაობს **ვეფხია გვენცაძე**, რომლის თქმითაც, ამ მეოთხელიგელს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი 300 ათასი ევროთი აფინანსებს.

სახელმწიფოს მოსახლეობის წინაშე გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრია და ის აუცილებლად უნდა შეასრულოს. ერთ-ერთი ასეთი ვალდებულება სოციალური პროექტებია, ფეხბურთი კი იმდენად პოპულარული სახეობაა, სწორედ სოციალურ პროექტად უფრო მიიჩნევა, ვიდრე მხოლოდ სპორტულად. კრიმინალურ გარემოს, ნარკომანიასა და სხვა უბედურებებს ახალგაზრდობამ ამ სოციალურ პროექტებში მონაწილეობითაც შეიძლება დააღწიოს თავი.

საქართველო ძველი, მაგრამ თავიდან ასაშენებელი ქვეყნაა და, ცხადია, ბევრი მიმართულებით მიდგომები ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. იმერული ამბებიდან კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, ან სამტრედიის რაიონის მმართველებს არ უყვართ ფეხბურთი და ამიტომ არ აფინანსებენ, ან მათ კლუბის დაფინანსება აუკრძალეს.

კლუბის დაფინანსება რომ სურთ, ეს დანამდვილებით ვიცით, მაგრამ ვინ უკრძალავს და რატომ? ან უკრძალავს კი? ჩვენ ამ საქმეში სიმართლეს ვერ დავადგენთ, სისტემის ჩამოყალიბება კი მსგავს კითხვებს ავტომატურად მოხსნის. სახელმწიფომ უნდა დაადგინოს ყველასთვის სავალდებული წესი, ან ასე, ან ისე. მერე ყველა რაიონისა თუ სოფლის ბიუჯეტში საჭირო გახდება სოციალურ პროექტად მიჩნეული საფეხბურთო კლუბის დაფინანსება, ან ყველას ეცოდინება, რომ ასეთი გადაწყვეტილება აკრძალულია.

ჯერ ჩვენში კერძო ბიზნესი იმ დონეზე არ არის განვითარებული, ნამეტი თანხა ფეხბურთში დააბანდოს და თუ კლუბებს სახელმწიფო არ შეინახავს, ასე ფეხბურთი მოკვდება.

ალტერნატივაც არსებობს, მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდება: ორიოდე დღის წინ სამტრედიელმა გულშემატკივრებმა კლუბის დასახმარებლად საქველმოქმედო აქცია გამართეს, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ 11 ათასი ლარი შეაგროვეს, ეს კი, ცხადია, მეორე ეტაპზე კლუბის შესანახად არასაკმარისია. რუმინეთში კი კურიოზული ამბავი წლების წინ მოხდა: საყვარელი კლუბის დასახმარებლად ერთ-ერთმა ფერმერმა 12 ტონა ღორის ხორცი გაყიდა და დაბალი ლიგის კლუბს საკმაოდ სოლიდური თანხით შეეწია. ასეთ დახმარებაზე უარს სამტრედიაშიც არ იტყოდნენ, მაგრამ ღორის და ქათმის გრიპებმა საქონელი და ფრინველი გაწყვიტა, სისტემას კი ვერანაირი ვირუსი ვერ დაამარცხებს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

# ჯანოს გოლი ტაშიანი

**ჯანო ანანიძემ** დანიურ „ნორდსიელანდს“ ამხანაგურ მატჩში ისეთი გოლი გაუტანა, როგორც ჩვენი რუსი კოლეგები წერენ, ახალგაზრდა ქართველს თურმე მეტოქე გუნდის სათადარიგოებმაც კი ტაში დაუკრეს. შეხვედრაში, რომელიც რუსეთის „სახალხო გუნდმა“ დიდი ანგარიშით, 4:0 მოიგო, ანანიძე ძირითად შემადგენლობაში არ ყოფილა.

„სპარტაკის“ თავკაცმა **ვალერი კარპინმა** ჯანო მოედანზე პირველი ტაიმის შემდეგ, 46-ე წუთზე, **დრინჩიჩის** ნაცვლად შეუშვა. გოლი კი, რომელიც ანანიძის 40-მეტრიან სოლორეიდსა და „ნორდსიელანდის“ მცველის ეფექტურად გაბითურებას მოჰყვა, ქართველმა 72-ე წუთზე შეაგდო და ანგარიში 4:0 გახადა. მატჩი ესპანურ ლა მანგაში გაიმართა, სადაც „სპარტაკი“ მოსამზადებელ შეკრებაზეა. მოსკოველები მომდევნო ტესტმატჩს ბუქარესტის „რაპიდთან“ 7 თებერვალს ითამაშებენ.




**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

### ინტერვიუ უცხოურ პრესაში

6 თებერვალს სერია A-ში "ჯენოა"-"მილანია". გენუაში ტურის ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი გაიმართება, ქართველი გულშემატკივრისთვის კი ეს შეხვედრა განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს. ერთმანეთს ხომ კახა კალაძის ყოფილი და ამჟამინდელი გუნდები ხვდებიან. საბედნიეროდ, ჩვენმა კაპიტანმა რთული პერიოდი დაძლია, ტრავმაც მოიშუშა და ფორმაც აღიდგინა, რასაც რამდენიმე დღის წინ გატანილი გოლი და მაღალი შეფასებაც მოწმობს.

მოახლოებული მატჩის გამო კალაძის პერსონით "გაძეტა დელო სპორტი" დაინტერესდა და მას ინტერვიუ ჩამოართვა, საიდანაც ყველაზე ყურადსაღები ერთი ფრაზაა, რომელიც "გაძეტამ" სათაურად გამოიტანა:

# მილანში მწვრთნელი ბევრს არაფერს წყვეტს



**- როგორც ჩანს, ცუდი დროება უკან მოიტოვეთ.**

- ბოლო პერიოდში ბევრი უსიამოვნება შემხვდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერს გავუმკლავდი. ტრავმას ოპერაცია მოჰყვა, ოპერაციას კი ის დრო, რომელიც ფორმის აღსადგენად დამჭირდა. მიხარია, რომ "ჯენოას" სახით ის ადგილი აღმოვაჩინე, სადაც თავი კვლავ ბედნიერად ვიგრძენი. აქ დამხვდა ის ხალხი, რომელიც ჩემს პრობლემებს გაგებით მოეკიდა, სრული ნდობა გამომიცხადა და ძველი კონდიციების დაბრუნებაში დამეხმარა. ამ სიკეთეს ვერასოდეს დავივიწყებ, "ჯენოას" მადლობას მოედანზე ბოლომდე დახარჯვით გადავუხდი.

**- უახლოესი მატჩი მილანელი მეგობრების წინააღმდეგ გელით.**

- ეს მართლაც არ იქნება სასიამოვნო მომენტი, მაგრამ თამაშისას მეგობრობას ყველა ვივიწყებთ და მინდორზე მთელი ძალით ვიბრძვით.

**- "მილანში" თქვენი პოზიციები ლეონარდოსა და ალეგრის მწვრთნელობისას შესუსტდა. ხომ არ გინდათ, მათ საჯაროდ რამე უთხრათ?**

- არა, რადგან „მილანში" მწვრთნელი ბევრს არაფერს წყვეტს. ლეონარდოს წინსვლასა და დიდ გამარჯვებებს ვუსურვებ ყველგან, სადაც იმუშავებს.

**- თუ მწვრთნელმა არა, აბა, ვინ გადაწყვიტა თქვენი "მილანიდან" გაშვება?**

- ამაზე ზუსტი პასუხის გაცემა გამიჭირდება, "მილანი" კი ყოველთვის ჩემს გულში დარჩება და მისი დიდი გულშემატკივარი ვიქნები.

**- ბოლო დროს პრესა კარგი თვალით გიყურებთ, ამბობენ, რომ თქვენი წყალობით "ჯენოას" დაცვა კედელივით დგას.**

- რაღა დაგიმალოთ და, ძალიან მსიამოვნებს ასეთი აზრის მოსმენა. არადა, ბევრს ეგონა, რომ "ჯენოას" არაფერში გამოვადგებოდი. ფეხბურთშიც და ცხოვრებაშიც ყოველთვის ასი პროცენტით ვიხარჯები და სწორედ ამის წყალობით დავამტკიცე, რომ გენუაშიც შემიძლია მაღალ დონეზე თამაში.

**- შეძლებს "ჯენოას" ნაქები დაცვა "მილანთან" გამკლავებას?**

- ამის დიდი იმედი მაქვს. ჩვენ ხომ ისეთი ძლიერი მცველები გვყავს, როგორებიც დაინელი, კრიშიტო და მორეტი არიან. თუმცა, რაღა თქმა უნდა, "მილანს" უძლიერესი შემტევები ჰყავს – იბრაჰიმოვიჩი, პატო, რობინიო... იბრა დღეს შეუდარებელია, მაგრამ მის განეიტრალებას შევეცდები. "ჯენოას" ნამდვილად შესწევს იმის ძალა, რომ "მილანის" დონის გუნდებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს.

**- დაცვისგან განსხვავებით, ცუდი დროება უდგას მეკარე ედუარდოს.**

- იგი დიდებული მეკარეა და მჯერა, ისევ ძველებურად ათამაშდება. მეკარეებსა და მცველებს განსაკუთრებული ტვირთის ზიდვა გვიწევს – ჩვენი შეცდომები ყველაზე მკაფიოდ ჩანს. ედუარდო ძლიერი პიროვნებაა და მალე ყველა მასზე ილაპარაკებს, ოღონდ უკვე დადებით კონტექსტში.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

### ეროვნული ნაკრები. სომხეთთან მატჩის წინ

# სომხებთან, ალბათ, უგურულოდ



სანდრო გურული

ესპანეთში შეკრებაზე მყოფმა ლვოვის "კარპატიმ" "კოპა დელ სოლის" ნახევარფინალში ნორვეგიულ "ოლესუნდთან" 1:1 ითამაშა, პენალტების სერიაში კი 7:6 აჯობა. ეს ინფორმაცია, ბუნებრივია, ქართველი მკითხველისთვის დიდად საინტერესო არ უნდა იყოს, სამაგიეროდ, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ამ მატჩში "კარპატისა" და საქართველოს ნაკრების შემტევმა **სანდრო გურულმა** ტრავმა მიიღო. იგი უკრაინელთა ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-60 წუთზე იძულებით შეცვალეს.

როგორც შეხვედრის შემდეგ "კარპატის" მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ კონონოვმა** განაცხადა, გურულს ბარძაყის კუნთი აქვს დაზიანებული. ინტერნეტში სანდროს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მეტი ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ. საქართველო-სომხეთის ამხანაგური შეხვედრა კარსაა მომდგარი. რა თქმა უნდა, სანაკრებო მატჩების წინ ჩვენი ლეგიონერების ამბებით განსაკუთრებით ვინტერესდებით და ამიტომაც იმის გარკვევა ვცადეთ, მოასწრებს თუ არა გურული 9 თებერვლის თამაშისთვის მომჯობინებას და საქართველოს ეროვნული ნაკრების კვიპროსულ შეკრებაზე ჩასვლას.

თავად სანდროსთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, მამამისმა, **გია გურულმა** კი გვითხრა, რომ მისი სომხეთთან თამაშის ალბათობა მცირეა: *"ეს ორი დღეა, სანდრო ექიმებთან პროცედურებზე დადის. ტრავმა სერიოზული ნამდვილად არ არის, მაგრამ საკითხავია, მისცემს თუ არა მოედანზე სწრაფად დაბრუნების შესაძლებლობას. ექიმებისგან სანდროს საბოლოო პასუხი ჯერ არ მიუღია. ნაკრებში თამაში ძალიან უნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ახლა ეს ვერ მოხერხდება. სავარაუდოდ, სომხეთთან მატჩი გაუცდება".*

გურულის კვიპროსზე ჩასვლა-ჩაუსვლელობის საკითხი ალბათ, დღეისთვის გაირკვევა და იმასაც გავიგებთ, მისი დაკლების შემთხვევაში **თემურ ქეცბაია** სანაცვლოდ ვინმეს თუ გამოიძახებს. ჩვენი ქვეყნის მთავარი საფეხბურთო გუნდი ლიმასოლში სრულად ზეგისთვის შეიკრიბება.

გურული საქართველოს ნაკრებისთვის პატარა დანაკლისი არ უნდა იყოს. სლოვენიასთან მაღალ დონეზე ჩატარებულმა სადებიუტო მატჩმა და გატანილმა გოლმა დაგვარწმუნა, რომ მას ქეცბაიას გუნდისთვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### სავარაუდო ტრანსფერი

# კლიმიაშვილი: ანჟი თუ ოლიმპი?

## რუსთაველები ხმალაძეს არ ადასტურებენ



მახაჩყალის "ანჟიში" ხუთი ქართველი ვარჯიშობს და ამაზე "ლელო" უკვე წერდა. თურქეთში კლუბმა მორიგი საკონტროლო მატჩი ჩერნოგორიის "ზეტასთან" გამართა და 1:0 გაიმარჯვა. ერთადერთი გოლი 18 წლის ქართველმა თავდამსხმელმა **გიორგი ილურიძემ** 75-ე წუთზე გაიტანა – ის მეტოქის საჯარიმოში მცველს გასცდა და ზუსტად დაარტყა.

ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ მეკარე ნუკრი რევიშვილმა ითამაშა, ილურიძე და გასინჯვაზე მყოფი **ირაკლი კლიმიაშვილი** და **გიორგი ჩელებაძე,** მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდნენ. ეს უკანასკნელი 70-ე წუთზე შეცვალეს.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო კლიმიაშვილის ამბავი გამოდგა. ბოლო ცნობით, თუ ირაკლი "ანჟიში" არ დარჩება, მას რუსთავის "ოლიმპი" დაიმატებს. გუშინ რუსთაველთა ხელმძღვანელებმა კლიმიაშვილისადმი ინტერესი დაგვიდასტურეს, მაგრამ ისიც დასძინეს, ჯერ საკითხი ბოლომდე არ გარკვეულაო.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს "ოლიმპში" გააგრძელებს კარიერას თბილისის "დინამოს" ყოფილი კაპიტანი **ლევან ხმალაძე**, მაგრამ რუსთავულ კლუბში ეს არ დაგვიდასტურეს. 24 წლის ფეხბურთელი იანვარში ლუგანსკის "ზარიაში" ისინჯებოდა, მაგრამ, უკრაინელთა ინფორმაციით, ტრავმის გამო შეკრება დატოვა.

**მერაბ მამულაშვილი**

### ლეგიონერები

# საჯაიასა და არზიანის შანსი დვალიშვილისაც იყო

ჰაიფას "მაქაბიში" სინჯებზე მყოფებმა **ედიკ საჯაიამ** და **ზურაბ არზიანმა** ებრაული კლუბი უკვე დატოვეს. იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართა სინჯები და რა ვითარებაში აკვირდებოდნენ მათ გუნდის თავკაცი **ელიშა ლევი** და მისი ქართველი ასისტენტი **გიორგი დარასელია**, "მაქაბის" ფორვარდ **ლადო დვალიშვილს** დავეკითხეთ.

*"ყოველთვის მინდოდა, რომ "მაქაბიში" ჩემ გარდა სხვა ქართველებსაც ეთამაშათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა. თავიდან თითქოს ისე ჩანდა, რომ მათ ამის კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ ეს ტრანსფერები ვერ განხორციელდა. საჯაიამ და არზიანმა რამდენიმე ვარჯიში ჩაატარეს და მხოლოდ ერთ საკონტროლო მატჩში მიიღეს მონაწილეობა. ეს შეხვედრა "მაქაბიმ" ისრაელის ქვედა ლიგის ერთ-ერთ გუნდთან ჩაატარა, ეს თამაში ჩვენმა მწვრთნელებმა საგანგებოდ ქართველ და გასინჯვაზე მყოფ სხვა ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად მოაწყვეს. "მაქაბის" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთა უმეტესობას არ უთამაშია, მოედანზე არც მე ვყოფილვარ"*, - გვითხრა ლადომ.

შეგახსენებთ, საჯაიამ რუსეთის პრემიერლიგაში აღზევებული ნიჟნი ნივგოროდის "ვოლგა" დატოვა, ხოლო არზიანი ბოლოს მახაჩყალის "ანჟიში" თამაშობდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ლობჟანიძის ორი კვირა და ძირითადი იმედი

**უჩა ლობჟანიძე** დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" ესპანურ შეკრებაზე ახლავს. საქართველოს ნაკრების მცველმა იანვარში მუცლის კუნთის ოპერაცია გაიკეთა და ახლა რეაბილიტაციის კურსს გადის. მას ესპანეთში დავუკავშირდით.

*"საზარდული მქონდა საოპერაციო და ამის გამო მუცლის კუნთი მტკიოდა. გამიკეთეს ოპერაცია, რომელმაც კარგად ჩაიარა, ახლა უკეთ ვარ, მოვმჯობინდი, ესპანეთში ვვარჯიშობ კიდეც, მაგრამ ჯერ სრული დატვირთვით ვერა. მსუბუქი ვარჯიშები დამინიშნეს. თუ ყველაფერი კარგად იქნება, ორ კვირაში გუნდს შევუერთდები"*, - ამბობს ლობჟანიძე.



"დნიპროში" ესპანელი მწვრთნელი **ხუანდე რამოსი** პირველი ეტაპის ბოლოს დანიშნეს. ამის შემდეგ საქართველოს ნაკრების მცველმა რამდენიმე შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე გაატარა. თუმცა ლობჟანიძე ძირითადში მოხვედრას იმედოვნებს.

*"ხუანდე რამოსი ცნობილი მწვრთნელია. პირადად მასთან არ მილაპარაკია, მაგრამ საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა გვაქვს, საკეთებელს კი ყველას ერთად გვიხსნის. რა იქნება, მომავალი გვაჩვენებს, მე მაინც იმედი მაქვს, რომ ძირითადში თამაშს დავიმსახურებ".*

ლობჟანიძეს უკრაინის 18-წლამდელთა ნაკრების წევრ **ევგენი ბოხაშვილზეც** ვკითხეთ, რომელიც იქაურ დუბლშემადგენლობათა ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირია. დნეპროპეტროვსკელებმა 17 წლის თავდამსხმელი ესპანურ შეკრებაზე წაიყვანეს.

*"ბოხაშვილი ესპანეთში ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს. ქართული არც იცის, თუ არ ვცდები, უკრაინაშია გაზრდილი, კარგი ბიჭია, 17 წლის თავდამსხმელს "დნიპრო" შეკრებაზე ტყუილად არ წამოიყვანდა".*

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფლიქტური ტრანსფერი

# ამბავი კლიენტის მოპარვისა

„ბლექპულის" მწვრთნელი **იან ჰოლოუეი** თითს აგენტებისკენ იშვერს - ჩვენი გუნდის კაპიტნის, **ჩარლი ადამის** „ტოტენჰემ ჰოთსპურში" გადასვლა მათი ჩაფლავებულია, ზოგ მათგანს საქმეში არალეგალური ჩარევა მოუნდაო. შეგახსენებთ, რომ ეგრეთ წოდებული სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს, მას მერე, რაც გაირკვა, რომ ადამის „ლივერპულში" გადასვლა გამოირიცხა, გამოჩნდა „ტოტენჰემ ჰოთსპურის" ვარიანტი, მაგრამ საბოლოოდ არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე - მეორე დღეს ამბობდნენ „ბლექპულში" საბუთების გაფორმება 2 წუთით დაიგვიანეს და ტრანსფერი ამიტომ ჩაიშალაო, თუმცა ფეხბურთელის აგენტმა სხვა ვარიანტიც თქვა - ეგ ტრანსფერი იმთავითვე განწირული იყო, რადგან დრო ცოტა რჩებოდა, „სფურზთან" ხელფასის საკითხებიც კი არ გვქონდა შეთანხმებულიო.

ახლა, მოდი, მესამე ვარიანტი ვნახოთ. ეს უკვე ჰოლოუეის მონაყოლია. მწვრთნელი ხელს სააგენტო „ომნის" წარმომადგენელ **ჯეიმს ფიზერსტოუნისკენ** იშვერს. ეს ფიზერსტოუნი „ბლუმფილდ როუდზე" **ჯეიმს ბიტის** „რეინჯერსიდან" „ბლექპულში" გადასაყვანად ყოფილა მიბრძანებული და თავის საქმეს რომ მორჩენილა, დერეფანში ადამი დაუნახავს და უკითხავს, ამას რაღა გასჭირვებიაო - შეგახსენებთ, რომ ადამიც „რეინჯერსის" ყოფილი ფეხბურთელია. მოკლედ, როგორც ჩანს, ყველა ყველას იცნობდა.

ჰოლოუეი: *„ჩარლი სტადიონის ტერიტორიაზე დაყიალებდა. იქვე ტრიალებდა ბიტის საქმით დაკავებული აგენტი ფიზერსტოუნიც. როგორც ჩანს, სწორედ იქ გამოართვა მან ჩარლის ტელეფონის ნომერი და „ტოტენჰემში" გადარეკა, რათა დაედგინა, რამდენს გადაუხდიდნენ ფეხბურთელს, თუკი ის „უაით ჰართ ლეინზე" გადავიდოდა. ამის შემდეგ ჩარლი ჩემთან შემოვიდა. ვკითხე, რა ხდება მეთქი და სწორედ მაშინ დარეკა მისმა ტელეფონმა. ეს უკვე ადამის აგენტი იყო. ჩარლიმ ყურმილი მე გადმომცა და დაახლოებით ასეთი ტექსტი მოვისმინე: რომელი ხართ? ჩემს კლიენტს არალეგალურად უკეთებთ საქმეებს? თქვენ ხომ არც მისი აგენტი ხართ და არც „ტოტენჰემის" წარმომადგენელი, მაშ, ღვთის გულისათვის, რა გესაქმებათ ჩარლი ადამთან და მის ტრანსფერთან? რას აკეთებთ მანდ ვილაც ხართ?*

*მოკლედ, სურათი ასეთი გახლდათ - ჩემი გუნდის კაპიტნის გარშემო ზვიგენები დაცურავდნენ და მისგან ლუკმის მოკბეჩას ცდილობდნენ".*

შეგახსენებთ, რომ ზვიგენი, რომელიც ჩარლი ადამის ოფიციალურ აგენტად მუშაობს, „ევერტონის" მწვრთნელის **დევიდ მოიესის** ძმა **კენი მოიესი** გახლავთ.

ერთი სიტყვით, ადამის „სფურზში" გადასვლის საქმიდან ალარაფერი გამოვიდა, რადგან როდესაც მხარეებმა გაარკვიეს, ვინ ვინ იყო და გადაწყვიტეს, საქმეს შესდგომოდნენ, თერთმეტს უკვე 20 წუთი აკლდა, ასეთ მოკლე დროში კი ტრანსფერები არ ესწრება.

თავისი კოლეგის ჯეიმს ფიზერსტოუნის მხარდასაჭერად კი ხმა სააგენტო „ომნის" სხვა აგენტმა **მაიკ მორისმა** აიმაღლა. მან თქვა:

*„ჩემი კოლეგა „ბლექპულის" მწვრთნელთან იყო ოფისში და რომ დაინახა, ჩარლი ადამის „ტოტენჰემში" გადასვლის საქმე არ გამოდიოდა, დახმარება გადაწყვიტა. რა არის ამაში კანონსაწინააღმდეგო ან უსამართლო? რამდენადაც ვიცი, არც იანი სდებს ჯეიმსს რამეში ბრალს და სანამ ასეა, მასთან არანაირი პრობლემა არ გვექნება".*

სხვათა შორის, ჰოლოუეიმ, რომლის გუნდი დღეს სწორედ კენი მოიესის ძმის, დევიდის „ევერტონს" ხვდება, ადამისა და „ლივერპულის" ჩაშლილი საქმის შესახებაც ილაპარაკა, თუმცა მანამდე კენი მოიესს მისდგა:

*„მგონი, ჩარლის აგენტს მეტი დაფიქრება მართებს. მას ჰგონია, რომ თავის კლიენტს კარგ საქმეს უკეთებს, ჩვენ კი სრულიად საპირისპიროდ მიგვაჩნია. მერე, მე ძალიან არ მომწონს ამ კაცის ქცევა. სულაც არ არის საჭირო, ყველაფერი, რაც ბიზნესში ხდება, პრესას უამბო და საჯარო გახადო. გარწმუნებთ, ჩარლი მიიღებს იმას, რაც უნდა, ოღონდ დღეს ეს მისი აგენტის გადასაწყვეტი არ არის. „ბლექპულის" თავმჯდომარე ოუენ ოისტონს მასზე გული აუცრუვდა. იცოდეთ, არავინ არის კლუბზე დიდი. არადა, ბოლო დროს ნათქვამმა უსიამოვნო სიტყვებმა თავმჯდომარე შესაძლოა ძალიან გააბრაზოს. მის გაბრაზებას კი არავის ვურჩევდი. გაბრაზებულმა ოისტონმა შეიძლება ჯიბრზე თქვას, რომ ესა და ეს ფეხბურთელი არ ვარგა და თვეობით სათადარიგოთა სკამზე დამასმევინოს.*

*მოკლედ, ადამმა რაღაც უნდა შეცვალოს და კარგი იქნება ამის შესახებ მას თუ დაელაპარაკებით. იქნებ თავად მას აქვს რაიმე პრეტენზია კლუბთან? მე ეს არ მაინტერესებს, რადგან ჩემს საქმედ არ მიმაჩნია. მე „ბლექპულში" ადამზე მეტად სხვა ხალხის ბედი მაინტერესებს.*

*რაც შეეხება „ლივერპულს", ის აშკარად სუარესითა და ქეროლით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე ადამით, არადა ჩარლი არჩევანში მესამე კაცი არ უნდა ყოფილიყო. ჩემი ბრალია, მერსისაიდელებმა მთელი ძალ-ღონე იმ ორის ყიდვას რომ დაახარჯეს? როდესაც ჩარლი კარგად თამაშობს, ის უძლიერესია და იმსახურებს, რომ კლუბები ყველაზე მეტ ძალასა და ფულს სწორედ მისთვის ხარჯავდნენ. მე ერთს გეტყვით: „ლივერპულმა" თავისი პირველი და მეორე წინადადება მერე გააორმაგა. ჰოდა, თუკი გაორმაგებაზე წამოვიდა, როგორ გაბედა თავიდან ერთი ბეწო თანხის შემოთავაზება? ვინ ვეგონეთ? ჩარლის შემჩნევა მხოლოდ დროის ამბავია. ცოტა ხანში მთელი მსოფლიო მასზე ალაპარაკდება და მაშინ ის სხვანაირად გადავა „სფურზში", „მანჩესტერ იუნაიტედში" თუ „ლივერპულში". ამიტომ, ჯობს დაიცადოს.*

**ილია ბაბუნაშვილი**



იან ჰოლოუეი ბრალს სდებს

ამბები

## მასკერანო ლივერპულის წინააღმდეგ

„ლივერპულის" ყოფილმა ნახევარმცველმა, არგენტინელმა **ხავიერ მასკერანომ** თავის ყოფილ გუნდს საყვედური შეუთვალა - **ფერნანდო ტორესს** ასე როგორ შეელიეთო. „ბარსელონას" ფეხბურთელი ამტკიცებს, რომ „ელ ნინიო" „ჩელსის" შემადგენლობაში გაცილებით ძლიერად ითამაშებს, ვიდრე ამას „ენფილდ როუდზე" აკეთებდა.

*„მე რომ ლივერპულიდან მოვდიოდი, ხალხი ისე მიყურებდა, გეგონებოდა, ვინმე მოვკალი. სამწუხაროა, რომ ფეხბურთელებს, რომელთაც გუნდისთვის რაღაც გაგვიკეთებია, უკანა კარიდან გვიხდება გაძურწვა. ეს იმიტომ ხდება, რომ თავად კლუბმა დააჯერა ხალხი, თითქოს, ყველაფერი ფეხბურთელების ბრალი იყოს, არადა, თავად თითს თითზე არ აკარებს ჩვენს შესანარჩუნებლად. ხომ ხედავთ, ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელები „ლივერპულიდან" ნაწყენები მოდიან. მე დავურეკე ფერნანდოს და ვუთხარი, არაფერზე ინერვიულო, შენ მაგ კლუბისთვის რაც შეგეძლო ყველაფერი გააკეთე მეთქი".*

არგენტინელი ნახევარმცველის ამ სიტყვებს ინგლისურმა პრესამ ირონიული უწოდა, რადგან, გაზეთების თქმით, ვისი ვისი და მასკერანოს შესანარჩუნებლად „ლივერპულმა" სწორედ რომ ყველა ღონე იხმარა - ახალ კონტრაქტს სთავაზობდა, ის კი „ბარსელონაში" გაიქცა. „ლივერპულმა" კატალონიელებისგან მასში 22 მილიონი ფუნტი მიიღო.

## ევრას ამბავი

**პატრის ევრას** „ოლდ ტრეფორდზე" დარჩენის ვარიანტი გამოუჩნდა. ფრანგი ვარსკვლავი, რომელსაც „რეალი" და „ინტერი" ეპატიჟებიან, სერ **ალექს ფერგიუსონისგან** ახალ შეთავაზებას ელის.

შეგახსენებთ, რომ 29 წლის ევრას, ახლანდელი კონტრაქტის თანახმად, „იუნაიტედში" 18 თველა რჩება. მას კვირაში 70 ათას ფუნტს უხდიან, თუმცა ცნობილი გახდა, რომ მანჩესტერელებმა მას 2014 წლამდე დარჩენაზე ჩამოუგდეს სიტყვა. ამბობენ, რომ წინასწარი მოლაპარაკებები უკვე გაიმართა და ახლა მთავარი საკითხია მოსაფიქრებელი: იქნებ კონტრაქტი სხვა ვადით გაფორმდეს? ამაზე ფრანგის გასამრჯელო ყოფილა დამოკიდებული. შეგახსენებთ, რომ პატრის ევრა „მანჩესტერ იუნაიტედიდან" წასვლას შარშან ზაფხულზე აპირებდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების საშინელმა გამოსვლამ დააბრკოლა. მას, როგორც „ლურჯების" კაპიტანს, ყველაზე მეტი კრიტიკა დაატყდა თავს, რამაც მის რომელიმე დიდ ევროპულ კლუბში გადასვლაზე იმოქმედა.

შეგახსენებთ, რომ ევრა „მანჩესტერ იუნაიტედში, ხუთი წლის წინ „მონაკოდან" გადავიდა. ინგლისელებმა მასში 7 მილიონი ფუნტი გადაიხადეს.

## კოლაროვი გადაირია

სერბმა **ალექსანდრ კოლაროვმა** „მანჩესტერ სიტის" შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა და ამასთან დაკავშირებულ ინტერვიუში თქვა, რომ თუ ისტლენდზე მართლა დიდი წარმატების მოპოვება უნდათ, კიდევ უფრო მეტი კარგი ფეხბურთელი უნდა იყიდონ. შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ სიტის" მეპატრონე შეიხმა **მანსურმა** ორ წელიწადში უკვე 300 მილიონი ფუნტის ფეხბურთელები იყიდა, მაგრამ კოლაროვს ეს თურმე არ აკმაყოფილებს:

*„ჩვენ ძლიერი გუნდი უკვე გვყავს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის - დიადი გუნდი გვჭირდება, რისთვისაც ახალი კარგი ფეხბურთელების შემომატებაა საჭირო. ხომ ხედავთ, კლუბები, უპირველეს ყოვლისა კი ინგლისში, ახალ მოთამაშეებში ფულს არ ინანებენ. თუ ტორესი გინდა, 50 მილიონი უნდა გადაიხადო, რადგან ის ერთადერთია და მსოფლიოში საუკეთესო".*

შეგახსენებთ, რომ ბოლო შეხვედრაში „სიტიმ" „ბირმინგემს" ვერ მოუგო, 2:2 ითამაშა, რის მერეც მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ** თქვა, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი უკვე ხელიდან არის გაშვებული, მაგრამ კოლაროვი მწვრთნელს არ დაეთანხმა. მცველი ამბობს, რომ მის თანაგუნდელთაგან იმედი არავის გადასწურვია: „მანჩესტერ სიტი" ერთი კვირის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედს" ხვდება და შეუძლია პირადად დააკარგვინოს ქულები.

**ილია ბაბუნაშვილი**

ამბები

## მოულოდნელი გადადგომა

ივუდ პარკზე მოულოდნელი ფაქტი მოხდა: თანამდებობიდან გადადგა კლუბის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **ჯონ უილიამსი**. ეს პიროვნება კლუბში 1997 წელს მივიდა და მუშაობდა ჯერ აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე, შემდეგ კი კლუბის მმართველ საბჭოს ჩაუდგა სათავეში. *ახალი მმართველების მოსვლის შემდეგ კლუბში ახალი წესები დამკვიდრდა, ასე რომ, დროა, საქმეებს ჩამოვშორდე,* - განუცხადა მან მასმედიის წარმომადგენლებს. სწორედ უილიამსი იყო ის ადამიანი, რომელიც „ბლექბერნიდან" **სემ ელერდაისის** გაშვების წინააღმდეგი იყო. ეტყობა, ღვაწლმოსილ ადამიანს ახალ მესაკუთრეებთან სწორედ ამის შემდეგ დაეძაბა ურთიერთობა.

## პარმა ძენგას ეკურკურება

იტალიური პრესის ინფორმაციით, თუკი 24-ე ტურში „პარმა" „ფიორენტინასთან" წააგებს, ხელმძღვანელობა **პასკუალე მარინოს** კარისკენ მიუთითებს და მის ნაცვლად გუნდის გაძღოლას **ვალტერ ძენგას** მიანდობს. „სკუადრა აძურას" ლეგენდარულ მეკარეს იტალიის სერია A-ში მუშაობის გამოცდილება უკვე აქვს. ის „კატანიასა" და „პალერმოს" წვრთნიდა. უკანასკნელი კლუბი კი, სადაც ის მუშაობდა, საუდის არაბეთის „ალ ნასრი" იყო, საიდანაც საკუთარი ინიციატივით დეკემბერში წამოვიდა.

## პსჟ სტად დე ფრანსზე გადავა

„პარი სენჟერმენის" საშინაო არენა „პარკ დე პრენსი" ამჟამად შორს არის იდეალური მდგომარეობისგან. პარიზული კლუბი წელს წარმატებით ასპარეზობს და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობას ესწრაფვის. კლუბის ხელმძღვანელობა არენის საფუძვლიან განახლებას გეგმავს. სწორედ ამიტომ, დედაქალაქელები იმ პერიოდში, სანამ მათ მშობლიურ სტადიონზე რემონტი იქნება, „სტად დე ფრანსზე" დროებით გადასვლას გეგმავენ. როგორც მშენებლები აცხადებენ, მათ სულ რამდენიმე თვე დასჭირდებათ სამუშაოების დასასრულებლად. შესაბამისად, „პარკ დე პრენსს" ისინი მხოლოდ ერთი სეზონით დატოვებენ. აღსანიშნავია, რომ „სტად დე ფრანსზე" საფეხბურთო მატჩებიდან მხოლოდ საფრანგეთის ნაკრების საშინაო შეხვედრები ტარდება. გარდა ამისა, აღნიშნული არენა სარაგბო შერკინებებსაც მასპინძლობს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ჩელსი

# რეპრესიები ჩელსიში



დიდიეს ზაფხულში გაუშვებენ?

**ფერნანდო ტორესისა** და **დავიდ ლუიზის** 75 მილიონ ფუნტად შეძენა, „ჩელსის" ყულაბა ბუნებრივია შეამსუბუქა და, როგორც ამბობენ, ამის გამოსასწორებლად კლუბმა მომავალ ზაფხულს ფეხბურთელების გაყიდვა გადაწყვიტა. „სანი" წერს, რომ მისთვის იმ ფეხბურთელების გვარებიც კი გახდა ცნობილი, რომელთაც **რომან აბრამოვიჩი** სეზონის შემდეგ შეელევა. ესენი არიან: **დიდიე დროგბა, ფლორან მალუდა, ჯონ ობი მიკელი, ჟოზე ბოსინგვა** და **იური ჟირკოვი**. „ჩელსის" მავანმა თანამშრომელმა და საქმეში ჩახედულმა ადამიანმა თქვა:

*„ჩვენს გუნდში არის რამდენიმე ცნობილი და დიდხელფასიანი ფეხბურთელი, რომელიც ძველებურად ველარ თამაშობს. თუ ისინი მდგომარეობას ვერ გამოასწორებენ, ზაფხულზე მათი გაყიდვა მოგვიწევს. ამიერიდან, ორი ახალი ვარსკვლავის დამატების შემდეგ, გუნდში თითოეულ პოზიციაზე მოსახვედრად კონკურენცია გაიზრდება და ეს ფეხბურთელებს სტიმულსაც გაუზრდის".*

„ლელო" ამ დღეებში წერდა, რომ „ჩელსის", მისივე ოფიციალური განცხადების თანახმად, 70,9 მილიონი ფუნტის ტოლი ზარალი აქვს. იმავდროულად, ძალას იკრებს უეფას ფინანსური „ფეარ-პლეის" წესი, რაც იმას ნიშნავს, რომ დასავლეთლონდონელებს ბიუჯეტის გასწორებამდე ხარჯვის შემცირება მოუწევთ.

**ილია ბაბუნაშვილი**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVI ტურის წინ




# ყველა გზას სტემფორდ ბრიჯზე მივყავართ

**დღეს**

**სტოკი-სანდერლენდი** 16:45
დისკვალიფიკაცია: შოუკროსი (სტოკი)
ტრავმა: სიდიბე, უილკინსონი, ჰიგინბოტემი, - მეილერი, უილბეკი, ტერნერი, კემპბელი, ზენდენი

**ასტონ ვილა-ფულჰემი** 19:00
დისკვალიფიკაცია: ბეიკერი (ასტონ ვილა)
ტრავმა: უორნოკი, დელფი - ბრიგსი, ჰელიჩი, შვარცერი, ზამორა, სენდეროსი

**ევერტონი-ბლექპული** 19:00
ტრავმა: ბარკლი - კრეინი, ჰერევუდი, ბეშემი, გილქსი, კლარკი

**მანჩ. სიტი-ვესტ ბრომვიჩი** 19:00
ტრავმა: რიჩარდსი, ჯონსონი, ბალოტელი - იბანესი, დორანსი

**ნიუკასლი-არსენალი** 19:00
დისკვალიფიკაცია: ტიოტე (ნიუკასლი), სკილაჩი (არსენალი)
ტრავმა: სმიტი, აირლენდი, ს. ტეილორი, გოსლინგი, ბენ არფა, რ. ტეილორი - ვერმაელენი, ფლიმპონგი, დენილსონი, ფაბიანსკი, ნასრი

**ტოტენჰემი-ბოლტონი** 19:00
დისკვალიფიკაცია: დოუსონი (ტოტენჰემი)
ტრავმა: კრანჩარი კინგი, ჰადლსტოუნი, ქაბული, ბეილი – ო'ბრეინი, სემუელი, გარდნერი, დევისი

**უიგანი-ბლექბერნი** 19:00
ტრავმა: კლივერლი, ალკარასი - ჯონსი, სანტა კრუზი

**ვულვერჰემპტ.-მანჩესტერ იუნ.** 21:30
ტრავმა: ებანკს-ბლეიკი, მენსიენი, ნაითი, გუედიურა, დევისი - ჰარგრივზი, ვალენსია

**ხვალ**

**ვესტ ჰემი-ბირმინგემი** 17:30
ტრავმა: კოლისონი, ედგარი, და კოსტა, ჰიცლშპერგერი, კურუჟი – მაკფადენი, დავი, ველისი

**ჩელსი-ლივერპული** 20:00
ტრავმა: ალექსი, ჟირკოვი, ბენაიუნი - ქეროლი, კარაგერი

ხვალ **ფერნანდო ტორესს** „ლივერპულის" ფანების ერთ კვირაში მეორედ დამწუხრების შანსი ეძლევა: „ენფილდ როუდიდან" „სტემფორდ ბრიჯზე" ორშაბათს გაქცეულ ესპანელ თავდამსხმელს, ბედის ირონიით, ახალ გუნდში პირველი შეხვედრა მაინცდამაინც ძველის წინააღმდეგ უწევს. ტორესის საქციელს ყველა თავისებურად აფასებს, მერსისაიდზე ის იუდას შთამომავლად მიაჩნიათ და ამას პლაკატებითაც ადასტურებენ, თუმცა თავად „ელ ნინიო", რომელიც ინგლისის ჩემპიონს 50 მილიონი ფუნტი ანუ 81,06 მილიონი დოლარი დაუჯდა, ასე ამბობს:

*„რაც ბოლო დროს ჩემს თავს მოხდა, ყველაფერი ბედისწერას ჰგავდა. ბედისწერაა ისიც, რომ პირველი მატჩი სწორედ „ლივერპულის" წინააღმდეგ მელის. მერწმუნეთ, თუ „ჩელსის" მწვრთნელი ამ შეხვედრაში მათამაშებს, ყველა ღონეს ვიხმარ, თავი გამოვიჩინო და გოლი გავიტანო".*

თუ ასე მოხდება, ტორესისას ვერაფერს მოგახსენებთ და ინგლისის ჩემპიონები ძალიან კმაყოფილები დარჩებიან. „ლურჯებმა" ხომ ძალიან კარგად იციან ტორესის შესაძლებლობები - მათ წინააღმდეგ 8 შეხვედრაში 7 გოლი აქვს გატანილი, რომელთაგან ორი მიმდინარე სეზონში, შემოდგომაზე შეაგდო: 7 ნოემბერს „ლივერპულმა" „ჩელსის" „ელ ნინიოს" გოლებით 2:0 აჯობა. როგორც ამბობენ, დასავლეთლონდონელებმა სწორედ იმ დღეს გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ესპანელი ეყიდათ.

*„ყოველთვის, როდესაც „ლურჯების" წინააღმდეგ ვთამაშობდი, განსაკუთრებულ სტიმულს ვგრძნობდი, რადგან „ლივერპულისა" და „ჩელსის" შეხვედრა სეზონის საუკეთესო მატჩი გამოდიოდა ხოლმე. „ჩელსიში" გადმოსვლის შანსიც ამიტომ აღარ გავუშვი ხელიდან - მინდოდა ასეთი დიადი გუნდის წევრი გავმხდარიყავი. და თუ „ლურჯების" ფანებს უხარიათ, რომ მათი გუნდის სახელით გოლების გატანას მეც ვაპირებ, ორმაგად გამიხარდება".*

ფანებს, რომლებიც დღენიადაგ პრემიერლიგის ცხრილს ჩაჰკირკიტებენ და ხედავენ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" 10 ქულით ჩამორჩებიან, რასაკვირველია, ერთი სული აქვთ, როდის გავა ახალი 9 ნომერი მოედანზე, მაგრამ მათგან განსხვავებით მწვრთნელ **კარლო ანჩელოტის** დაფიქრება მართებს. რა განლაგებით უნდა შეუტიონ „ლურჯებმა" „წითლებს"? **ნიკოლა ანელკამ** სამშაბათს „სანდერლენდის" წინააღმდეგ შესანიშნავად ითამაშა („ჩელსიმ" 4:2 მოიგო) და მისი შემადგენლობიდან ამოგდება არ ივარგებს. თუკი ასეა, მაშინ, იქნებ **სალომონ კალუ** დაჯდეს სათადარიგოთა სკამზე და მეტოქის კართან ეგრეთ წოდებული ბრილიანტი გაკეთდეს: წინ ტორესი და **დიდიე დროგბა**, მათ უკან კი ანელკა.

„ტორესს თამაშამდე კარგად დავაკვირდებით და თუ დავინახავთ, რომ ფიზიკურად მზად არის, მაშინ კვირას ვათამაშებთ, - თქვა ანჩელოტიმ მატჩის წინა პრესკონფერენციაზე. - *მთავარია მას რაიმე პრობლემა არ ჰქონდეს".*

ახლა კი მოედნის მეორე მხარეს გადავიდეთ: სიცარიელე, რომელიც „ლივერპულის" თავდასხმაში ტორესის წასვლის შემდეგ დარჩა, ნაწილობრივ უკვე შეავსო ურუგვაელმა **ლუის სუარესმა**. მერსის პირას „აიაქსიდან" გადაბარგებულმა ფორვარდმა ოთხშაბათს, „სტოკ სიტისთან" შეხვედრაში (რომელიც „წითლებმა" 2:0 მოიგეს) გოლი გაიტანა. ეს მისი პირველი გოლი გახლდათ ახალი გუნდის შემადგენლობაში. გარდა ამისა, სტატისტიკა მეტყველებს, რომ რაც „ლივერპულის" სათავეში **როი ჰოჯსონი კენი დალგლიშმა**" შეცვალა, გუნდმა ერთი ფრე ითამაშა და სამი მოიგო.

თუმცა გონიერი ხალხი ამბობს, დღეიდან ყველაფერი „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელშიაო და მართალიცაა. ჩახედეთ ცხრილს: იმისათვის, რომ მდევრებმა სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდს გაუსწრონ, საჭიროა თავად ამ გუნდმა დაკარგოს ქულები, ის კი ამას, როგორც ჩანს, არ აპირებს - 24 შეხვედრიდან გუნდს ერთიც არ წაუგია. შთამბეჭდავი შედეგია, არა? ამჯერად, „იუნაიტედი" ვულვერჰემპტონში მიდის. ერთხელაც ჩახედეთ ცხრილს, ხომ ხედავთ, სადაც არის „ვულვზი"? მერედა, მანჩესტერელთა გუნდში დიდი ამბავია: კვლავ ძველებურად ათამაშდა მათი მთავარი ვარსკვლავი **უეინ რუნი**. შუა კვირაში, „ასტონ ვილას" რუნიმ ორი გოლი გაუტანა და ახლა შეეცდება ტემპი აღარ დაკარგოს. სხვათა შორის, თუ „იუნაიტედი" ამ შეხვედრაში არ წააგებს, დამყარდება ახალი რეკორდი: პრემიერლიგაში ზედიზედ 30 დაუმარცხებელი შეხვედრა ამ გუნდს ჯერ არასდროს ჩაუტარებია. მანჩესტერელთა პორტუგალიელმა გარემარბმა **ნანიმ** საკლუბო ტელევიზიასთან ინტერვიუში განაცხადა:

*„ჩვენ გვინდა მთელი სეზონი წაუგებლად ჩავატაროთ, მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება".*

წლეულს მანჩესტერელები „ვულვზს" მეორედ ხვდებიან. პირველ თამაშში, ნოემბერში, „იუნაიტედს" **პარკ ჯი-სუნის** მიერ ბოლო წუთზე გატანილი გოლი დასჭირდა 2:1 რომ მოეგო.

„არსენალი", რომელიც მეორე ადგილზე გახლავთ, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედს" 5 ქულით ჩამორჩება, ნიუკასლში მიდის, სადაც საკმაოდ რთული თამაში ელის. როგორ ხვდება „ნიუკასლი" ჩრდილოლონდონელებს? ზოგი მიმომხილველის ვარაუდით დაზაფრული, რადგან **ენდი ქეროლი** გაექცათ „ლივერპულში" - ზემოთ ნახსენებ სუარესთან ერთად ტორესობა უნდა გასწიოს.

„მანჩესტერ სიტი" კი „ვესტ ბრომვიჩს" მასპინძლობს.

**ილია ბაბუნაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 24 | 15 | 9 | 0 | 54:22 | 54 |
| 2. არსენალი | 24 | 15 | 4 | 5 | 50:23 | 49 |
| 3. სიტი | 25 | 13 | 7 | 5 | 39:22 | 46 |
| 4. ჩელსი | 24 | 13 | 5 | 6 | 46:21 | 44 |
| 5. ტოტენჰემი | 24 | 11 | 8 | 5 | 33:26 | 41 |
| 6. სანდერლენდი | 25 | 9 | 10 | 6 | 30:28 | 37 |
| 7. ლივერპული | 25 | 10 | 5 | 10 | 33:31 | 35 |
| 8. ბოლტონი | 25 | 8 | 9 | 8 | 35:35 | 33 |
| 9. ბლექბერნი | 25 | 9 | 4 | 12 | 31:38 | 31 |
| 10. ნიუკასლი | 24 | 8 | 6 | 10 | 36:34 | 30 |
| 11. სტოკი | 24 | 9 | 3 | 12 | 28:30 | 30 |
| 12. ფულჰემი | 25 | 6 | 11 | 8 | 26:26 | 29 |
| 13. ბლექპული | 24 | 8 | 4 | 12 | 35:44 | 28 |
| 14. ასტონ ვილა | 25 | 7 | 7 | 11 | 28:43 | 28 |
| 15. ევერტონი | 24 | 5 | 12 | 7 | 28:31 | 27 |
| 16. ვესტ ბრომვიჩი | 24 | 7 | 5 | 12 | 31:45 | 26 |
| 17. ბირმინგემი | 23 | 4 | 12 | 7 | 23:33 | 24 |
| 18. ვესტ ჰემი | 25 | 5 | 9 | 11 | 27:44 | 24 |
| 19. უიგანი | 25 | 4 | 11 | 10 | 22:41 | 23 |
| 20. ვულვზი | 24 | 6 | 3 | 15 | 24:42 | 21 |

**ბომბარდირები:** 19 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 15 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 11 - ქეროლი (ნიუკასლი); 10 - ნოლანი (ნიუკასლი), ბენტი (ასტონ ვილა); 9 - კეჰილი (ევერტონი), დროგბა (ჩელსი), ელმანდერი (ბოლტონი), მალუდა (ჩელსი), ნასრი (არსენალი), ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი), ტორესი (ლივერპული), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი); 8 - კემპბელი (ბლექპული), დემპსი (ფულჰემი).

გერმანიის ნაკრები

# ხუთი დორტმუნდელი იტალიისთვის!

## ლიოვმა ბუნდესგუნდი დიდი რევანშისთვის დარაზმა

9 თებერვალს დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე" ისეთი ამხანაგური მატჩი გაიმართება, ავ თვალს რომ არ დაენახება: გერმანია იტალიას უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ 2006 წლის მუნდიალზე იტალიამ გერმანია ნახევარფინალში სწორედ დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე" დაამარცხა. ახლა კი, გერმანელი ფანობა რევანშისთვის ემზადება. გერმანიისა და იტალიის თუნდაც ამხანაგური დაპირისპირება ყოველთვის სცდება ტესტმატჩის ჩარჩოებს და გამონაკლისი არც ეს შემთხვევაა.

ამ ჯახზე წერა მომავალ კვირაში არაერთხელ მოგვიწევს, ახლა კი მთავარს მივხედოთ: გუშინ ბუნდესგუნდის დამრიგებელმა **იოახიმ ლიოვმა** იტალიასთან მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა. პირველი, რაც უნდა ითქვას, ისაა, რომ იოგიმ ნაკრებში რამდენიმე ძირითადი ფეხბურთელი დააბრუნა: **ფილიპ ლამი, მესუთ იოზილი, მიროსლავ კლოზე, ლუკას პოდოლსკი** და **ჰოლგერ ბადშტუბერი**. შეგახსენებთ, რომ წინა ტესტმატჩში (0:0 გიოტებორგში) ლიოვმა ეს მოთამაშეები დაასვენა.

ბუნდესგუნდში ერთი დებიუტანტია და რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს ის, რომ „ეს ბედნიერი" დორტმუნდის „ბორუსიას" ფეხბურთელია. საუბარია BVB-ს ახალგაზრდა საყრდენ ნახევარმცველ **სვენ ბენდერზე**, რომელსაც იოგი ბოლო დროს ყველაზე ხშირად აქებდა და საუკეთესო ეპითეტებით ამკობდა. ლიოვის თქმით, ის ბენდერს რამდენჯერმე პირადად დააკვირდა და ამ ფეხბურთელით აღფრთოვანებულია.

გერმანიაში ფიქრობდნენ, რომ იოგი ნაკრებში გამოჯანმრთელებულ **მიხაელ ბალაკსაც** დააბრუნებდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. იოგიმ თქვა, მიხაელის დაბრუნებაზე ყაზახეთთან და ავსტრალიასთან მატჩებისთვის (26 და 29 მარტს) ვიფიქრებ, ჯერ ძალიან ადრეაო. სამაგიეროდ, იოგიმ ნაკრებში კვლავ უხმო „დორტმუნდის" უნიჭიერეს ნახევარმცველს, 18 წლის **მარიო გიოტცეს**. ამ უკანასკნელთან და სვენ ბენდერთან ერთად, ბუნდესგუნდში კიდევ სამი დორტმუნდელია გამოძახებული: **მატს ჰუმელსი, კევინ გროსკროიტცი** და **მარსელ შმელცერი**. სამაგიეროდ, სიაში აღარ არიან მაინცელები **ლუის ჰოლტბი** და **ანდრე შიურლე**.

**მეკარეები:** მანუელ ნოიერი (შალკე), რენე ადლერი (ლევერკუზენი)

**მცველები:** არნე ფრიდრიხი (ვოლფსბურგი), დენის აოგო (ჰამბურგი), ჰოლგერ ბადშტუბერი (ბაიერნი), ჟერომ ბოატენგი (მანჩესტერ სიტი), ფილიპ ლამი (ბაიერნი), მატს ჰუმელსი (ბორუსია დ), პერ მერტეზაკერი (ვერდერი), მარსელ შმელცერი (ბორუსია დ), ჰაიკო ვესტერმანი (ჰამბურგი).

**ნახევარმცველები:** მარიო გიოტცე, კევინ გროსკროიტცი, სვენ ბენდერი (სამივე ბორუსია დ.), მესუთ იოზილი, სამი ხედირა (ორივე რეალი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი), კრისტიან ტრეში (შტუტგარტი).

**თავდამსხმელები:** მარიო გომესი, მიროსლავ კლოზე, თომას მიულერი (სამივე ბაიერნი), ლუკას პოდოლსკი (კიოლნი).

**გოტფრიდ ლენცი**



სვენ ბენდერი გერმანიის ნაკრებში პირველად გამოიძახეს

კვირის ფრაზები

### ოცნება, რომელიც სინამდვილედ იქცა

ლონდონის „ჩელსის" ბრაზილიელი ახალწვეული **დავიდ ლუიზი** რამდენიმე დღის წინ ჩავიდა კობჰემში და უკვე შეუდგა საქმეს. გუნდის ოფიციალურ საიტთან ინტერვიუში ბრაზილიელი ამბობს: „მე ბედნიერი ვარ, რომ აქ ჩამოვედი: ჩემთვის „ჩელსიში" გადასვლა არის ოცნება, რომელიც რეალობად იქცა. ახლა უბრალოდ ყველას უნდა დავანახო, თუ რატომ სურდა კლუბს ჩემი შეძენა. სავარჯიშო ბაზა უბრალოდ შესანიშნავია, აქ არის ყველაფერი საიმისოდ, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშო".

### ტორესის ფანების რისხვა

მოგეხსენებათ, ლონდონის „ჩელსიმ" სატრანსფერო ფანჯრის დახურვის ბოლო დღეს ციებ-ცხელებები მოაწყო და დავიდ ლუიზთან ერთად, რომლის შესახებაც ზემოთ გესაუბრეთ, კიდევ უფრო ხმაურიანი შენაძენი გააკეთა: „ლივერპულიდან" **ფერნანდო ტორესი** გადაიბირა. ფეხბურთელს, რომელშიც „ჩელსიმ" რეკორდული 50 მილიონი გირვანქა გადაიხადა, „ფეისბუქზე" ფანების აურაცხელი მესიჯები მოუვიდა. რა იწერებოდა, ადვილი მისახვედრია, თუმცა ჩვენ მაინც გეტყვით ერთ-ორს მაგალითს: *„რატომ დაგვტოვე? მოღალატე ხარ!"*. იყო ასეთიც: *„ჯანდაბამდე გ ზა გქონია! ჩვენ სუარესი და ქეროლი გვყავს"*. და აი, ყველაზე საინტერესო: *„ჯეიმი კარაგერი კვირას შენს დამტვრევას აპირებს. ეცადე, ფეხს მოგტეხს!"*.

### ბარსელონა - განსაკუთრებული მეტოქე

მადრიდის „რეალის" მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** გახარებულია იმით, რომ კოპა დელ რეის ფინალში „ბარსელონას" დაუპირისპირდება. *„ბრწყინვალეა, რომ ჩვენ ფინალში „ბარსელონასთან" გვიწევს ბრძოლა, - ამბობს ის. – ეს გუნდი ჩვენთვის განსაკუთრებული მეტოქეა. 20 აპრილი – ჩვენთვის დიდი დღე იქნება, ამ დღისთვის მოგვიანებით მოვემზადებით, ვინაიდან, ჩვენ ახლა სხვა მატჩებზე გვმართებს ყურადღების გადატანა".*

### ლეონარდო: ბარი ბოლო ადგილზე არ უნდა იყოს

მილანის „ინტერის" თავკაცი **ლეონარდო** კმაყოფილი დარჩა იმით, რომ მისმა გუნდმა „ბარისთან" შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმის აღება მოახერხა. ბრაზილიელმა მწვრთნელმა „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: *„მატჩი ძალიან რთული გამოვიდა, მეტოქე საკმაოდ მედგრად გვებრძოდა, მაგრამ ჩვენმა კლასმა მაინც თავისი გაიტანა. მიუხედავად ამისა, მინდა ვთქვა, რომ „ბარი" ბოლო ადგილას ყოფნას არ იმსახურებს".*

### კვირის სიმბოლური ნაკრები

(4-4-2): ეურილიო გომეში (ტოტენჰემი) – ლუკაშ პიშჩეკი (დორტმუნდი), გონსალო როდრიგესი (ვილიარეალი), ნემანია ვიდიჩი (მანჩესტერ იუნაიტედი), ეშლი კოული (ჩელსი) – ჩავი (ბარსელონა), ნური შაჰინი (დორტმუნდი), მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი), ლუიშ ნანი (მანჩესტერი) – ედინსონ კავანი (ნაპოლი), ჯამპაოლო პაცინი (ინტერი).

**გიორგი ფულარიანი**

● სერია A. XXIV ტურის წინ


ჯახი მეაცაზე

# დიდი ინტრიგა მილანში

## კივუ 4 მატჩით დასაჯეს

**დღეს**

**უდინეზე-სამპდორია** 21.00
**დისკვალიფიკაცია:** პოლი (სამპდორია).
**ტრავმა:** ბასტა, ფერონეტი, ანჯელა, ჰანდანოვიჩი - სემიოლი, გასტალდელო, ლუკინი, პოცი.

**კალიარი-იუვენტუსი** 23.45
**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** ლანერი, აგაცი - რინაუდო, დე ჩელიე, კვალიარელა, ტონი, ტრაორე, პეპე, იაკვინტა.

**ხვალ**

**ბოლონია-კატანია** 15.30
**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** რამირესი - ბიაჯანტი, ისკო, კაპუანო, კარბონი, პოტენცა.

**ბრეშა-ბარი** 18.00
**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** დალამანო, კორდოვა - ს. მაზიელო, ბელმონტე, ბარეტო.

**ჯენოა-მილანი** 18.00
**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** ანტონელი, ბოზელი - ბოატენგი, ძამბროტა, ინძაგი, ამელია, ნესტა, შტრასერი, ამბროზინი, აბატე, ლეგროტალიე.

**ლაციო-კიევო** 18.00
**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** დელ ნერო, მეგნი, გარიდო, როკი, დიაკიტე, ფლოკარი - ლუჩანო, მარკოლინი, ანდრეოლი.

**ლეჩე-პალერმო** 18.00
**დისკვალიფიკაცია:** კამოციერი (პალერმო).
**ტრავმა:** ჯულიატო, ოფერე, დი მიკელე - პინილია, გოიანი, ბალცარეტი.

**ნაპოლი-ჩეზენა** 18.00
**დისკვალიფიკაცია:** პაციენცა (ნაპოლი).
**ტრავმა:** გრავა, ვიტალე (ნაპოლი).

**პარმა-ფიორენტინა** 18.00
**დისკვალიფიკაცია:** კანდრევა (პარმა).
**ტრავმა:** პიზანო, კოლვო, მარკესი - ვარგასი, კროლდრუპი, იოვეტიჩი, ფრეი.

**ინტერი-რომა** 23.45
**დისკვალიფიკაცია:** კივუ - მექსე.
**ტრავმა:** სტანკოვიჩი, კორდობა, მარიგა, ლუსიო, კასტელაცი, სამუელი - პიზარო, ბრივი, ადრიანო.

კარგა ხანია, რაც გრანდთა დაპირისპირება არ გვინახავს და აი, XXIV ტური ამის საშუალებას გვაძლევს. ჯუზეპე მეაცას სახელობის სტადიონზე „ინტერი" „რომას" უმასპინძლებს - კლასიკური იტალიური ჯახი, რომლის პროგნოზირებას არავის ვურჩევთ, რადგან ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფავორიტი უბრალოდ არ არსებობს. კი, ბატონო, „ინტერის" შემადგენლობა უფრო ძვირად ფასობს და თანაც, თამაში მილანში გაიმართება, მაგრამ „რომა" ის გუნდია, რომელსაც სწორედ ასეთ შეხვედრებში უყვარს თავის გამოდება. შეგახსენებთ, რომ **კლაუდიო რანიერის** შეგირდებმა მიმდინარე სეზონში უკვე მოასწრეს „სან სიროზე" სამი ქულის აღება, როდესაც „მილანი" დაამარცხეს მინიმალური ანგარიშით.

წინა ტურში, რანიერიმ გარისკა და „ბრეშასთან" პაექრობაში მოედანზე ერთბაშად სამი ნომინალური თავდამსხმელი გაიყვანა. ასეთი რამ „ინტერთან" ნამდვილად გამორიცხულია - „გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, **ფრანჩესკო ტოტი** სათადარიგოთა სკამზე დაჯდება, ძირითადში კი **მარკო ბორიელოს** და **მირკო ვუჩინიჩს** ვიხილავთ. არადა, ტოტის რეზერვში დატოვება რანიერის ერთხელ ძვირად დაუჯდა, კაპიტანი ცუდ ხასიათზე დადგა და იმდენი იწუწუნა, რომ მთელ გუნდს გაუფუჭა ხასიათი. „რომას" თავკაცი არჩევანის წინაშეა, ან ფრანჩესკოს ავტორიტეტს უნდა გაუწიოს ანგარიში, ანაც გუნდის ინტერესებიდან გამოვიდეს და ძირითადში უკეთეს ფორმაში მყოფი ფორვარდები დააყენოს. სავარაუდოდ, მეორე ვარიანტს აირჩევს და ვნახოთ, რა გაგრძელება მოჰყვება ამ ისტორიას. ძირითადში იქნება **ჟერემი მენეზი** და გამთამაშებლის პოზიციას დაიკავებს. „რომა" დაბალანსებულ ფეხბურთს ითამაშებს, ასეთ დროს კი დიდი ჯაფა ნახევარდაცვას ადგება - შესაბამისად, **სიმონე პეროტას**, **ფაბიო სიმპლისიოს** და **დანიელე დე როსის** მაქსიმალური მობილიზება მართებთ. აქვე ვთქვათ, რომ მილანური გრანდი **კრისტიან კივუს** მოისაკლისებს. რუმინელმა მცველმა „ბარისთან" შეხვედრაში შეირცხვინა თავი, მეტოქე ფეხბურთელს სახეში გაარტყა ხელი და ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოიწერა.

იმდენად შთამბეჭდავად ასპარეზობენ „ინტერის" ახალწვეულები, რომ ალარავის ახსოვს არაერთი დაშავებული ფეხბურთელი და სავსე ლაზარეთი. **ჯამპაოლო პაცინის** ორ ჩატარებულ შეხვედრაში სამი გოლი აქვს გატანილი, მონადირებული თერთმეტმეტრიანი კი **სამუელ ეტოოსთვის** გაკეთებულ საგოლე გადაცემაში შეგვიძლია ჩავუთვალოთ. შესანიშნავი მაჩვენებელი აქვს **ხარჯასაც**: ერთი გოლი და ორი საგოლე პასი. ორივე მათგანი სასტარტო შემადგენლობაში მოიაზრება და „რომას" აუცილებლად პირველივე წუთებიდან შეერკინებიან. პაცინის ეტოო შეუწყვილდება თავდასხმაში, ხარჯას კი არგენტინელების, **ესტებან კამბიასოსა** და **ხავიერ ძანეტის** გარემოცვაში მოუწევს თამაში. სასტარტოში ვიხილავთ გამოჯანმრთელებულ **ვესლი სნეიდერსაც**, რომელიც გამთამაშებლის პოზიციაზე იმოქმედებს.

ორივე გუნდში სრული საბრძოლო განწყობაა და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. სამი ქულა ძალიან ძვირად ფასობს, რადგან „მილანი" წინ არის გაჭრილი და ლიდერთან კიდევ უფრო ჩამორჩენა შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ ვთქვათ, რომ „მილანი" „ჯენოას" სტუმრობს. **კახა კალაძეს** ყოფილ გუნდთან მოუწევს დაპირისპირება და ვნახოთ, როგორ წარმოაჩენს თავს. ქართველი მცველი სასტარტო შემადგენლობაში მოიაზრება და ტრადიციულად, დაცვის ცენტრში ითამაშებს. თუ „გაძეტას" დავუჯერებთ, **მასიმილიანო ალეგრი კასანო-იბრაჰიმოვიჩის** შემტევ ტანდემს დაეყრდნობა, უკნიდან კი **რობინიოს** ათამაშებს. კვლავ სათადარიგოდ მოიაზრება ტრავმებით გაწამებული **ალეშანდრე პატო**. ყველაზე საინტერესო მაინც ნახევარდაცვის სამეულია: **გატუზო, ვან ბომელი, მერკელი**. პირველი გასაგებია და აი შემდეგ ორზე სეზონის დასაწყისში ვერავინ იფიქრებდა თუ „როსონერის" ძირითადში ვიხილავდით - მერკელი პრიმავერას წევრი იყო, ვან ბომელი კი მიუნხენის „ბაიერნის" კაპიტანი. გენუაში თამაში იოლი არ არის და მდევრებს დიდი იმედი აქვთ, რომ ალეგრის გუნდს კიდევ ერთხელ დაუცდება ფეხი.

„ნაპოლი" საკუთარ მოედანზე „ჩეზენას" მიიღებს და სამი ქულის მოსაპოვებლად ემზადება. **ვალტერ მაძარის** ფიქრიც კი არ უნდა იმაზე, რომ ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერთან ქულები დაკარგოს. სიცილიაში დამარცხებული „იუვენტუსი" სარდინიაში ჩავიდა და თუ იქაც წააგო, ჯობია ტურინში ალარ დაბრუნდეს. არადა, „კალიარი" კარგ ფორმაშია და საკუთარ მოედანზე იოლად არაფერს დათმობს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 23 | 14 | 6 | 3 | 39-18 | 48 |
| 2. ნაპოლი | 23 | 13 | 4 | 6 | 36-22 | 43 |
| 3. ინტერი | 22 | 12 | 5 | 5 | 39-24 | 41 |
| 4. ლაციო | 23 | 12 | 5 | 6 | 29-21 | 41 |
| 5. რომა | 22 | 11 | 6 | 5 | 32-25 | 39 |
| 6. პალერმო | 23 | 11 | 4 | 8 | 38-29 | 37 |
| 7. უდინეზე | 23 | 11 | 4 | 8 | 37-30 | 37 |
| 8. იუვენტუსი | 23 | 9 | 8 | 6 | 37-29 | 35 |
| 9. კალიარი | 23 | 9 | 5 | 9 | 27-23 | 32 |
| 10. კიევო | 23 | 7 | 9 | 7 | 25-22 | 30 |
| 11. ფიორენტინა | 22 | 7 | 7 | 8 | 22-23 | 28 |
| 12. სამპდორია | 22 | 6 | 9 | 7 | 20-23 | 27 |
| 13. ჯენოა | 22 | 7 | 6 | 9 | 18-21 | 27 |
| 14. ბოლონია | 22 | 7 | 8 | 7 | 24-30 | 26 |
| 15. პარმა | 23 | 6 | 7 | 10 | 22-29 | 25 |
| 16. ლეჩე | 23 | 6 | 6 | 11 | 22-39 | 24 |
| 17. კატანია | 23 | 5 | 8 | 10 | 19-30 | 23 |
| 18. ჩეზენა | 23 | 5 | 6 | 12 | 17-29 | 21 |
| 19. ბრეშა | 23 | 5 | 4 | 14 | 18-31 | 19 |
| 20. ბარი | 23 | 4 | 5 | 14 | 14-37 | 14 |

**ბომბარდირები:** 17 – კავანი (ნაპოლი); 15 – დი ნატალე (უდინეზე); 13 – ეტოო (ინტერი), იბრაჰიმოვიჩი (მილანი), დი ვაიო (ბოლონია).

● სერია A. XXIII ტურის გამოხმაურება

# ვარსკვლავები ჩრდილში

## უცნაური ტური

**სერია A-ს მიმდინარე გათამაშების XXIII ტური მეტად უცნაური გამოვიდა. ლიდერთა უმეტესობამ ქულები დაკარგა, რამაც სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო ჩახლართა. როგორც წესი, ტურის გმირი თავდამსხმელი ხდება, მაგრამ ამჯერად ტრადიცია დაირღვა; ტურის ანტიგმირს კი სულაც არ უთამაშია ურიგოდ, უბრალოდ არასპორტული საქციელით დაგვამახსოვრა თავი. ლიბორ კოზაკი კვლავ ყურადღების ცენტრშია; ყოველივე ამაზე ქვემოთ...**

## ტურის სიმბოლური ნაკრები

ბორუცი (ფიორენტინა) - რანოკია (ინტერი), იეპესი (მილანი), დარმიანი (პალერმო) - მარკიონი (ფიორენტინა), ხარჯა (ინტერი), მილიაჩო (პალერმო), ნაინგოლანი (კალიარი) - მენეზი (რომა) - მოსკარდელი (კიევო), დი ვაიო (ბოლონია).

XXIII ტურის სიმბოლური გუნდი 3-4-1-2 ტაქტიკით განვალაგეთ - ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც სამი ნომინალური ფორვარდი არ გვყავს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თავდამსხმელებმა იპასიურეს. ვერ ვხედავთ მეგავარსკვლავებს და არც ეს არის გასაკვირი, რადგან „ინტერის" გარდა, გრანდებმა არცთუ დამაჯერებლად იასპარეზეს და ქულები დაკარგეს.

მეოთხედ მოხვდა რჩეულ ფეხბურთელთა შორის **ანდრეა რანოკია**, რომელიც ნელ-ნელა ეჩვევა ახალ გარემოს და როგორც ხედავთ, თავიც გამოიჩინა. „ინტერის" კიდევ ერთი მოთამაშე მოხვდა სიმბოლურში და ისიც ზამთრის შენაძენებიდან: **ხარჯა** გვყავს მხედველობაში. შეტევის წინა ხაზზე **მოსკარდელის** და **დი ვაიოს** ვხედავთ, პირველმა „ნაპოლის" გაუტანა იშვიათი სილამაზის გოლი, მეორე კი, როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმაღლეზეა.

## ტურის გმირი

ტურის გმირი ამჯერად მეკარე გახლავთ და არა თავდამსხმელი, როგორც ეს უფრო ხშირად ხდება. დიახ, **სალვატორე სირიგუზე** გვაქვს საუბარი, მეკარე, რომელმაც „იუვენტუსთან" შეხვედრაში თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა და არაერთხელ გადაარჩინა გუნდი გოლისგან. ტურის მიმოხილვაშიც აღვნიშნეთ, რომ მარტო **ალესანდრო მატრის** სამი-ოთხჯერ მაინც შეეძლო თავის გამოჩენა. „პალერმომ" ორბურთიანი უპირატესობა გაატანა ქარს „ინტერთან" პაექრობაში და იგივე მოხდებოდა „იუვენტუსთანაც" რომ არა სიცილიელი კიპერის ბრწყინვალე გარჯა.

## ტურის ანტიგმირი

ტურის ანტიგმირი უდავოდ რუმინელი მცველი **კრისტიან კივუ** გახლავთ და ეს მიუხედავად იმისა, რომ ცუდად სულაც არ უთამაშია. „ბარი"-"ინტერის" მეორე ტაიმი მიმდინარეობდა, როდესაც კივუმ სრულიად აუხსნელი გადაწყვეტილება მიიღო და მასპინძელთა შემტევ **როსის** სახეში ხელი ჩაარტყა. ვიდეოფირზე ნათლად ჩანს, თუ როგორ მიეპარა კრისტიანი მეტოქეს და ძლიერი დარტყმით ძირს დააგდო. რუმინელმა ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო - ბოდიშმაც ვერ უშველა:

*„ვწუხვარ იმის გამო, რაც ჩავიდინე და მინდა როსის ბოდიში მოვუხადო. ძალიან მრცხვენია და ვერ ვხვდები ასე რატომ მოვიქეცი. ეს ეპიზოდი უამრავმა ადამიანმა ნახა და წარმომიდგენია, რა შთაბეჭდილება შეექმნებოდათ. როდესაც ჩემი შვილები წამოიზრდებიან და ამ ინციდენტზე მკითხავენ, აუცილებლად შემრცხვება და ვერაფერს ვუპასუხებ".*

## ტურის კოზაკი

ტური არ გავა, რომ **ლიბორ კოზაკმა** ჩვენი ყურადღება არ მიიქციოს. ამიტომ, დავამკვიდრეთ ახალი ნომინაცია: ტურის კოზაკი. ჩეხი ფორვარდი „მილანთან"' პაექრობაშიც გამოირჩა, თუმცა ამჯერად არც გადამწყვეტი გოლი გაუტანა და საერთოდაც, დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა. სამაგიეროდ, უმისამართოდ იქნევდა ხელ-ფეხს და „მილანის" ერთბაშად ორი ფეხბურთელი დააშავა. იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ერთი ფეხბურთელის გამო საკაცით ორი მოთამაშე გაჰყავთ მინდვრიდან - ასე მოხდა შაბათის პაექრობაში: ჯერ **დანიელე ბონერა** გახდა შესაცვლელი, შემდეგ **ნიკოლა ლეგროტალიე**. აი, ასე დაერია კოზაკი მილანელებს.

## ტურის ფრაზა

**მილოშ კრასიჩი (იუვენტუსი):** *„თუ დამიჯერებთ, ექვსი თვეა იტალიაში ვიმყოფები და ერთხელ არ მითამაშია იდეალურ მინდორზე. ამ მხრივ, ძალიან მძიმე მდგომარეობაა".*

## ტურის P.S.

„იუვენტუსი" ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა „პალერმოსთან".

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**


სალვატორე სირიგუ

## უცხოური ფეხბურთი

● ესპანეთი. ლა ლიგა. XXII ტურის წინ

# მესი, ფრთხილად, უიფალუშია!

## ვინ ვის შეაშინებს ბერნაბეუზე

**დღეს**

**ალმერია-ესპანიოლი** 21:00

**დისკვალიფიკაცია:** ბადიასი - დუშერი

**ტრავმა:** ნიეტო, ორტისი, აკასიეტე (?), ხუანიტო - ბაენა, პენია, მატიონი, ოსვალდო

**ბილბაო-სპორტინგი** 21:00

**დისკვალიფიკაცია:** ხ. მარტინესი (ბილ)

**ტრავმა:** გომესი, რამალიო, უსტარიცი, ამორებიეტა - ბოტია (?), მარკოსი, ტორესი

**ხეტაფე-დეპორტივო** 21:00

**დისკვალიფიკაცია:** დელ მორალი, პარეხო (ხეტ)

**ტრავმა:** არისმენდი, მარიო - რიკი (?), საული, ურეტა, ლოპო, გუარდადო

**ოსასუნა-მალიორკა** 21:00

**დისკვალიფიკაცია:** დამია - ვებო, ჟ. ვიქტორი, ნუნიეში

**ტრავმა:** მონრეალი, რუპერი, ნეკუნამი, მასუდი, რობერტო, სეხუდო - ვიქტორი, ტუნი, პინა

**სარაგოსა-რასინგი** 21:00

**დისკვალიფიკაცია:** როზენბერგი, ლასენი (რას)

**ტრავმა:** ედმილსონი (?), უჩე, ობრადოვიჩი, ლაგუარდია - პინილიოსი (?), კოლტორტი, დიოპი, ციოლისი, სერანო

**ვილიარეალი-ლევანტე** 23:00

**დისკვალიფიკაცია:** ფ. კაისედო (ლევ)

**ტრავმა:** სენა, ხ. კარლოსი, ა. ლოპესი, ნილმარი - სერხიო, პერესი, გონსალესი

**ბარსელონა-ატლეტიკო** 01:00

**დისკვალიფიკაცია:** პერეა (ატლ)

**ტრავმა:** პუიოლი, კრკიჩი, ჟეფრენი - პულიდო, სუარესი

**ხვალ**

**სევილია-მალაგა** 20:00

**დისკვალიფიკაცია:** დაბო - აპონიო, ველიგტონი

**ტრავმა:** კონე, ხ. ნავასი, რომარიკი, დრაგუტინოვიჩი, გუარენტე - რამოსი, რუბენი, ედინიო, ლოპესი, ლუკე

**რეალი-რეალ სოსიედადი** 22:00

**დისკვალიფიკაცია:** ს. რამოსი (რეალ)

**ტრავმა:** მარსელო, იგუაინი, პეპე, დუდეკი - ხ. ლორენტე, იფრანი, ი. მარტინესი (?)

**ვალენსია-ერკულესი** 00:00

**დისკვალიფიკაცია:** ტ. კოსტა, დ. ნავარო - ფარინოსი

**ტრავმა:** ალბელდა, სესარი, მოია, ვისენტე, მატა - ტომერი, დრენტე, პამარო, კრუსი

ამ ტურიდან ესპანურ პრიმერას სულ სხვა ხასიათი მიეცემა - თუ აქამდე „რეალი“ ძალზე ახლოს იყო „ბარსელონასთან“, ახლა ამ ორ გრანდს შორის სხვაობა უკვე 7 ქულაა, რაც საკმაოდ ბევრია, როცა ისეთი გუნდის მდევარი ხარ, როგორიც „ბარსაა“. მოკლედ, ფორმულა: „ბარსა“-“რეალი“ და დანარჩენები - შეიცვალა განსაზღვრებით: „ბარსა“, „რეალი“ და დანარჩენები. ახლა „სამეფო კლუბს“ კიდევ ერთი წაფორხილება უკვე ნამდვილად დაუჯდება ტიტულისთვის ბრძოლაში მარცხად, თუმცა ორი გრანდიდან უფრო სერიოზული მეტოქე ჩემპიონს ეყოლება - „ბლაუგრანა“ „კამპ ნოუზე“ მადრიდის „ატლეტიკოს“ მასპინძლობს.

ტურის ცენტრალური მატჩის წინ „ბარსელონა“ „ალმერიას“ მისსავე მოედანზე 3:0 გაუმკლავდა და სამეფო თასის ფინალშიც გავიდა. მაგრამ „ატლეტიკოსთან“ თამაშს ჩემპიონი დაღლილი ხვდება ნამდვილად ვერ ვიტყვით - **ხოსეპ გვარდიოლამ** ანდალუსიაში ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ის ფეხბურთელები ათამაშა, რომელთაც დღევანდელ შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში არ უნდა ველოდოთ, მოედანზე ვინც გამოვა კი საკმაოდ დასვენებულია. მაგალითისთვის, „ალმერიასთან“ მატჩში სამმა ფეხბურთელმა გამოიჩინა თავი, მაგრამ **ადრიანოს, ტიაგოსა** და **აფელაის** სათადარიგოთა სკამზე თუ ვიხილავთ.

*„ჩვენ მალევე უნდა გამოვიდეთ ფინალში გასვლის ეიფორიიდან, შაბათამდე დასვენება მოვასწროთ, რადგან მეტოქე ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გვყავს. საერთოდაც, ეს თვე გუნდისთვის ყველაზე დაძაბულია, ძალიან ბევრი და მძიმე მატჩი გველის“*, - განაცხადა „ბარსელონას“ თავკაცმა.

ამ გუნდებს შორის პირველი შეხვედრა, რომელიც „ვისენტე კალდერონზე“ კატალონიელებმა 2:1 მოიგეს, თუ არ გახსოვთ, ახლავე შეგახსენებთ. ეს ის მატჩია, რომელშიც ჩეხმა **ტომაშ უიფალუშიმ** გამორჩეულად იუხეშა **ლეო მესის** წინააღმდეგ. მესის უბრალოდ ძალიან გაუმართლა, რომ მხოლოდ 2 კვირა გამოტოვა ტრავმის გამო. თუკი „ბარსელონა“ მოიგებს, ჩემპიონი ერთი დღით მაინც დაწინაურდება „რეალთან“ დოლში ორნიშნა ციფრით - 10 ქულით.

„ატლეტიკოზე“ ბევრი ლაპარაკობს, რომ გუნდი შემადგენლობით ოთხეულის წევრია, მაგრამ თავის პოტენციალის ნახევარსაც ვერ ავლენს. არადა, „ლოს კოლჩონეროსი“ 30 ქულით მხოლოდ მეშვიდეა და იმ მე-4 ადგილს, რომელიც ლიგის საგზურს იძლევა, 11 ქულით ჩამორჩება. ბოლო დროს, **კიკე სანჩეს ფლორესი** ცხელ ამბებშია, „ატლეტიკომ“ ამ სეზონში პირველად წააგო ზედიზედ ორი მატჩი - ჯერ „სპორტინგთან“, შემდეგ კი - „ბილბაოსთან“. თუ გახსოვთ, სეზონის წინ სპეციალისტთა ნაწილი იმასაც ვარაუდობდა, რომ გაძლიერებული „ატლეტიკო“ ტიტულისთვის ბრძოლაშიც კი ჩაერთვებოდა. დროის გასვლის შემდეგ, რამხელა მკრეხელობად მოჩანს ეს მოსაზრება...

*„ჩვენ მესამე ან მეოთხე ადგილზე უნდა ვიყოთ. მაგრამ სეზონი ცოტა სხვანაირად წარიმართა. მაგრამ ოპტიმისტები ვართ და გვჯერა, რომ შევძლებთ ამ სეზონის ბოლოს გახარებას. ჩემი ფეხბურთელების იმედი მაქვს“*, - აცხადებს **კიკე ფლორესი.**

„ატლეტიკოს“ დიდი იმედები არ უნდა ჰქონდეს, მადრიდში ხომ დამარცხდნენ, ბოლო ორი ვიზიტი „კამპ ნოუზე“ სრული კრახით დაუსრულდათ, ჯამში 11 გოლი გაუშვეს.

„ბარსელონას“ ლაზარეთი ერთი კაცით შემსუბუქდა - **ანდრეს ინიესტამ** მოირჩინა ტრავმა და უკვე სამი დღეა, გუნდთან ერთად ვარჯიშობს და „ატლეტიკოსთან“ ითამაშებს კიდეც. **კარლეს პუიოლი** და **ჟეფრენ სუარესი** კი კვლავ ტრავმირებულნი არიან. მადრიდელთა ბანაკში ძალზე საეჭვოა **მარიო სუარესის** თამაში „კამპ ნოუზე“, სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა და მოედანს უბრუნდება **რაულ გარსია. ლუის პერეამ** წინა ტურში წითელი ბარათი მიიღო და ის დისკვალიფიცირებულია.

თასის მეორე ფინალისტი „რეალი“ ბასკურ „რეალ სოსიედადს“ მასპინძლობს. ბასკები „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უშიშრად მიემგზავრებიან. აკი, დაიმუქრა კიდეც მათი ლიდერი **ჩაბი პრიეტო,** ძალიან ხელსაყრელ დროს ვეთამაშებით „რეალს“ და მაგრადაც შევაშინებთო.

„სამეფო კლუბს“ **პეპე, დუდეკი** და **იგუაინი** აკლიათ, საეჭვოა მარსელოს თამაშიც. **სერხიო რამოსი** კი დასჯილია, ამიტომ დასვენება მოუწევს. სტუმრებს ვეტერანი ფორვარდი ხოსება ლორენტე კიდევ დიდხანს არ ეყოლებათ. სტუმრებს ამ თამაშში დისკვალიფიკაციამოხდილი **მიკელ გონსალესი** უბრუნდებათ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 21 | 19 | 1 | 1 | 67-11 | 58 |
| 2. რეალი | 21 | 16 | 3 | 2 | 48-18 | 51 |
| 3. ვილიარეალი | 21 | 14 | 3 | 4 | 41-21 | 45 |
| 4. ვალენსია | 21 | 12 | 5 | 4 | 34-24 | 41 |
| 5. ესპანიოლი | 21 | 12 | 1 | 8 | 28-27 | 37 |
| 6. ბილბაო | 21 | 11 | 2 | 8 | 34-31 | 35 |
| 7. ატლეტიკო | 21 | 9 | 3 | 9 | 31-26 | 30 |
| 8. სევილია | 21 | 9 | 3 | 9 | 33-35 | 30 |
| 9. სოსიედადი | 21 | 9 | 1 | 11 | 32-33 | 28 |
| 10. ხეტაფე | 21 | 8 | 3 | 10 | 29-34 | 27 |
| 11. მალიორკა | 21 | 8 | 3 | 10 | 23-29 | 27 |
| 12. სპორტინგი | 21 | 5 | 7 | 9 | 22-27 | 22 |
| 13. ერკულესი | 21 | 6 | 4 | 11 | 22-34 | 22 |
| 14. დეპორტივო | 21 | 5 | 7 | 9 | 18-30 | 22 |
| 15. სარაგოსა | 21 | 5 | 7 | 9 | 20-33 | 22 |
| 16. ოსასუნა | 21 | 5 | 6 | 10 | 20-28 | 21 |
| 17. რასინგი | 21 | 5 | 6 | 10 | 16-30 | 21 |
| 18. ლევანტე | 21 | 5 | 3 | 13 | 22-34 | 18 |
| 19. ალმერია | 21 | 3 | 8 | 10 | 20-36 | 17 |
| 20. მალაგა | 21 | 5 | 2 | 14 | 28-47 | 17 |

**ბომბარდირები:** 22 - რონალდო (რეალი); 21 - მესი (ბარსელონა); 14 - ვილია (ბარსელონა); 12 - ფ. ლორენტე (ბილბაო), პედრო (ბარსელონა); 11 - როსი (ვილიარეალი); 10 - ნილმარი (ვილიარეალი); 9 - ტრეზეგე (ერკულესი).




წამის წინ უიფალუშიმ მესი კინაღამ ხეიბრად აქცია

● ფურია როხა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთში ისევ ძველი სახეებია

# მსოფლიოს ჩემპიონი დაირაზმა

## მარკიზი დელ ბოსკე: იმედია, ისევ ვისენტეს დამიძახებთ

მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები მორიგ ამხანაგურ მატჩს მადრიდში გამართავს, სადაც კოლუმბიის ნაკრებს უმასპინძლებს. გუშინ „ფურია როხას“ თავკაცმა **ვისენტე დელ ბოსკემ** ამ მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა. ოთხშაბათს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ძირითადად ჩვენთვის ნაცნობი ესპანელი ვარსკვლავები ითამაშებენ, დელ ბოსკემ სიურპრიზებისგან თავი შეიკავა. ნაკრებში არ არიან „ვალენსიას“ ლიდერი **ხუან მატა** და „ბარსელონას“ კაპიტანი **კარლეს პუიოლი,** ორივე მათგანს მცირე ტრავმა აწუხებს და დელ ბოსკე მათი ჯანმრთელობით ამხანაგურ მატჩში არ გარისკავს.

**სანტი კასორლა,** რომელიც ვერ მოხვდა სამუნდიალე შემადგენლობაში, დიდებულ ფორმაშია და დელ ბოსკემ ის კიდევ ერთხელ გამოიძახა ნაკრებში. შემადგენლობა კი ასეთია:

**მეკარეები:** იკერ კასილიასი (რეალი), პეპე რეინა (ლივერპული), ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა).

**მცველები:** *რაულ ალბიოლი, სერხიო რამოსი, ალვარო არბელოა (რეალი), ჟერარდ პიკე (ბარსელონა), ხოან კაპდევილა, კარლოს მარჩენა (ვილიარეალი).*

**ნახევარმცველები:** *ჩაბი ალონსო (რეალი), სერხიო ბუსკეტსი, ანდრეს ინიესტა, ჩავი ერნანდესი (ბარსელონა), სანტი კასორლა (ვილიარეალი), სესკ ფაბრეგასი (არსენალი), დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი), ხესუს ნავასი (სევილია).*

**თავდამსხმელები:** ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), პედრო როდრიგესი, დავიდ ვილია (ბარსელონა), ფერნანდო ტორესი (ჩელსი).

როგორც ხედავთ, შემადგენლობაში 9 კლუბის ფეხბურთელები არიან, აქედან 5 ესპანურია: „ბარსელონა“, „რეალი“, „ვილიარეალი“, „სევილია“ და „ბილბაო“, 4 ინგლისური - „ჩელსი“, „ლივერპული“, „არსენალი“ და „მანჩესტერ სიტი“.

პრესკონფერენციაზე ვისენტე დელ ბოსკე, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებული მივიდა, მიზეზი კი სწორედ ეს კლუბებია, რომელთა ნაწილიც თავიანთი ვარსკვლევის დასვენებას, ან ცოტა ხნით თამაშს მოითხოვს. დელ ბოსკემ გადაწყვიტა პრინციპული იყოს ამ საკითხში: *„ისინი, ვინც მოვიწვიე, მზად უნდა იყვნენ, რომ შეიძლება 90 წუთი მოუწიოთ თამაშმა. ჩვენ თვითოეულ მათგანზე ვზრუნავთ და ვიზრუნებთ კიდეც, მაგრამ მათგანაც იგივეს ვითხოვთ, რომ აღარ განმეორდეს ისეთი სირცხვილი, როგორიც პორტუგალიის ნაკრებთან მატჩში შეგვემთხვა. გვინდა, ყველამ კარგად გაიაზროს, რომ ეროვნულ ნაკრებში თამაში უბრალო რუტინული შრომა კი არა, დიდი პატივია. ჩვენ უნდა ვითამაშოთ რაც შეიძლება კარგად საკუთარი გულშემატკივრის წინაშე. ჩვენი მთავარი მიზანია, ესპანეთის ნაკრები ჩეხებთან და ლიტველებთან ევრო-2012-ის შესარჩევ მატჩებს სრულ მზადყოფნაში შეხვდეს, პორტუგალია კი აღარ უნდა განმეორდეს არასდროს“*, - განაცხადა დელ ბოსკემ.

როგორც ჩანს, ესპანეთის ნაკრების თავკაცს უკვე დაუწყეს ვაჭრობა, რომ მათმა ვარსკვლავებმა, რაც შეიძლება მცირე დრო დაყონ მოედანზე. ამ საქმეში კი განსაკუთრებით ინგლისური კლუბები „ყოჩაღობენ“, თუმცა მწვრთნელი დათმობაზე წასვლას არავისთან აპირებს.

ესპანეთის ნაკრებს მუნდიალის შემდეგ ამხანაგური მატჩი არ მოუგია. მოგებას ვინ ჩივის, არგენტინასთან და პორტუგალიასთან „ფურია როხამ“ ჯამში 8 გოლი გაუშვა და მხოლოდ 1 გაიტანა. მიუხედავად, დიდი ანგარიშით დამარცხებისა, ესპანეთის ნაკრებმა მოიგო ყველა შესარჩევი მატჩი ევრო-2012-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე, მთავარი კი სწორედ ესაა.

ბოლოს დელ ბოსკემ **ფერნანდო ტორესის** ტრანსფერზეც ილაპარაკა „ჩელსიში“: *„მას შემდეგ მე ფერნანდოსთან არ მისაუბრია, ჩემთვის ეს ტრანსფერი დიდი სიურპრიზი იყო. ვფიქრობ, ის წინ გადადგმული ნაბიჯია ნანდოს კარიერაში“*, - განაცხადა დელ ბოსკემ, რომელსაც ახლახან მეფე **ხუან კარლოსმა** მარკიზის ტიტული მიანიჭა: *„იმედია, ამის შემდეგაც ბიჭები ვისენტეს ან მწვრთნელს დამიძახებენ. ისე, კი ეს ტიტული ჩემთვის უდიდესი პატივი და გამოწვევაა“.*

კოლუმბიის ნაკრების თავკაცმა **ერნან დარიო გომესმა** ამ მატჩისთვის ესენი გამოიძახა:

**მეკარეები:** *დავიდ ოსპინა (ნიცა), ლუის ენრიკე მარტინესი (ონსე კალდასი).*

**მცველები:** ამარანტო პერეა (ატლეტიკო), მარიო იეპესი (მილანი), კამილო სუნიგა (ნაპოლი), პაბლო არმერო (უდინეზე), კრისტიან საპატა (უდინეზე).

**ნახევარმცველები:** *ხუან დავიდ ვალენსია (ატლეტიკო ხუნიორი), აბელ აგილარი (ერკულესი), იულიან ანჩიკო (პაჩუკა), ფრედი გუარინი (პორტუ), ხუან კუადრადო (უდინეზე), კარლოს სანჩესი (ვალანსიენი), ჯოვანი მორენო (რასინგი).*

**თავდამსხმელები:** რადამელ ფალკაო (პორტუ), დაირო მორენო (ონსე კალდასი), უგო როდალეგა (უიგანი), ადრიან რამოსი (ჰერტა).

**გვერდი მოამზადა**
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXI ტურის წინ

# მოჩვენებითი მშვიდობა ომის შემდეგ

## არ მოიწყინოთ: დღესაც დერბია, ხვალაც დერბია...

**დღეს**

**მაინცი-ვერდერი** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** ვიზე (ვერდერი)
**ტრავმა:** სვენსონი, შალაი - ფანდერი, ბიონიში, ნალდო, ბოროვსკი, დ. იენსენი, ვესლი

**ჰოფენჰაიმი-კაიზერსლაუტ.** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** გულდე, ობასი - ამედიკი, შიმუნეკი, მიჩანსკი

**კიოლნი-ბაიერნი** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** იანულისი, მაკენა, შორხი, ფრაისი - კონტენტო, კროოსი, ოლიჩი

**ჰანოვერი-ვოლფსბურგი** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ანდრეასენი, კარლიტოსი, შლაუდრაფი - ჩიგერჩი

**ნიურნბერგი-ლევერკუზენი** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** ვოლფი (ნიურნბერგი)
**ტრავმა:** ნილსონი, ფრანტცი, გიუნდოგანი, ბუნიაკუ - ფერნანდესი, ბარნეტა

**ბორუსია (მ)-შტუტგარტი** 21:30
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბრუვერსი, ჟორე - დელპიერი, აუდელი, ოკაზაკი

**ხვალ**

**ჰამბურგი-ზტ. პაული** 18:30
**დისკვალიფიკაცია:** კაჩარი (ჰამბურგი)
**ტრავმა:** დიკმაიერი - კალა, ლეხნერი, მორენა, როთენბახი, ებერსი

**ფრაიბურგი-აინტრახტი** 20:30
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** პუპლინი, კრმასი, იეგერი, შუსტერი, ვილიამსი, ბეხმანი - კრისი, ვასოსკი, ბაირამოვიჩი, კლერკი



ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის საუკეთესო გოლეადორები, პაპის დემბა სისე (ფრაიბურგი, 15 გოლი) და თეოფანის გეკასი (აინტრახტი, 14 გოლი) ხვალ ერთმანეთის წინაალმდეგ წარდგებიან

გუშინ რურის დიდი დერბი იყო, რომლის შემდეგ „ჩვეულებრივი“ მატჩების ყურება ძალიან ძნელია, მაგრამ არ მოიწყინოთ - დღესაც საკმაოდ საინტერესო მატჩებია, ხოლო ხვალ ბუნდესლიგის მოყვარულებს კიდევ ერთი მძაფრი დერბი გველის (ჰამბურგი-ზანკტ პაული). სხვათა შორის, დერბია „ჰანოვერისა“ და „ვოლფსბურგის“ დაპირისპირებაც (ქვემოსაქსონიური) და დღეს მძაფრი დუელია მიონხენგლადბახშიც, სადაც ერთმანეთს გავარდნის ორი კანდიდატი ხვდება. კვირა საღამოს კი „ფრაიბურგისა“ და „აინტრახტის“ თამაშია, რაც ბუნდესლიგის ორი ტოპგოლეადორის დუელიც გახლავთ.

### ჰელმესის დებიუტი ჰანოვერთან

„ვოლფსბურგს“ ჰანოვერში ერთბაშად სამი ახალწვეულის წარდგენა შეუძლია. დიდი შანსია, რომ „მგლების“ მთავარმა მწვრთნელმა **სტივ მაკლარენმა** სამივე მათგანი ძირითად შემადგენლობაში გაამწესოს. საუბარია „ლევერკუზენიდან“ ნაყიდ **პატრიკ ჰელმესზე**, თურქ **თუნჯაი სანლიზე** და ჩეხ **იან პოლაკზე**. განსაკუთრებით საინტერესო მაინც ჰელმესის დებიუტი იქნება, რომელიც „ვოლფსბურგში“ „მანჩესტერ სიტიში“ გადახვეწილ **ედინ ჯეკოს** შემცვლელად განიხილება. „ჰანოვერს“ კი იანვარში ახალი ფეხბურთელები არ შეუძენია, რაც არცაა გასაკვირი - **მირკო სლომკას** გუნდმა სეზონის პირველი ნახევარი ხომ ძალიან კარგად ჩაატარა.

ჩვენი გერმანელი კოლეგები სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე მეტ აქტიურობას ბრემენის „ვერდერისგან“ ელოდებოდნენ, მაგრამ „მუსიკოსები“ მოკრძალებულები აღმოჩნდნენ. გუნდის შეფ **კლაუს ალოფსს** იმედი აქვს, რომ ბრაზილიელი **სამუელის** ყიდვით დაცვა მნიშვნელოვნად გააძლიერა. ეს „ვერდერისთვის“ აუცილებელიც იყო, რადგან **ნალდო** ტრავმირებულია, პირველ წრეში კი გუნდმა ყველაზე მეტი გოლი გაუშვა, რაც პირველ რიგში სწორედ ბრემენელთა მცველების ბრალია. ორი აზრი არ არსებობს, **თომას შააფი** სამუელს „მაინცთან“ ძირითად შემადგენლობაში დააყენებს. სამაგიეროდ, „მუსიკოსებს“ ძირითადი მეკარე **ტიმ ვიზე** (დისკვალიფიკაციის გამო) არ ეყოლებათ. პირველი წრის სენსაციურად ჩამტარებელმა „მაინცმა“ წინა ტურში „კაიზერსლაუტერნს“ 1:0 მოუგო და ეს იყო მაინცელთა პირველი გამარჯვება 2011 წელს. დღეს კი **თომას ტუხელის** გუნდს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი, **ადამ შალაი** (ტრავმა) არ ეყოლება.

„მაინცის“ დარად, წინა ტურში წელს პირველი გამარჯვება იზეიმა „ჰოფენჰაიმმაც“ (1:0 გელზენკირხენში), რის შემდეგაც „ჰოფეს“ ბოსებმა ახალ მწვრთნელ **მარკო პეცაიუოლის** ხანგრძლივი კონტრაქტი გაუფორმეს. „სოფლელები“ „კაიზერსლაუტერნთანაც“ სამი ქულის მოპოვებას გეგმავენ. „წითელმა ეშმაკებმა“ ზედიზედ სამი თამაში წააგეს და მიუხედავად იმისა, რომ ცუდად მოიქცა (დეტალებზე ამას წინათ ვწერდით), ზინსჰაიმში გოლეადორ **სრდიან ლაკიჩთან** ერთად მიემგზავრებიან, რომელიც ზაფხულში „ვოლფსბურგში“ გადადის. სამაგიეროდ, „ლაუტერნს“ კაპიტანი **მარტინ ამედიკი** აკლია.

### რიბერი ბრუნდება

კვირის დასაწყისში „კიოლნმა“ უაღრესად მნიშვნელოვანი ახალწვეული წარადგინა, მაგრამ არა ფეხბურთელი, არამედ ახალი სპორტული დირექტორი **ფოლკერ ფინკე**. ამ უკანასკნელის დებიუტი კი ამ თანამდებობაზე პირდაპირ მიუნხენის „ბაიერნთან“ მატჩში შედგება. რეკორდმაისტერმა ზედიზედ ორი თამაში მოიგო და მესამე ადგილამდე აღზევდა. სხვათა შორის, ეს არის პირველი შემთხვევა ამ სეზონში, როცა „ბაიერნი“ საუკეთესო სამეულში, ანუ ჩემპიონთა ლიგის ზონაშია. ბავარიელებს ლაზარეთიდან **ფრანკ რიბერი** უბრუნდებათ, სამაგიეროდ, **არიენ რობენის** თამაშია საეჭვო. ჩვენი გერმანელი კოლეგების ვარაუდით, **თომას მიულერი** ისევ ფლანგზე ითამაშებს, რის გამოც **ბასტიან შვაინშტაიგერს** კვლავ გამთამაშებლის მოვალეობების შესრულება მოუწევს, რაც შვაინის ძალიან არ უყვარს.

### ნიურნბერგი გიუნდოგანის გარეშე

„ნიურნბერგი“ მეორეადგილოსან „ლევერკუზენს“ მასპინძლობს. გაგიკვირდებათ და „ლევერკუზენი“ ერთადერთი გუნდია, რომელიც ამ სეზონში სტუმრად არ დამარცხებულა და „ფარმაცევტებს“ ამ სერიის გაგრძელება, ცხადია, ფრანკენლანდშიც სურთ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ლევერკუზენელებს ნიურნბერგთან შედარებით ძველი ანგარიში აქვთ გასასწორებელი. კერძოდ, წინა სეზონში **იუპ ჰაინკესის** გუნდმა პირველი მარცხი სწორედ „ნიურნბერგთან“ განიცადა (25-ე ტურში) და მას მერე აერდაერია ყველაფერი - ჩემპიონობას ვინ ჩივის, გუნდმა ჩემპიონთა ლიგის საგზურიც კი ველარ მოიპოვა. ფრანკების მთავარი მწვრთნელი **დიტერ ჰეკინგი** დღეს გუნდის მთავარ შემოქმედ **ილქაი გიუნდოგანს** ვერ გამოიყენებს. ვერ ითამაშებს კაპიტანი **ვოლფიც** (დისკვალიფიკაცია).

### ბოლო ბოლოსწინას წინააღმდეგ

დღეს საღამოს კი დღის წესრიგში ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგება, რადგან აუტსაიდერი „გლადბახი“ ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „შტუტგარტს“ მასპინძლობს. ორივე გუნდის ფეხბურთელები და მწვრთნელები კარგად ხვდებიან ამ მატჩის მნიშვნელობას. შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში შვაბებმა მიონხენგლადბახელები 7:0 გაანადგურეს და მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ იმ მატჩიდან 17 ტურის შემდეგ „შტუტგარტიც“ გასავარდნ ზონაში იქნებოდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ შვაბებს ამ სეზონში სტუმრად ჯერ არც ერთი მოგება არ აქვთ. **ბრუნო ლაბადიას** გუნდში დებიუტი ექნება დორტმუნდის „ბორუსიადან“ არენდით აყვანილ უნგრელ ნახევარმცველ **ტამაშ ჰაინალს**. „გლადბახს“ კი თავის მხრივ, საკუთარ მოედანზე არ აქვს მოგება.

### ბომბარდირების დუელი

კვირის პირველი მატჩი ჰამბურგული დერბია: მასპინძლის რანგში ამჯერად HSV მოგვევლინება და აქვე შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში, „ზანკტ პაულის“ „მილერნტორშტადიონზე“ ჩატარებული დერბი ფრედ 1:1 დასრულდა. „ჰამბურგმა“ წინა ტურში „ნიურნბერგთან“ 0:2 წააგო და ჩრდილოელთა მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე** შეგირდებს „პაულისთან“ მატჩისთვის მაქსიმალური კონცენტრაციისკენ მოუწოდებს. ნოემბრის შემდეგ პირველად ითამაშებს „ჰამბურგის“ დაცვის ჰოლანდიელი ბურჯი **იორის მატიისენი**, რომელიც გამოჯანმრთელდა და უკანა ხაზში დისკვალიფიცირებულ **გოიკო კაჩარს** შეცვლის, რომელიც ზოგადად საყრდენი ნახევარმცველია და დაცვაში მხოლოდ იმიტომ ათამაშებდნენ, რომ გუნდს სხვა ცენტრალური მცველები აღარ ჰყავდა.

„ჰამბურგისგან“ განსხვავებით, ძალიან კარგი განწყობაა „ზანკტ პაულიში“, რადგან კიცელები 2011 წელს ჯერჯერობით წაუგებლად ასპარეზობენ (სამ თამაშში 5 ქულა). მიუხედავად იმისა, რომ „პაული“ აუტსაიდერად მიიჩნევა, გუნდის მთავარი მწვრთნელი **ჰოლგერ სტანისლავსკი** მინიმუმ ქულის აღებას გეგმავს და ამბობს, „ჰამბურგთან“ წაგება დაუშვებელიაო.

ტურს „ფრაიბურგისა“ და ფრანკფურტის „აინტრახტის“ დაპირისპირება დახურავს. ეს მატჩი ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის საუკეთესო გოლეადორების დუელია: ერთ მხარეს „ფრაიბურგი“ და მისი თავდამსხმელი **პაპის დემბა სისე**, რომელიც 15 გოლით ბომბარდირთა დავას (**მარიო გომესთან** ერთად) სათავეში უდგას და მეორე მხარეს „აინტრახტი“ და მისი ბერძენი ფორვარდი **თეოფანის გეკასი** 14 გოლით. აღსანიშნავია, რომ გეკასს წელს ჯერ გოლი არ გაუტანია და ცდილობს, დაიბრუნოს ის ფორმა, როგორშიც სეზონის პირველ ნახევარში იყო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 21 | 16 | 3 | 2 | 46-12 | 51 |
| 2. ლევერკუზენი | 20 | 11 | 6 | 3 | 41-29 | 39 |
| 3. ბაიერნი | 20 | 10 | 6 | 4 | 40-23 | 36 |
| 4. მაინცი | 20 | 12 | 0 | 8 | 31-21 | 36 |
| 5. ჰანოვერი | 20 | 11 | 1 | 8 | 28-30 | 34 |
| 6. ფრაიბურგი | 20 | 10 | 3 | 7 | 29-28 | 33 |
| 7. ჰამბურგი | 20 | 9 | 3 | 8 | 29-30 | 30 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 20 | 7 | 8 | 5 | 36-26 | 29 |
| 9. შალკე | 21 | 7 | 5 | 9 | 26-26 | 26 |
| 10. აინტრახტი | 20 | 8 | 2 | 10 | 24-26 | 26 |
| 11. ნიურნბერგი | 20 | 7 | 5 | 8 | 25-30 | 26 |
| 12. ვოლფსბურგი | 20 | 5 | 8 | 7 | 26-29 | 23 |
| 13. კაიზერსლაუტ. | 20 | 6 | 4 | 10 | 29-34 | 22 |
| 14. ზტ. პაული | 20 | 6 | 4 | 10 | 23-34 | 22 |
| 15. ვერდერი | 20 | 6 | 4 | 10 | 26-42 | 22 |
| 16. კიოლნი | 20 | 5 | 4 | 11 | 22-37 | 19 |
| 17. შტუტგარტი | 20 | 4 | 4 | 11 | 22-37 | 16 |
| 18. ბორუსია (მ) | 20 | 4 | 4 | 12 | 29-50 | 16 |

**ბომბარდირები:** 15 - სისე (ფრაიბურგი), გომესი (ბაიერნი); 14 - გეკასი (აინტრახტი); 11 - ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი).




პარასკევის მატჩი

# ბორუსია 0:0 ნოიერი

## შალკეს დორტმუნდიდან ქულა მეკარემ წაადებინა

**ბორუსია (დ)-შალკე 0:0**

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიუჩეკი, ჰუმელსი, ფელიპე სანტანა, შმელცერი - ს. ბენდერი, ნ. შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი (89. ზიდანი), გიოტცე, გროსკროიტცი (73. ლევანდოვსკი) - ბარიოსი.

**შალკე (4-2-2-2):** ნოიერი - უჩიდა, ჰიოვედესი, მეტცელდერი, შმიტცი - ანანი (76. პაპადოპულოსი), კლუგე - ფარფანი, ხურადო (81. ჰაო) - რაული, ჰუნტელაარი (87. დრაქსლერი).

**გაფრთხილება:** ს. ბენდერი, გროსკროიტცი - ჰუნტელაარი, შმიტცი, ჰაო

**მაყურებელი:** 80 720

...მერე რა, რომ გოლები ვერ ვნახეთ, რურის 137-ე დერბი მაინც ძალიან მაგარი სანახავი იყო. ვინც თამაში ვერ (ან არ) ნახა, სათაურითაც მიხვდება: ის, რომ „შალკემ“ დორტმუნდიდან ქულა წაიღო, მხოლოდ მისი ბრწყინვალე მეკარის, **მანუელ ნოიერის** დამსახურებაა, რომელიც ბუნდესლიგის ერთპიროვნულ ლიდერს ფაქტობრივად მარტო ეომებოდა. დორტმუნდელები მთელი მატჩის განმავლობაში უკანმოუხედავად უტევდნენ (მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისში იყვნენ შედარებით მშვიდები), „შალკეს“ კი აბსოლუტურად არაფერი გაუკეთებია - თუ არ ჩავთვლით ერთიორ კონტრშეტევას, როცა შალკელებს **იურგენ კლოპის** აღვირახსნილი შეგირდების დასჯა შეეძლოთ.

„ბორუსიას“ ხუთი ასპროცენტიანი და კიდევ რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ჰქონდა და ნოიერმა ხუთჯერ იხსნა „შალკე“. ამიტომაც იყო, შესვენებაზე გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** რომ თქვა, დღეს „ბორუსია“ „შალკეს“ კი არა, ნოიერს ეთამაშებაო. 55-ე წუთზე **ბარიოსმა** ბურთი ხუთი მეტრიდან ძელს მოარტყა, რის შემდეგაც ჯერ **ფარფანს**, მერე კი **ხურადოს** შეეძლო შეტევებით გართული მასპინძლების დასჯა. ნოიერის კარის ძელს ბურთი **გიოტცემაც** მოარტყა, ბოლოს კი მანუელმა შეცვლაზე შესულ **ლევანდოვსკის** აულო მკვდარი ბურთი. მოკლედ, ფრე, რომელსაც მაინც ჰყავს გამარჯვებული: მანუელ ნოიერი!

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



მანუელ ნოიერმა ამ მომენტში იაკუბ (კუბა) ბლაშჩიკოვსკის აულო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ძიუდო

# ზაიზენბახერი–ლიპარტელიანი: ორხელისუფლიანობა ქართულ ძიუდოში

ცოტა არ იყოს და, გაურკვეველი ვითარების შემდეგ დავადგინეთ, ვის რა ფუნქცია დაეკისრება ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრების ხელმძღვანელობაში. **სოსო ლიპარტელიანი** მთავარი მწვრთნელის სტატუსს კვლავაც ინარჩუნებს, მაგრამ მისი რეალური ფუნქცია რამდენადმე განსხვავებულია - ყველა ასაკობრივი ნაკრების კურატორობა, ეროვნულ ნაკრებში მთავარმწვრთნელობას კი ავსტრიელი კონსულტანტი **პეტერ ზაიზენბახერი** გასწევს. სწორედ მან შეადგინა ნაკრებისა თუ ცალკეულ ათლეტთა სავარჯიშო გეგმა, ის დააყენებს შემადგენლობას ნებისმიერ ტურნირზე, უხელმძღვანელებს ყოველდღიურ ვარჯიშებს და თვითონვე იქნება პასუხისმგებელი შედეგებზეც. ლიპარტელიანის ფუნქცია ლამის კოპირებაა სსრკ-ის დროინდელი სახელმწიფო მწვრთნელის თანამდებობისა – ის იქნება კურატორი და გააკონტროლებს სამივე ასაკის ნაკრებს, შეასრულებს მენეჯერის ფუნქციებს და კონტრაქტის ამოწურვისას გააკეთებს დასკვნას, როგორ შეასრულეს მწვრთნელებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. ცვლილებები არ შეხებია ასაკობრივ ნაკრებებს - ახალგაზრდულში მთავარი მწვრთნელი კვლავაც **გიორგი გუგავაა**, ჭაბუკებში – **გიორგი ვაზაგაშვილი**. ლიპარტელიანი არც შემადგენლობის შერჩევაში ჩაერევა, არც – გუნდის დაკომპლექტებაში, არც – ყოველდღიურ საწვრთნელ პროცესში, მაგრამ არც შედეგებზე მოეთხოვება პასუხი. თავის ფუნქციებს ინარჩუნებენ მწვრთნელთა საბჭოში ლიპარტელიანის მიერ შეყვანილი მწვრთნელებიც, თუმცა ეროვნულ ნაკრებში ერთი თვალსაჩინო მატებაცაა - ზაიზენბახერის თანაშემწედ ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური** იმუშავებს. როგორც ამბობენ, მწვრთნელი-ზვიადაური აბსოლუტურად ანტიპოდია სპორტსმენი-ზვიადაურისა – ძალზე მოტივირებულია დ ვარჯიშებს ზემკაცრად ეკიდება, გასაქანს არ აძლევს მოჭიდავეებს და დისციპლინის განუხრელ დაცვას მოითხოვს. ამბობენ, საქართველოს ჩემპიონატის წინ ბათუმში სავარჯიშოდ წაყვანილ სამეულს ლამე ოთახშიც კეტავდაო. საკუთარ გაფლანგულ ნიჭზე რომ ძალიან სწყდება გული, ის ამას არც მალავს და მისი მიდგომაც გასაგებია.



პეტერ ზაიზენბახერი

მოგეხსენებათ, ზაიზენბახერთან ქართულმა მხარემ კონტრაქტი 1+6 სისტემით გააფორმა - მის მიერ გაკეთებული საქმეები ერთი წლის მერე უნდა დაითვალონ. სწორედ მაშინ უნდა გადაწყდეს, გაუგრძელონ თუ არა კონტრაქტი. თუმცა შეიძლება, ეს საკითხი მანამდეც გაირკვეს, რადგან ორიენტირად 22-28 აგვისტოს პარიზში გასამართი მსოფლიოს პირველობაა აღებული – ის იქნება შედეგების მთავარი განმსაზღვრელი და არა ევროპა. ზაიზენბახერის გადაწყვეტილებით, ევროპაზე შესუსტებული შემადგენლობით გამოვალთ – ლიდერები არ იჭიდავებენ, რადგან ერთ სეზონში ორჯერ ფორმის პიკში შესვლა მიზანშეუწონლად მიიჩნია. მისი თქმით, ის აქედანვე შეუდგა მსოფლიოსთვის მოჭიდავეთა მზადებას.

ზაიზენბახერმა შეარჩია ის შემადგენლობაც, რომელიც დღეს და ხვალ პარიზში, „დიდ მუზარადზე“ იჭიდავებს. აქ მას ტრავმების გამო იძულებითმა ცვლილებებმა მოუწია – თბილისის მსოფლიოს თასის ტრიუმფატორმა **ამბაკო ავალიანმა** (73) და ბრინჯაოს პრიზიორმა **ზვიად ხანჯალიაშვილმა** (120) წასვლა ვერ შეძლეს. არადა, მათთვის თანხა უკვე გადახდილი იყო და ეს ფული რომ არ დაეკარგათ, **ლაშა ზურაბიანი** (73) და **ადამ ოქრუაშვილი** (120) გაუშვეს.

„დიდ მუზარადზე“ დღეს 60, 66 და 73-ის ფალავნები იჭიდავებენ. გუშინ გამართულმა წილისყრამ ჩვენებურთა მეტოქეებიც გამოავლინა. **ამირან პაპინაშვილი** (60) პირველ წრეში ისვენებს და ფინელ **იუჰო რეინოლდსა** და ლატვიელ **დმიტრი კოზლოვს** შორის მოგებულს შეხვდება. ამავე წონაში **ბეთქილ შუკვანი** საუდის არაბეთის წარმომადგენელ **ეისა მაირაშის** ხვდება. პაპინაშვილი ძალიან ძლიერ ქვეჯგუფში მოხვდა – აქ უზბეკი მსოფლიოს ჩემპიონი და მსოფლიოს შემდეგ ლამის ყველა ტურნირის მომგები **რიშოდ სობიროვი**, ავსტრიელი მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი, ევროპის ორგზის ჩემპიონი **ლუდვიგ პაიშერი**, ფრანგი ევროპის მოქმედი ჩემპიონი **სოფიან მილუ** და ახალგაზრდებში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იაპონელი **ტორი შიშიმე** არიან.

66-ში მონაწილე არ გვყავს, 73-ში კი **თენგიზ პაპოშვილი** ნიგერიელ **აბას სალიჰუსთან** ჭიდაობს, **ნუგზარ ტატალაშვილი** – საქართველოდან წასულ ებრაელ **იოსებ ფალელაშვილთან**. ფალელაშვილი თბილისის ტურნირზე მესამეზე გავიდა, დამამშვიდებელში კი ნახევარფინალში ავალიანთან წაგების შემდეგ მოხვდა. ფალელაშვილი-ტატალაშვილის წყვილში გამარჯვებულს იქვე ტაჯიკი მსოფლიოსა და ოლიმპიადის მესამე პრიზიორი **რასულ ბოკიევი** ელოდება, მათ სიახლოვეს კი ჰოლანდიელი ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **დექს ელმონტი** და ფრანგი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ბენჟამინ დარბელეც** არიან. პაპოშვილი ნიგერიელთან წარმატების შემდეგ (რაც სრულიად მოსალოდნელია) ბელგიელ **დიკ ვან ტიჩელთთან** იჭიდავებს, ბადის ეს მხარე კი არც ისე ძლიერია. აქ მხოლოდ იმავე ტიჩელტის, უნგრელ ევროპის პრიზიორ **ატილა უნგვარის**, პორტუგალიელ **ჟოაო პინას** და იმ ბელარუს **ალექსანდრ რამანჩიკს** გამოვარჩევთ, ვისაც თბილისში ავალიანმა ფინალში ბრწყინვალედ მოუგო.

**ლევან ნიკლაური** (81) ტურნირში მესამე წრიდან ჩაებმება და არც იქ ეყოლება ძლიერი მეტოქე – სავარაუდოდ, ფინელი **ანნტი ვირტა**, რომელსაც მანამდე კატარელი **ავად ნაემის** დამარცხება არ უნდა გაუჭირდეს. ამ წონაში **ლაშა ზურაბიანი** მეორე წრეში უზბეკ **მუმინ ნაბიევს** ხვდება. პირველ შეხვედრას მესამე წრეში გამართავს **ვალერი ლიპარტელიანიც** (90) და ძლიერი მოწინააღმდეგე არც მას ეყოლება – იორდანიელი **იბრაჰიმ ხალაფი** ან უცნობი ჰოლანდიელი **რობი ვან ლაარჰოვენი**. მას დიდად სერიოზული კონკურენტი არც ამათთან წარმატების შემდეგ დახვდება –კოლუმბიელ **რაფაელ რომოს**, პოლონელ **კრშიშტოფ ვეგლარცს** და კანადელ **ალექსანდრე ემონდის** სამეულში გამარჯვებული. **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) პირველ წრეში ისვენებს და ფრანგ **მაელ ლე ნორმანდისა** და პოლონელ **ტომაშ დომანსკის** შეხვედრას დაელოდება. მძიმეში **ადამ ოქრუაშვილის** მეტოქე ბულგარელი **ივან ილიევია**.

ირაკლი თავაძე



ჭიდაობის ფედერაცია და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 60 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი ფალავანი, თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მსოფლიოს პირველობის ვიცე-ჩემპიონი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში, ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი, საუკეთესო ადამიანური ღირსებებით გამორჩეული პიროვნება

კობა (სოსო) სუთიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩოგბურთი

# ქართული მეოთხედფინალი მალიორკაში

ესპანურ მალიორკაში, კალა მიორის კორტებზე გრძელდება 10-ათასიანი ტურნირი ქალ ჩოგბურთელთა შორის. მერვედფინალში მე-4 ნომრად განთესილმა **სოფიო ქვაცაბაიამ** (413) ძალზე იოლად მოუგო მასპინძელ **კაროლინა პრატს-მილანს** (1019) - 6:1, 6:0. მე-8 ნომრად განთესილმა **ეკა გორგოძემ** (623) კი „უაილდ ქარდით“ მიწვეული ავსტრიელი **შტეფანი ჰირში** (1033) დაამარცხა - 6:0, 7:6 (6). ასე მივიღეთ ქართული მეოთხედფინალი ბალეარის კუნძულებზე - ქვაცაბაია გორგოძეს შეხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თანამემამულეები არიან და ტურნირებზეც ხშირად ერთად დადიან, ქვაცაბაია და გორგოძე ერთმანეთს მხოლოდ მეორედ დაუპირისპირდებიან კარიერაში. პირველი მატჩიც ესპანეთში გაიმართა, 2008 წელს ლეიდაში გორგოძემ 6:2, 6:1 გაიმარჯვა. სხვათა შორის, ის შეხვედრაც მეოთხედფინალური იყო, გორგოძე კი მაშინ 17 წლის გახლდათ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სათხილამურო თხილამურობა

# ორჯერვე პირველ ცდაზე

17 წლის **ნინო ნიკლაურისთვის** მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ხეირიანად დაწყებულიც არ იყო, რომ დასრულდა კიდეც - ჩვენებურმა როგორც გიგანტურ სლალომში, ასევე სლალომში, ვერ შეძლო პირველივე ცდის ჩამთავრება და მისთვის მსოფლიოს ჩემპიონატიც აქ დასრულდა.

შვეიცარიულ კრანს მონტანაში მიმდინარე მსოფლიო პირველობის ბოლო დისციპლინა ვაჟთა სუპერგიგანტია, სადაც **დიმიტრი გედევანიშვილი** და **ჯაბა გელაშვილი** ასპარეზობენ.

ის ქართველი მოთხილამურეები, რომლებიც მხოლოდ სლალომებში მონაწილეობდნენ კრანს მონტანაში, უკვე სხვა ტურნირზე გადაერთვნენ - **კოტე ვახტანგიშვილი, ალექსი ბენიაიძე** და **ბიძინა ქართველიშვილი** იტალიურ სეისერალმში გიგანტურ სლალომში გამოვიდნენ, მაგრამ წარუმატებლად - კოტე ვახტანგიშვილმა 70-ე ადგილი დაიკავა, სხვებმა კი ტრასა ვერ დაასრულეს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კოლეგები

„ლელო“ და „დრონი“ დრომ დააკავშირა იმთავითვე ერთმანეთთან. არაერთმა ლელოელმა შემოქმედებითი საქმიანობა „დრონში“ გააგრძელა თვით მისი ადრინდელი და ახლანდელი რედაქტორის ჩათვლით. „ლელოს“ არაერთი ჟურნალისტი თანამშრომლობდა და თანამშრომლობს დღესაც „დრონთან“.

განახლებული გაზეთის პირველი ნომერი უკვე იხილა მკითხველმა. ეს 24-გვერდიანი გამოცემა კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გამოვა და უაღრესად საინტერესო თემებთან ერთად სპორტის ანალიტიკითაც იქნება გამორჩეული.

გზა დავულოცოთ!

დრო, დრო აღვნიშნოთ! 2011 წლის 3 თებერვალი „დრონის“ მეორედ მოსვლის დღეა!

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

1. „რუსენბორგი“; 2. ნორვეგია; 3. ბორგი; 4. ჰიიპია; 5. ნიკე; 6. „მოდენა“; 7. ნისტელროი; 8. „ლივერპული“; 9. შეი; 10. ტორესი; 11. სოლარი; 12. ფიდე; 13. კოლერი; 14. სისინიო; 15. ლილი; 16. ელბერი; 17. ვიეირა; 18. „ალავესი“. 19. მილა; 20. ბალაკი; 21. დიდიე; 22. როი; 23. ლამი; 24. რამოსი; 25. ბობი; 26. დინო; 27. ოსაკა; 28. რობინიო; 29. ოლიჩი.

ფოტოებზე: 7. რუუდ ვან ნისტელროი; 13. იან კოლერი; 20 მიხაელ ბალაკი

ადამიანი დროში



მარცხნიდან: ლადო ვარძელაშვილი, ნინო სალუქვაძე, მერაბ მეტრეველი, ვახტანგ სალუქვაძე

ავტორის ფოტო

# გზა მიზნით გამართლებული, მამა შვილითაც ქებული

ტევა არ იყო გუშინ ოლიმპიური ჩემპიონის - **ნინო სალუქვაძის** ტირში: საქართველოს და საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, ღირსების ორდენოსან **ვახტანგ სალუქვაძეს** მასპინძლებთან ერთად უკრაინელმა სტუმრებმაც მიულოცეს რვა ათეული წლის იუბილე. ფედერაციამ ტყვიის სროლაში საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელად აღიარა ოლიმპიური ჩემპიონის აღმზრდელი, ჭაბუკობისას თავად შესანიშნავი ჩუბინი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, რომელმაც 1967 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა მოიგო, ექვსჯერ სსრკ ჩემპიონატებსა და რვაჯერ შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობებში გაიმარჯვა, რომ არაფერი ვთქვათ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებზე.

არადა, ცეცხლის ხაზზე შემთხვევით მოხვდა. ჭაბუკობისას, როგორც ყველა ქართველი, ფეხბურთით იყო გატაცებული. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ოდესის ორწლიან სამხედრო სასწავლებელში განაგრძო. იქ აიღო პირველად პისტოლეტი ხელში. მომავალ ოფიცერს მიზანში ზუსტი სროლა სამსახურებრივად ევალებოდა. 1952 წელს ქვეყნის წინაშე სამხედრო ვალის მოსახდელად ოდესის ოლქში გაანაწილეს. სწორედ იმ წელიწადს მოიგო პისტოლეტიდან სროლაში დივიზიის პირველობა. თუმცა დიდ სპორტში დიდი გამარჯვებები ორმოცდაათიანი წლების მიწურულსა და სამოციან წლებში მოვიდა. წარმატებების მიუხედავად, საბჭოთა სპორტის მამები მაინცდამაინც არ სწყალობდნენ.

— 1968 წელს რომ დავქორწინდით, ვახტანგი უკვე სახელოვანი სპორტსმენი იყო, — მითხრა იუბილარის მეუღლემ ქალბატონმა ნანულიმ. — ხშირად დადიოდა შეჯიბრებებსა და საწვრთნელ შეკრებებზე. მეც თან დავყავდი. ახალგაზრდა ვიყავი და მიხაროდა. ნინოს შეძენის შემდეგ დედა-შვილი უფრო შინ ველოდებოდით. ახალგაზრდობისას ვახტანგს ბევრი ნერვიულობა შეხვდრია. 1960 წელს იხსენებს ხშირად. მაშინ რომის ოლიმპიადაზე 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **მაჰმუდ უმაროვი** და ვერცხლის პრიზიორი **ალექსანდრ გუშჩინი** წაუყვანიათ. არადა, უმაროვისთვის, რომელმაც იტალიის დედაქალაქში 552 ქულით ვერცხლის მედალი მოიპოვა, ყველა შეჯიბრება მოუგია. თანაც იმავე პერიოდში ვახტანგმა მოსკოვში დოსააფის საკავშირო პირველობაზე 557 ქულით გაიმარჯვა. ისე კარგად ყოფილა მომზადებული, ოლიმპიადიდანაც უმედლოდ არ დაბრუნდებოდა.

— 1962 წელს კაიროში მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა წავსულიყავი, რადგან საკავშირო პირველობასა და სხვა საკონტროლო ტურნირებზე ყველა კონკურენტს ვაჯობე, მათ შორის - ვლადიმირ სტოლიპინს, რომელმაც ეგვიპტის დედაქალაქში ოქროს მედალი მოიპოვა. საკმარისი გახდა, ავადმყოფობის გამო ერთი შეკრება გამეცდინა, ნაკრების სიიდან ამომრიცხეს, - ნაღვლიანი ღიმილით ამბობს იუბილარი.

— მამა ჯერ კიდევ მოქმედი მსროლელი გახლდათ და კარგ ფორმაშიც იყო, 1984 წლის ზაფხულში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ოთხი ოქროს მედალი რომ მოვიპოვე. მაშინ გადაწყვიტა, აქტიური სპორტისთვის თავი დაენებებინა და მთელი ყურადღება ჩემს დაოსტატებაზე გადმოეტანა. წარმატებებს სწორედ მას ვუმადლი. რომ არა მამაჩემი, ექვს ოლიმპიადაში ნამდვილად ვერ ვიასპარეზებდი. მერწმუნეთ, როგორც მშობელზე არ ვამბობ: ნამდვილად ღირსია, ტყვიის სროლაში ჩვენთან ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელად რომ აღიარეს. მას ხომ ქართველების გარდა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრებზეც დიდი ამაგი მიუძღვის.

ნინო სალუქვაძის სიტყვები კიდევ ერთმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ოდესელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **იაკობ ჟელეზნიაკმაც** დაადასტურა:

— ნახევარი საუკუნეა, ვახტანგ სალუქვაძესთან ვმეგობრობ. ბიჭი ვიყავი, ის რომ გავიცანი თბილისში 1960 წელს უკრაინა-საქართველოს მსროლელთა ამხანაგური მატჩისას. მომდევნო წელს ლვოვში შეიარაღებული ძალების საკავშირო ჩემპიონატში შევხვდით ერთმანეთს. მისი რჩევა-დარიგებები გამომადგა — სპორტის ოსტატის ნორმა შევასრულე. ამიტომ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ვახტანგ სალუქვაძე ჩემი არა მარტო მეგობარი, არამედ მასწავლებელიც იყო. ახალგაზრდებს გვიყვარდა მასთან ურთიერთობა, როგორც მაშინდელი სროლის მეტრთან, რომელიც ზოგიერთივით ფარშევანგის იერით კი არ დადიოდა, არამედ უბრალოებითა და იუმორის ნიჭით გვხიბლავდა. მე, ოდესელს, იუმორით რომ გამაკვირვებს კაცი!.. სწორედ ასეთი იყო ჩვენი ვახტანგი და ასეთად დარჩა ამ 50 წლის განმავლობაში, რაც კი ვიცნობ. აქტიურ სპორტს რომ ჩამოვშორდი, მის შემდეგაც ხშირად ვეძებდი საბაბს მასთან შესახვედრად. ახლა კი საბაბმა თავად მომძებნა — როგორ შეიძლებოდა ვახტანგ სალუქვაძის 80 წლის იუბილეზე არ ჩამოვსულიყავი საქართველოში.

და კიდევ ერთი: მამა-შვილმა სასწაული ჩაიდინა. რაც ნინო სალუქვაძემ ვახტანგის დახმარებით გააკეთა, ეს ფანტასტიკაა. სეულის ოლიმპიადაზე ოქრო-ვერცხლის მოპოვების შემდეგ გავიდა ოცი წელიწადი და ნინო სალუქვაძე კვლავ ავიდა კვარცხლბეკზე — ბრინჯაო მოიპოვა... ოცი წლის შემდეგ. მსგავსი რამ მსოფლიო სპორტის ისტორიაში არ მახსენდება...

— ასეთი რამ მხოლოდ სალუქვაძეებს შეეძლოთ ჩაედინათ. უკრაინელი მსროლელების სახელით ვულოცავ ბატონ ვახტანგს იუბილეს, - მეგობრის ნააზრევი უკრაინის სროლის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, იქაურ ჩუბინთა მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი კუქსამ** დაასრულა.

სანამ სტუმრებს ვესაუბრებოდი, იუბილარი მილოცვებს იღებდა. ტყვიის სროლის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ვახტანგ სალუქვაძე სპორტის მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა**, სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა**, თბილისის მერიის სპორტის სამსახურის უფროსმა **მერაბ ჩიქობავამ** და სხვებმა დაასაჩუქრეს. იუბილარს სამახსოვრო ჯილდოები უკრაინელმა მეგობრებმაც გადასცეს.

**ლადო ვარძელაშვილი:** *„ბატონო ვახტანგ, იუბილეს გილოცავთ და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ. თქვენ საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე აღუზარდეთ. კვლავაც ბევრი წარმატებული სპორტსმენი აღგეზარდოთ. მადლობა ნაყოფიერი მუშაობისთვის“.*

ვაჟა დანელია

## სუპერლიგა. I წრე ციფრებში

### სტატისტიკური ლიდერები

**ქულა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ქ. | ქ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 10 | 224 | 22.4 |
| 2. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 9 | 197 | 21.89 |
| 3. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 10 | 196 | 19.6 |
| 4. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 10 | 185 | 18.5 |
| 5. კოტე ტულუში | არმია | 10 | 174 | 17.4 |
| 6. ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 10 | 171 | 17.1 |
| 7. ზვიად ბაბიაშვილი | არმია | 10 | 168 | 16.8 |
| 8. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 9 | 151 | 16.78 |
| 9. ივანე მაისურაძე | ბათუმი | 9 | 145 | 16.11 |
| 10. ლევან ცეკვავა | ენერჯი | 10 | 160 | 16 |
| 11. რევაზ ჩაჩანიძე | აგრარული | 10 | 157 | 15.7 |
| 12. ჟულივეტ ტუჯანი | ენერჯი | 10 | 153 | 15.3 |
| 13. ბუბა ბერიშვილი | ქუთაისი | 10 | 151 | 15.1 |

**პასი**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | პ. | პ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 10 | 64 | 6.4 |
| 2. კოტე ტულუში | არმია | 10 | 55 | 5.5 |
| 3. გიორგი ტეტელაშვილი | აგრარული | 10 | 54 | 5.4 |
| 4. ტატო თავართქილაძე | სამედიცინო | 10 | 48 | 4.8 |
| 5. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 9 | 43 | 4.78 |
| 6. ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 10 | 47 | 4.7 |
| 7. ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 10 | 44 | 4.4 |
| 8. ბექა წივწივაძე | ენერჯი | 10 | 44 | 4.4 |
| 9. რევაზ დიდია | ქუთაისი | 9 | 37 | 4.11 |
| 10. ზვიად ანთაძე | სტუ | 10 | 41 | 4.1 |

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ჩ. | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ირაკლი გულისაბედაშვილი | სამედ. | 10 | 34 | 3.4 |
| 2. ლევან ცეკვავა | ენერჯი | 10 | 28 | 2.8 |
| 3. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 10 | 27 | 2.7 |
| 4. ზვიად ანთაძე | სტუ | 10 | 27 | 2.7 |
| 5. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 9 | 24 | 2.67 |
| 6. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 10 | 26 | 2.6 |
| 7. ბუბა ბერიშვილი | ქუთაისი | 10 | 26 | 2.6 |
| 8. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 10 | 22 | 2.2 |
| 9. გიორგი მარხვაშვილი | თსუ | 9 | 19 | 2.11 |

**დაფარება**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | დ. | დ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. სამუელ ლამუ | ენერჯი | 10 | 17 | 1.7 |
| 2. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 10 | 17 | 1.7 |
| 3. ბექა ბექაური | სამედიცინო | 10 | 16 | 1.6 |
| 4. დავით იმნაძე | შსს | 10 | 14 | 1.4 |
| 5. კარლ დამუსი | სოხუმი | 10 | 13 | 1.3 |
| 6. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 9 | 11 | 1.22 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | შ. | შ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 9 | 51 | 5.67 |
| 2. ლაშა ეძგვერაძე | დინამო | 9 | 37 | 4.11 |
| 3. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 10 | 40 | 4 |
| 4. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 10 | 39 | 3.9 |
| 5. ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 10 | 36 | 3.6 |
| 6. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 9 | 32 | 3.56 |
| 7. ირაკლი სორდია | სოხუმი | 10 | 35 | 3.5 |
| 8. ბექა წივწივაძე | ენერჯი | 10 | 32 | 3.2 |
| 9. გიორგი ტეტელაშვილი | აგრარული | 10 | 32 | 3.2 |
| 10. კოტე ტულუში | არმია | 10 | 32 | 3.2 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | მეტ. | საკ. | ჯამი | მ.საშ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 10 | 45 | 73 | 118 | 11.8 |
| 2. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 10 | 26 | 90 | 116 | 11.6 |
| 3. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 9 | 42 | 51 | 93 | 10.33 |
| 4. დავით იმნაძე | შსს | 10 | 36 | 60 | 96 | 9.6 |
| 5. კარლ დამუსი | სოხუმი | 10 | 43 | 52 | 95 | 9.5 |
| 6. კოტე ტულუში | არმია | 10 | 18 | 72 | 90 | 9 |
| 7. დავით უგრეხელიძე | არმია | 9 | 37 | 41 | 78 | 8.67 |
| 8. ზვიად ანთაძე | სტუ | 10 | 27 | 59 | 86 | 8.6 |
| 9. ჟულივეტ ტუჯანი | ენერჯი | 10 | 25 | 61 | 86 | 8.6 |
| 10. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 10 | 35 | 50 | 85 | 8.5 |
| 11. ბექა ბექაური | სამედიცინო | 10 | 33 | 49 | 82 | 8.2 |

### რეკორდები

**ქულა**

37 - ბექა ჩიკვილაძე (სტუ).

2-ქულა: 8/10. 3-ქულა: 5/10. საჯარიმო: 6/10.

18.12.10 სამედიცინო-სტუ

**მოხსნა**

19 - დავით ბარბაქაძე (შსს).

მეტოქის ფარზე: 11. საკუთარზე: 8.

30.11.10 სტუ-შსს

19 - რიჩარდ დამუსი (სოხუმი).

მეტოქის ფარზე: 6. საკუთარზე: 13.

27.11.10 დინამო-სოხუმი

**პასი**

13 - გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ).

01.11.10 სტუ-თსუ

**ჩაჭრა**

7 - გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ).

01.11.10 სტუ-თსუ

7 - ირაკლი გულისაბედაშვილი (სამედ.)

09.11.10 ენერჯი-სამედიცინო

7 - ლევან ცეკვავა (ენერჯი)

04.12.10 დინამო-ენერჯი

**დაფარება**

5 - ანატოლი ბოისა (არმია).

13.11.10 სტუ-არმია

5 - ვასილ ბერუაშვილი (სტუ).

26.11.10 ბათუმი-სტუ

### ვინ რამდენჯერ მოხვდა სიმბოლურში

| | |
|---|---|
| კოტე ტულუში (არმია) | 4 |
| მიხეილ ფანჩულიძე (თსუ) | 4 |
| ლაშა ფარღალავა (სოხუმი) | 4 |
| ბექა წივწივაძე (ენერჯი) | 3 |
| ზვიად ბაბიაშვილი (არმია) | 3 |
| ლაშა კეშელავა (ბათუმი) | 2 |
| ბუბა კვიმსაძე (ქუთაისი) | 2 |
| გიორგი მარკოიშვილი (შსს) | 2 |
| ბექა ჩიკვილაძე (სტუ) | 2 |
| სამუელ ლამუ (ენერჯი) | 2 |
| გიგი ბარბაქაძე (ქუთაისი) | 2 |
| რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) | 2 |
| ბუბა ბერიშვილი (ქუთაისი) | 2 |
| გივი ბაქრაძე (არმია) | 1 |
| ზვიად ანთაძე (სტუ) | 1 |
| რიჩარდ დამუსი (სოხუმი) | 1 |
| ვასილ ბერუაშვილი (სტუ) | 1 |
| ჟულივეტ ტუჯანი (ენერჯი) | 1 |
| ირაკლი კეიდია (სამედიცინო) | 1 |
| ზურაბ კორკოტაძე (თსუ) | 1 |
| რეზო დიდია (ქუთაისი) | 1 |
| ვახტანგ მინაშვილი (არმია) | 1 |
| ბესიკ ლეჟავა (შსს) | 1 |
| დავით ბარბაქაძე (შსს) | 1 |
| ირაკლი გულისაბედაშვილი (სამედ.) | 1 |
| მიხეილ ბერიშვილი (არმია) | 1 |
| თორნიკე ნინიაშვილი (სამედიცინო) | 1 |
| რეზო ათანელიშვილი (არმია) | 1 |
| მიხეილ ჭოჭუა (სამედიცინო) | 1 |
| დავით იმნაძე (შსს) | 1 |
| დავით ხანიაშვილი (სამედიცინო) | 1 |
| ავთანდილ ლომინაშვილი (ქუთაისი) | 1 |
| გოგა ცეკვავა (ენერჯი) | 1 |
| ირაკლი ალხანაიძე (დინამო) | 1 |

**მწვრთნელები**

| | |
|---|---|
| მალხაზ კოხრეიძე (ქუთაისი) | 3 |
| მიხეილ ბერუაშვილი (ენერჯი) | 3 |
| ლევან მოსეშვილი (არმია) | 2 |
| ნუგზარ ჭეიშვილი (თსუ) | 2 |
| ზურაბ ტომარაძე (სტუ) | 1 |
| დავით უსტიაშვილი (ბათუმი) | 1 |
| არჩილ ჟღენტი (შსს) | 1 |
| სერგო იშხნელი (სამედიცინო) | 1 |
| ვაჟა კვარაცხელია (სოხუმი) | 1 |
| დავით თორთლაძე (დინამო) | 1 |

## სუპერლიგა. პირველი წრის MVP:

### კოტე ტულუში

# თასის ფინალში, როგორც ბელგიასთან



**გუშინ რეგიონებში მეორე წრის პირველი ტურის მატჩები გაიმართა. დღეს კი სამი თბილისური შეხვედრა ჩატარდება. გადავწყვიტეთ პირველი წრის სტატისტიკა დღევანდელ ნომერში შემოგვეთავაზებინა. თან წრის საუკეთესოს, კოტე ტულუშის ინტერვიუს შემოგთავაზებთ.**

**შეგახსენებთ, რომ კოტემ პირველ წრეში ორჯერ შეასრულა სამმაგი დუბლი. მისი დახმარებით კი „არმიამ“ წრე პირველ პოზიციაზე დაასრულა.**

**კოტესთან ინტერვიუ შედარებით ახალი ამბით, საქართველოს ნაკრების წილისყრით დავიწყეთ. შეგახსენებთ, რომ 2004 წლის შემდეგ კოტე საქართველოს ნაკრების წევრია.**

- ახალს ვერაფერს ვიტყვი, წილისყრისას მართლაც გაგვიმართლა. იოლ ჯგუფში მოვხვდით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე გუნდს იოლი გასეირნება ელის. მომდევნო ეტაპზე გასვლის პრეტენზია ყველას აქვს. მათ შორის ჩვენც და მაქსიმუმს გავიღებთ მიზნის მისაღწევად.

**- მესამე კალათიდან საუკეთესო მეტოქე გვერგო...**

- საუკეთესო ვარიანტი სწორედ ბელგია იყო. გარდა იმისა, რომ მესამე კალათაში ბელგიაზე ძლიერი ნაკრებები იყვნენ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ გასულ ზაფხულს სწორედ ამ გუნდმა ორჯერ დაგვამარცხა და წყენა ჯერაც არ დაგვვიწყებია. პირველივე თამაში ბელგიასთან გვაქვს და ვნახავთ, რეალურად ვინ უფრო ძლიერია.

**- ბულგარეთის, ბელგიისა და უკრაინის უკან მოსატოვებლად სამი მოგება საკმარისი უნდა იყოს...**

- კარგი იქნება, მაგრამ ხშირად ყოფილა სიტუაცია, როცა რამდენიმე გუნდს თანაბარი ქულები მოუგროვებია და მიღებულ-ჩაგდებული ბურთები გადამწყვეტი აღმოჩენილა. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ რუსებმა ან სლოვენიელებმაც შეიძლება დაკარგონ ქულები. ამიტომ, უნდა ვეცადოთ, ოთხი მატჩი მაინც მოვიგოთ...

**- ნაკრების კალათბურთელებთან წილისყრის შესახებ ილაპარაკებდი...**

- რა თქმა უნდა. განწყობა საბრძოლოა. გვაქვს რწმენა, რომ სამეულში მოხვედრა შეგვიძლია. ბელგიაზე უკვე ვთქვი, ბულგარეთს ორჯერ მოვუგეთ, ხოლო რაც შეეხება უკრაინას, ჩემი აზრით, სწორედ მასთან შეხვედრა სჯობდა, ვიდრე საკვალიფიკაციოდან გადმოსულ რომელიმე გუნდთან. თუნდაც იმიტომ, რომ უკრაინას კარგად ვიცნობთ, ხოლო საკვალიფიკაციოდან არავინ იცის ვინ შეგვხვდებოდა, თან მისი ვინაობა აგვისტოს ბოლომდე არ გვეცოდინებოდა.

**- ახლახან „არმიამ“ საქართველოს თასი მოიგო, ფინალში შსს დიდი სხვაობით დაამარცხა.**

- დავამტკიცეთ, რომ ყველა კომპონენტში ძლიერები ვართ. ფინალში დაახლოებით ისეთი სიტუაცია იყო, როგორიც 2010 წლის 20 აგვისტოს - ერთ გუნდს ყველაფერი გამოუვიდა (ბელგიას), მეორეს - არაფერი (საქართველოს). მაგრამ შსს კვლავაც მთავარ კონკურენტად მიმაჩნია. გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს და მეორე წრიდან კიდევ მოუმატებს. არც ჩვენ ვაპირებთ ერთ ადგილზე გაჩერებას...

**- ფინალში საუკეთესოებად ბუბა ბერიშვილი და გიორგი შარაბიძე დასახელდნენ. რას იტყვი ახალ თანაგუნდელებზე?**

- ბუბა ჩვენთან ერთად სლოვენიურ შეკრებაზე იყო. იგი „არმიას“ კარგად შეეწყო. რაც შეეხება შარაბიძეს, იგი დიდი ხანი არაა, რაც დაგვემატა. მაქსიმალურად ვეცადეთ, გუნდს კარგად მორგებოდა და რა შედეგსაც მივაღწიეთ, ფინალში გამოჩნდა: ნახევარფინალში, თსუ-სთან ნორმალურად ითამაშა, ხოლო ფინალში დიდებულად გაისარჯა.

**- სუპერლიგაზეც ვთქვათ. პირველ წრეში ორმაგი დუბლი ორჯერ შეასრულე, სხვა მატჩებიც გავითვალისწინეთ და ჟურნალისტებმა წრის საუკეთესო კალათბურთელად გაღიარეთ.**

- მადლობის მეტი რა მეთქმის. სტატისტიკაში რომ ჩავიხედავ და დუბლს აღმოვაჩენ, მსიამოვნებს, მაგრამ ეს ჩემი თვითმიზანი არ არის. პირველ რიგში ვაკეთებ იმას, რაც გუნდს სჭირდება.

**- მატჩებისას თუ ხვდებოდი, რომ სამმაგ დუბლს უახლოვდებოდი?**

- მეორე შემთხვევაში ნამდვილად არ ვიცოდი, საბოლოოდ რა სტატისტიკა მექნებოდა და სამმაგი დუბლი ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო. პირველ შემთხვევაში კი, მესამე პერიოდში, ჩემმა ახალგაზრდა თანაგუნდელებმა მითხრეს - სამმაგ დუბლამდე მოხსნა გაკლიაო. თამაში ისე წარიმართა, ერთი მოხსნაც მივამატე...

**- ზოგადად პირველ წრეში „არმიას“ გამოსვლაზე რისი თქმა შეიძლება?**

- მეორე ტურში „ქუთაისთან“ დავმარცხდით, თუმცა მას მერე წრე წაუგებლად ჩავამთავრეთ. ბოლო ტურებამდე სატურნირო ცხრილის სათავეში შსს იდგა, თუმცა საბოლოოდ მაინც გავასწარით. დიდი სიურპრიზი შემოგვთავაზა „ენერჯიმ“, წრე მეორე ადგილზე დაასრულა. კარგი გუნდებია „ქუთაისი“, თსუ, „სოხუმი“... „სამედიცინოც“ გაძლიერდა. მოკლედ, საინტერესო მეორე წრე გველის.

## სუპერლიგა. XII ტური

**ბათუმი. 4 თებერვალი**

**ბათუმი–დინამო 104:70**

25:17, 24:17, 31:18, 24:18

ბათუმი: რამიშვილი (12ქ, 4პ), მიქელაძე (8ქ, 5პ), ნინუა (4ქ), სიხარულიძე (4ქ), ჩხატარაშვილი (9ქ), კეშელავა (21ქ, 13მ, 4პ, 3ჩ), ჩხაიძე, ელიაშვილი (6ქ, 11მ), ყველაშვილი (12ქ), სანაძე (28ქ, 5მ, 3ჩ).

დინამო: ივანეიშვილი (11ქ, 5მ), პატარაია (5ქ), თვაური (6ქ, 6მ), შალიკიანი (2ქ), ცაგარეიშვილი (2ქ), ალხანაიძე (18ქ, 12მ), გულდედავა (7ქ), ჩაველაშვილი (19ქ).

მსაჯები: დ. ბერიშვილი, დ. სადლობელაშვილი

კომისარი: ა. კაზანჯიანი

**რუსთავი. 4 თებერვალი**

**ენერჯი–ქუთაისი 57:70**

7:21, 9:17, 22:15, 19:17

ენერჯი: გ. ბერუაშვილი, მებურიშვილი (6მ), აბაიშვილი (12ქ, 5მ, 4პ), გუგავა, ხმელიძე (13ქ, 6მ), ლამუ (16ქ, 9მ, 3დ), ზედელაშვილი (9ქ), თვარაძე (3ქ), არაბული (3ქ, 3პ), ობგაიძე (1ქ).

ქუთაისი: ბაბუნაშვილი (2ქ), დიდია (7ქ), კვიმსაძე (15ქ, 10მ, 4პ), ტუკვაძე (4ქ), ბოლქვაძე (7ქ, 9მ), ლომინაშვილი (2ქ, 7მ), ცეკვავა (14ქ, 7მ), კოლუაშვილი (16ქ, 11მ, 3პ, 4ჩ, 2დ), კუჭავა (3ქ).

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე

კომისარი: გ. სანაძე

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 10 | 9 | 1 | 916/712 | 19 |
| 2. ქუთაისი | 11 | 8 | 3 | 925/803 | 19 |
| 3. ენერჯი | 11 | 7 | 4 | 805/775 | 18 |
| 4. შსს | 10 | 7 | 3 | 901/775 | 17 |
| 5. თსუ | 10 | 7 | 3 | 877/806 | 17 |
| 6. სოხუმი | 10 | 6 | 4 | 805/790 | 16 |
| 7. ბათუმი | 11 | 4 | 7 | 864/903 | 15 |
| 8. სამედიცინო | 10 | 3 | 7 | 741/759 | 13 |
| 9. სტუ | 10 | 3 | 7 | 828/887 | 13 |
| 10. აგრარული | 10 | 2 | 8 | 693/843 | 12 |
| 11. დინამო | 11 | 1 | 10 | 747/1049 | 12 |

## ევრობასკეტი

### ვლადიმირ გომელსკი:

# ფაჩულია, ალბათ, არ ჩამოვა

**წილისყრის შემდეგ მეტოქეთა კომენტარებს რეგულარულად ვეცნობით. საქართველოს ნაკრების შესახებ ყველაზე საინტერესოდ რუსები მსჯელობენ.**

**გუშინ, გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ საკალათბურთო ექსპერტ ვლადიმირ გომელსკისთან, რომელშიც იგი ყველა მეტოქეს ახასიათებს.**

**გთავაზობთ ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს.**

**- სლოვენია, რუსეთი, ბელგია, საქართველო, ბულგარეთი, უკრაინა...**

- შემადგენლობას თუ გავითვალისწინებთ, რუსეთმა პირველი ადგილისთვის უნდა იბრძოლოს. ბენილუქსელებმა ჯერაც არ იციან ბელგიის პასპორტის მქონე რამდენ ამერიკელს წაიყვანენ ლიტვაში, მაგრამ ეს გუნდი ასეც და ისეც უნდა დავამარცხოთ.

უკრაინის ნაკრები ყველა რგოლში საუკეთესო კალათბურთელებით იქნება დაკომპლექტებული. ერთ-ერთი მათგანი სერგეი ლიშჩუკი „აზოვმაშში“ (არადა, ლიშჩუკი „ვალენსიას“ ღირსებას იცავს - ვ.ს.) თამაშობს!

საინტერესო გუნდი ჰყავთ ქართველებს. მათ არსენალში ორი კარგი ცენტრია, მაგრამ საერთო ჯამში არათანაბრადაა დაკომპლექტებული. ამასთან, საკითხავია, ლიტვაში ორივე ვარსკვლავი გამოცხადდება? „ოლიმპიას“ ცენტრი გიორგი შერმადინი აუცილებლად ითამაშებს, ხოლო არა ვარ დარწმუნებული, რომ „ატლანტას“ მეფარე ზაზა ფაჩულია ლიტვაში ჩავა.

დაბოლოს, ბულგარეთი. ფიზმომზადებით, ეს გუნდი ჯგუფში საუკეთესოა, მაგრამ ვარსკვლავები არ ჰყავს. ვერ დაგისახელებთ ცნობილი ბულგრელი კალათბურთელის გვარს.

სლოვენიის ნაკრებთან კი პირველი ადგილისთვის ბრძოლა მოგვიწევს. იქაურმა კალათბურთის ფედერაციამ იურე ზდოვცი მთავარ მწვრთნელად დარჩენაზე ვერ დაითანხმა და ახალი სპეციალისტის ძიება მოუწევს. გუნდი დაკომპლექტდება ძმები ლორბეკებით, სმოდიშით, დრაგიჩით... ძალიან კარგი შემადგენლობაა, მაგრამ სათადარიგოებიდან ყველა 30 წელსაა გადაცილებული. ასე რომ, სლოვენიის ძლევაც შეგვიძლია.

**- ლიტვაში ოლიმპიადის საგზურებიც გათამაშდება.**

- საგზურს ორი ფინალისტი მიიღებს, ხოლო მომდევნო სამი გუნდი ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირს ითამაშებს. ევრობასკეტის ფინალში მოხვედრა შეგვიძლია, რისთვისაც საჭიროა ვარსკვლავებმა მოიყარონ თავი, როგორც ცაზე, ასევე ნაკრებში. თუ ხრიაპა და კაუნი ჯანმრთელები იქნებიან, თუ კირილენკო ჩამოვა, თუ ჰოლდენი დავითანხმეთ...

**- ევროპის ჩემპიონატზე პირველად ითამაშებს 24 გუნდი. ღირდა რაოდენობის გაზრდა და იოლი მატჩების მატება?**

- ასეთი განწყობით გავფრინდი თურქეთში მსოფლიო ჩემპიონატზე. მეგონა 24 მონაწილიდან 7 ძალიან სუსტი იყო, მაგრამ ასეთი მხოლოდ 2 აღმოჩნდა. ევროპის ჩემპიონატზე სუსტი მეტოქე არ არსებობს. საკვალიფიკაციოს მონაწილეებმა, ფინეთმა, პორტუგალიამ და უნგრეთმაც იციან კალათბურთის თამაში. ასე რომ, გველის თურქეთის მსოფლიო ჩემპიონატის დონის, შეიძლება უფრო საინტერესო ევრობასკეტი.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს რეგიონალური სპორტული ასპარეზობები

### აზიური თამაშები

აზიური თამაშები ტარდება 4 წელიწადში ერთხელ (ოლიმპიური თამაშებიდან 2 წლის შემდეგ). აზიური თამაშების ფედერაცია (ACF) შეიქმნა 1949 წელს. შტაბბინა ფედერაციის წესდებით განისაზღვრება მორიგი ვადით პრეზიდენტის არჩევის, საცხოვრებელი ქვეყნის და ადგილის მიხედვით.

ფედერაციაში შედიან: ავღანეთი, ბანგლადეში, ბირმა, ინდოეთი, ინდონეზია, იორდანია, ერაყი, ირანი, კამპუჩია, ჩინეთი, კუვეიტი, ლაოსი, ლიბანი, მალაიზია, ნეპალი, პაკისტანი, სინგაპური, სირია, ტაილანდი, თურქეთი, ფილიპინები, შრი-ლანკა, იაპონია და სხვა ქვეყნები.

თამაშების პროგრამაში, როგორც სავალდებულო, შედის მძლეოსნობა და ცურვა, დანარჩენს, არაუმეტეს სპორტის 8 სახეობისა, ირჩევს ყოველი ახალი თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი, მაგრამ აუცილებლად სპორტის აი, ამ 18 სახეობიდან: აფროსნობა, ბადმინტონი, ბალახის ჰოკეი, ველოსპორტი, კალათბურთი, კრივი, მაგიდის ჩოგბურთი, ნიჩბოსნობა, სროლა, ტანვარჯიში, ფარიკაობა, ფეხბურთი, ფრენბურთი, ცხენოსნობა, ჩოგბურთი, ძალოსნობა, ძიუდო, ჭიდაობა. პროგრამაში შერჩევით შეტანილი სპორტის სახეობები აუცილებლად უნდა იყოს დანერგილი მინიმუმ აზიის 6 ქვეყანაში და მათგან 4 აუცილებლად უნდა ჩაერთოს თამაშებში.

პირველი აზიური თამაშები 1951 წელს ჩატარდა და მას ინდოეთმა უმასპინძლა. შემდეგ მონაცვლეობით ტარდება სხვადასხვა ქვეყანაში.

## ვინ რა თქვა



„კლუბსა თუ ნაკრებში მწვრთნელისთვის მთავარია, შეძლებისდაგვარად საუკეთესო შემადგენლობა შემოიკრიბოს. ამ ნათქვამში შესაძლოა, ახალი არაფერია, მაგრამ ამის მიუხედავად, ფუნდამენტური მნიშვნელობა სწორედ შემადგენლობის შერჩევას ენიჭება და გუნდის თამაშის სტილსაც ეს განსაზღვრავს. იტალიაში ყველა გუნდი ერთი სისტემით როდი თამაშობს, ამიტომ მე იძულებული ვიყავი, ჩემი რჩეული მოთამაშეებისთვის ტაქტიკა მომერგო. ღრმად მწამს, რომ მწვრთნელი ფეხბურთელებს თავისი ტაქტიკის მიხედვით კი არ უნდა არჩევდეს, პირიქით, ფეხბურთელებს უნდა უსადაგებდეს ტაქტიკას. მერედა, ვილაცები აუცილებლად დაშავდებიან, რაც ვარიაციების აუცილებლობის წინაშე გაყენებს. გუნდს ნაირგვარი სქემით თამაში უნდა შეეძლოს, რათა ამა თუ იმ მოულოდნელობამ ხახამშრალი არ დაგტოვოს. მიყვარს გუნდები, რომლებიც, სიტუაციიდან გამომდინარე სისტემას ცვლიან, თუნდაც ეს ცვლილებები მატჩის მსვლელობისას გახდეს საჭირო. ტაქტიკის ცვლას ცოდნა სჭირდება. კლუბში ეს საქმე უფრო ადვილია.

ყველანაირი ფეხბურთი მიყვარს. დაუსრულებლად ვუყურებ თამაშებს და ვერ ვძლები, მაგრამ ვიმეორებ, არ მიყვარს, როდესაც მწვრთნელები მოთამაშეებს თავიანთ სისტემაზე მორგებას აიძულებენ. ფეხბურთი თავისთავადი უნდა იყოს, ის თვითონ არის სრულყოფილი და სწორედ ეს აღმაფრთოვანებს".

**მარჩელო ლიპი**

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** მოციგურავეთა გაერთიანება დაფუძნდა დიდ ბრიტანეთში 1742 წელს „ედინბურგის საციგურაო კლუბის" სახელწოდებით.

**პირველმა** კრივის წესების კრებული გამოსცა ინგლისელმა **ჯეკ ბრაუტონმა,** რომელიც თავად იყო მოკრივე ჩემპიონი. გამოცემა 1743 წლითაა დათარიღებული.

**პირველად** საათი სპორტში დროის ასათვლელად გამოიყენეს 1731 წელს.




*1976 წელი. მონრეალი (კანადა). XXI ოლიმპიური თამაშების აფიშა და მედალი*

## საინტერესო ამბები

### ჩემპიონი კუბერტენი

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელი **პიერ დე კუბერტენი** საფრანგეთის შვიდგზის ჩემპიონი იყო ტყვიით სროლაში. მისი დამსახურებაა, რომ სპორტის ეს სახეობა შეიტანეს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. მხოლოდ ორჯერ - 1904 და 1928 წლებში არ გამართულა ტყვიით მსროლელთა ოლიმპიური ტურნირი.

### მიჩნეულია ჩემპიონად...

არაბი მოჭადრაკე **ფილიპ სტამა** დიდ ბრიტანეთში დამარცხდა ფრანგ **ფილიდორთან** ცხრა პარტიისგან შემდგარ მატჩში (+6-2=1). მას შემდეგ ფილიდორი მიჩნეულია ჭადრაკში პირველ მსოფლიოს ჩემპიონად.

### პეტრარკა ალპინისტი?

ცნობილია, რომ გამოჩენილი იტალიელი პოეტი **ფრანჩესკო პეტრარკა,** რომელსაც ზოგიერთი ალპინიზმის მამამთავრადაც კი მიიჩნევს, ალპების მწვერვალ მონვენტუზე (1920 მ) ასულა.

## თარიღი. 5-11 თებერვალი

**05.1956 წ.** კორტინა დამპეცოში (იტალია) დაიხურა ზამთრის VII ოლიმპიური თამაშები. პირველად გამოვიდა სსრკ ნაკრებში საქართველოდან — კობა წაქაძე (ტრამპლინი).

**05.1924 წ.** საფრანგეთის ქ. შამონში დაიხურა ზამთრის I ოლიმპიური თამაშები.

**06.1936 წ.** გარმიშ-პარტენკირხენი (გერმანია). გაიხსნა ზამთრის IV ოლიმპიური თამაშები.

**06.1968 წ.** გრენობლი (საფრანგეთი) გაიხსნა ზამთრის X ოლიმპიური თამაშები.

**07.1998 წ.** ნაგანო (იაპონია). გაიხსნა ზამთრის XVIII ოლიმპიური თამაშები.

**08.1948 წ.** სანქტ-მორიცში (შვეიცარია) დაიხურა ზამთრის V ოლიმპიური თამაშები.

**08.1992 წ.** ალბერვილი (საფრანგეთი). გაიხსნა ზამთრის XVI ოლიმპიური თამაშები.

**08.1984 წ.** სარაევო (იუგოსლავია). გაიხსნა ზამთრის XIV ოლიმპიური თამაშები.

**09.1964 წ.** ინსბრუკი (ავსტრია). დამთავრდა ზამთრის IX ოლიმპიური თამაშები.

**10.1950 წ.** დაიბადა მარკ სპიცი — ლეგენდარული ამერიკელი მოცურავე.

**10.1989 წ.** ლენი უილკინსი კალათბურთელთა „დიდების დარბაზში შეიყვანეს".

**11.1928 წ.** სანქტ-მორიცში (შვეიცარია) გაიხსნა ზამთრის II ოლიმპიური თამაშები.

## ვიქტორინა. თქვენთვის, ერუდიტებო

**1. რამდენგზის ოლიმპიური ჩემპიონია ამერიკელი მორბენალი და სიგრძეზე მხტომელი კარლ ლუისი?**

ა – ოთხგზის
ბ – შვიდგზის
გ – ცხრაგზის

**2. რა არის მატჩ-ბოლი?**

ა – სპორტის სახეობა
ბ – ჩოგბურთში გათამაშებული ბოლო, გადამწყვეტი ქულა
გ – მატჩებში წუთშესვენება

**3. თამაშდებოდა თუ არა ოლიმპიური მედლები 1896 წლის I ოლიმპიურ თამაშებში?**

ა – არ თამაშდებოდა
ბ – თამაშდებოდა
გ – თამაშდებოდა, მაგრამ მხოლოდ ვერცხლის მედლები

**4. რამდენჯერ გახდა ბრიტანეთში წლის საუკეთესო სპორტსმენი ნაიჯელ მენსელი?**

ა – ერთხელ
ბ – ორჯერ
გ – ოთხჯერ

**5. სად ტარდება ფორმულა 1-ის ყველაზე პრესტიჟული ტურნირი?**

ა – პარიზში
ბ – დაკარში
გ – მონაკოში

პასუხები მომდევნო ნომერში

## ღვთისავარ ანთაძის კუთხე

### ფეხბურთი ახლო ხედით

### მატჩის ხელის შემშლელი შემთხვევები



მსაჯს შეუძლია უარი თქვას მატჩის დაწყებაზე, თუკი:

**ა) სათამაშო მოედანი უვარგისია;**

**ბ) ცუდი ამინდია (ძლიერი ქარი, კოკისპირული წვიმა, თოვლი და ა.შ.);**

**გ) სათამაშო მოედანი ცუდად არის მონიშნული და მოწყობილობა აკლია;**

**დ) გუნდის ფეხბურთელთა რაოდენობა დადგენილ ნორმებს არ შეესაბამება;**

მსაჯმა უნდა გააკონტროლოს ასევე აფთიაქის შევსება შესაბამისი მედიკამენტებით, მასპინძელი გუნდის წარმომადგენლებს უნდა მოსთხოვოს ამის შესრულება. თუკი თამაშის დაწყებამდე მეტოქეებმა არ შეავსეს გუნდების შემადგენლობის გრაფები, თუკი კაპიტნებმა ხელი არ მოაწერეს, მსაჯს უფლება აქვს არ დაიწყოს მატჩი. მატჩის ხელშემშლელად შეიძლება ისიც გახდეს, რომ მსაჯს ეცვას ისეთი ფერის ფორმა, რაც ემთხვევა ერთ-ერთი გუნდისას, მაშინ მსაჯმა უნდა გამოიცვალოს.

მსაჯს უფლება აქვს, მატჩი შეწყვიტოს სხვადასხვა მიზეზთა გამო, თუკი თვლის, რომ საფრთხე ექმნება მატჩის მიმდინარეობას. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს: არეულობა ტრიბუნებზე, ნივთების სროლა მოედანზე და ა.შ.

# კროსვორდი



პასუხები მომდევნო ნომერში

შეადგინა ლალი ქიჟინაძე

**თარაზულად:** 1. პროფესიონალი მოკრივე (აშშ), როკი ბალბოას პროტოტიპი; 5. კანადური ეროვნული თამაში პეპლის საჭერისმაგვარი ჩოგნითა და ტყავის ბურთით; 8. ოლიმპიური თამაშების (პეკინი) ქართველი ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში; 9. საქართველოს საკალათბურთო გუნდი შემოკლებით; 10. ჩოგბურთელ ჰიუიტის სახელი; 12. ოლიმპიური თამაშების (მეხიკო) ქართველი ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში; 13. ქართველი მოჭადრაკე ქალი, საერთაშორისო დიდოსტატი; 14. სლოვაკი მეკარე ... მუხა; 15. შეფასება ძიუდოში; 16. "ლაციოს" ჩეხი თავდამსხმელი; 19. ჰოლივუდის მსახიობი, რომელიც ახალგაზრდობაში გატაცებული იყო ჩინური საბრძოლო ხელოვნებით; 20. ლონდონის ოლიმპიური თამაშების (2012) საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი; 21. "არსენალის" ფრანგი მცველი; 25. ცურვის სტილი; 26. სპორტული პრიზის სახეობა; 28. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 29. ორი ათლეტის შერკინება; 30. მსოფლიოს მე-5 ჩემპიონი მამაკაცი ჭადრაკში; 31. სპორტის სათამაშო სახეობა.

**შვეულად:** 1. ქალი, რომელმაც მსოფლიოში პირველმა განახორციელა ტრავერსი უშბის ორივე მწვერვალზე; 2. მოკრივეების სავარჯიშო "მსხალი"; 3. ზაგრების "დინამოს" ბრაზილიელი მცველი; 4. ცნობილი ხორვატი ვაჟი ჩოგბურთელი; 5. "ბაიერის" ქალაქი; 6. "კანის" ერთ-ერთი ყველაზე ტანმაღალი ფეხბურთელი, 7. ცნობილი რუსი სპორტსმენი ფიგურულ ციგურაობაში; 9. იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი; 11. კარატეს დაიბადების ადგილი; კუნძული; 17. "ვოლგას" ქართველი ნახევარმცველი; 18. ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი მოფარიკავე; 22. ვეტერანი ქართველი კალათბურთელი; 23. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი 2000-2004 წლებში; 24. შეჯიბრების დაწყების მომენტი; 25. "ამფიბიად" წოდებული მოცურავე ... ელბაქიძე; 27. "ასტონ ვილას" ყოფილი ტრინიდადელი თავდამსხმელი.

## თავსატეხი „ანთა". მეცხრამეტე ამოცანა

„ანთა" ინტელექტუალურ-გასართობი თავსატეხია საფეხბურთო ცხრილის შესახებ, თუმცა მის ამოსახსნელად სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული ცოდნა საჭირო არ არის. თავსატეხის არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენ შემოგთავაზებთ პირობით ქვეჯგუფს ოთხი გუნდის შემადგენლობით, თუმცა, ყველა გრაფა, გარდა ბურთების ბალანსის, ქულისა და დაკავებული ადგილისა, იქნება ცარიელი. თქვენ უნდა დააკვირდეთ თითოეულ მონაცემს და ლოგიკურად შეავსოთ ცარიელი ისე, რომ არ დაირღვეს არსებული მონაცემები. დაადგინეთ ურთიერთშეხვედრების ანგარიშები და ასევე ის, რამდენი მოგება, ფრე და წაგება აქვთ პირობითად A, B, C და D გუნდებს.

***შენიშვნა:** თ-თამაში; მ-მოგება, ფ-ფრე; წ-წაგება; ბ-ბურთების ბალანსი; ქ-ქულა; ა-ადგილი.*

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | | | | | | | | 3-0 | 9 | I |
| B | | | | | | | | | 4-2 | 6 | II |
| C | | | | | | | | | 1-4 | 1 | III |
| D | | | | | | | | | 0-2 | 1 | IV |

### წინა ამოცანის პასუხი

| ანთა | | | | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| A | | 1:0 | 2:0 | 2:1 | 3 | 3 | 0 | 0 | 5-1 | 9 | I |
| B | 0:1 | | 0:0 | 4:0 | 3 | 1 | 1 | 1 | 4-1 | 4 | II |
| C | 0:2 | 0:0 | | 1:0 | 3 | 1 | 1 | 1 | 1-2 | 4 | III |
| D | 1:2 | 0:4 | 0:1 | | 3 | 0 | 1 | 3 | 1-7 | 0 | IV |

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი

# ახალი სეზონი კაპიტნით


მარცხნიდან: დავით ზირაქაშვილი, რიჩი დიქსონი, გია ლაბაძე


მარცხნიდან: ზაზა ლეჟავა, ვალერი კოჩანოვი

**საქართველოს** მორაგბეთა ნაკრები წლევანდელ სეზონს ერთა თასის გათამაშების პირველ ტურში უკრაინის ნაკრებთან მატჩით გახსნის. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მეტოქე ტურნირს წლეულს შემოუერთდა და ფავორიტად არ მიიჩნევა. მით უფრო, რომ უკრაინის რაგბის ფედერაციას სერიოზული პრობლემები აქვს.

მატჩისწინა პრესკონფერენცია გუნდების წარმომადგენლებმა „ქორთიარდ მერიოტში" ცალ-ცალკე გამართეს. საქართველოს ნაკრების მწვრთნელისა და მოთამაშეების შემდეგ ჟურნალისტების წინაშე უკრაინის დელეგაციის წარმომადგენლები წარდგნენ. სტუმრებმა სიურპრიზი შემოგვთავაზეს, უკრაინის ნაკრების კონსულტანტად საქართველოს ნაკრების ყოფილი მოთამაშე, ზაზა ლეჟავა დაუნიშნავთ, რომელიც მანამდე ოდესის „კრედოსა" უკრაინის შვიდკაცა რაგბის ნაკრებს წვრთნიდა.

**ზაზა ლეჟავა:** „ეს დანიშვნა ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. ორი დღის წინ დამირეკეს და მითხრეს, უნდა დაგვეხმარო. დავთანხმდი. უკრაინაში დღეს რაგბის ძალიან უჭირს. დაახლოებით ისეთი ვითარებაა საქართველოში გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში რომ იყო. აბსოლუტურად იდენტური პრობლემებია. ეს ყველაფერი მე უკვე გავლილი მაქვს და, ვფიქრობ, უკრაინელებს სასარგებლო რჩევებით დავეხმარები.

რაც მთავარია, უკრაინას პოტენციალი აქვს. საკმაოდ მდიდარი ადამიანური რესურსი გააჩნია. უბრალოდ, საქმეს ორგანიზება და სწორი მიმართულებით წარმართვა სჭირდება".

**ვალერი კოჩანოვი, უკრაინის ნაკრების მწვრთნელი:** „ჩვენს ნაკრებში ძირითადად ორი წამყვანი უკრაინული კლუბის ოდესის „კრედოსა" და ხარკოვის „ოლიმპის" მორაგბეები არიან. გვყავს რამდენიმე ქართველიც, მაგრამ მათგან საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ მხოლოდ ერთი, ცხრა ნომერი ზურაბ კიკაჩეიშვილი ითამაშებს. მესამეხაზელი ჯაბა მალაღურაძე და უკანახაზელი გიორგი გეგიძე კი ტრავმირებულნი არიან.

საქართველოს ნაკრებთან მატჩში რაღაცას წავაგებთ, მაგრამ რაღაცით მაინც მოგებული დავრჩებით. ასეთი მაღალი დონის გუნდთან თამაში, ცხადია, საპატიოცაა და სასარგებლოც. ვფიქრობ, თქვენს გუნდთან თამაშით ბევრს ვისწავლით, გავიზრდებით.

საქართველოს ნაკრები ევროპის ერთ-ერთი წამყვანი გუნდია. ჩვენ ასეთი დონის მისაღწევად საკმაოდ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი. საამისოდ უკრაინაში, უწინარესად, საჭიროა ადამიანებმა მენტალიტეტი შეიცვალონ. ეს პრობლემა საქართველოში არ არის და ის ადამიანები, ვინც რაგბის განვითარებისთვის იღვწიან, უდიდეს საქმეს აკეთებენ."

**რიჩი დიქსონი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:** „ქართული რაგბისთვის წლევანდელი სეზონი უმნიშვნელოვანესია. ის ერთა თასის გათამაშებით იწყება, რომელსაც საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს. ამასთან, ეს შეჯიბრება საშუალებას გვაძლევს, თავის გამოჩენის შესაძლებლობა მივცეთ ახალ მოთამაშეებს.

ჩვენი ამოცანაა, ერთა თასზე მეტოქეებს მთელი ძალით ვეთამაშოთ და, ვეცადოთ, მსოფლიო თასისთვის ნაკრების საუკეთესო შემადგენლობა შევარჩიოთ. თუ შემადგენლობას თვალს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ უკანა ხაზში ბევრი ახალი მოთამაშე გვყავს, თუმცა, სამაგიეროდ, მორკინალები არიან საკმაოდ გამოცდილები, რომლებიც მათთვის უპირატესობას შექმნიან და გაშლილად თამაშის საშუალებას მისცემენ.

უკრაინის ნაკრებთან ორი დებიუტანტი გვეყოლება, ფულბეკი ბექა ურჯუკაშვილი და მეორეხაზელი ვახტანგ მაისურაძე, ისინი ეროვნული გუნდისთვის სრულიად ახალი მოთამაშეები არიან, სათადარიგოთა შორის იქნებიან და თავის გამოჩენის საშუალებას აუცილებლად მივცემთ.

გუნდის მუშაობით მოსამზადებელ პერიოდში ძალიან კმაყოფილნი ვართ. ახალი და ძველი მოთამაშეები მალე შეეწყვნენ ერთმანეთს. ძველები დიდი ენთუზიაზმით უზიარებენ გამოცდილებას და ისინიც ყველაფერს კარგად ითვისებენ.

ბექა ურჯუკაშვილს სიცხე ჰქონდა და გადავწყვიტეთ ცოტა ხნით დაესვენა. ანტონ ფეიქრიშვილმა მიკროტრავმა მიიღო, თედო ზიბზიბაძემ თბილისში ჩამოსვლამდე ოპერაცია გაიკეთა, თუმცა მათ სერიოზული არაფერი სჭირთ და, ვფიქრობ, მომდევნო თამაშისთვის, ესპანეთის ნაკრებთან, ჯანმრთელად იქნებიან.

რაც შეეხება მეტოქეს, უკრაინამ ბევრი იბრძოლა, რომ ერთა თასზე თამაშის უფლება მიეღო. ის ახლა ჩვენს დონეზეა, ჩვენი თანაბარი გუნდია და შესაბამისი პატივისცემით უნდა მივუდგეთ.

ვინაიდან ირაკლი აბუსერიძე სათადარიგოთა შორისაა, გადავწყვიტეთ, გუნდს დავით ზირაქაშვილმა უკაპიტნოს. ნაკრებს რაც შეიძლება მეტი ლიდერი სჭირდება და, ვფიქრობ, რომ ის ასეთია"

**დავით ზირაქაშვილი:** „ეროვნული ნაკრების კაპიტნობა მძიმე ტვირთია. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. როცა კაპიტნად დამასახელეს, მოთამაშეებს მივმართე. ლიდერი მარტო მე არ ვარ, ყველა ლიდერია, ყველა გვერდში დამიდგება. მძიმე ტვირთია, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ სასიამოვნო ტვირთია."

**გია ლაბაძე:** „აქამდე სულ დროის უკმარობა გვქონდა. თამაშამდე მოსამზადებლად სულ რაღაც სამი დღე გვაქვს და ამასაც სათანადოდ ვერ ვიყენებდით. ამჯერად მივაღწიეთ იმას, რომ მოკლე დროში ვახერხებთ როგორც ინდივიდუალურად ტექნიკურ დეტალებზე ვარჯიშს, ისე გუნდურად სხვადასხვა კომბინაციის დამუშავებას. ეს ჩვენი მწვრთნელების მაღალი პროფესიონალიზმის დამსახურებაა.

უკრაინის ნაკრებთან მატჩს მთელი სერიოზულობით ვეკიდებით. ერთა თასის ეს გათამაშება კარგი საშუალებაა მსოფლიო თასზე ასპარეზობისთვის მოსამზადებლად. კომბინაციები, ტაქტიკური მონახაზები, რასაც ვარჯიშისას ვამუშავებთ, უკრაინასთან თამაშისას უნდა გამოვიყენოთ. შესაბამისად, დამოკიდებულება არ შეიძლება არასერიოზული იყოს. ეს ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული და, გარწმუნებთ, თავს არავინ დაზოგავს."

შეგახსენებთ, რომ ტრავმების გამო ეროვნულ ნაკრებს ვერ დაეხმარებიან **მამუკა გორგოძე** (მონპელიე), **ილია ზედგინიძე** (სენ რაფაელი), **აქსენტი გიორგაძე** (კასტრი) და **გიორგი ნემსაძე** (მონტობანი).

### საქართველო-უკრაინა

#### საქართველო

15. ბესიკ ხამაშურიძე, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. ირაკლი გიორგაძე, 11. ლექსო გუგავა, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ბიძინა სამხარაძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. შალვა სუთიაშვილი, 6. გია ლაბაძე, 7. გიორგი ჩხაიძე, 8. ბესო უდესიანი.

*16. ჯაბა ბრეგვაძე, 17. ვასილ კაკოვინი, 18. ვახტანგ მაისურაძე, 19. ზვიად მაისურაძე, 20. ირაკლი აბუსერიძე, 21. ლაშა მალაღურაძე, 22. ბექა ურჯუკაშვილი .*

#### უკრაინა

15. დენის მასიუკოვი, 14. რომან კულაკივსკი, 13. ვადიმ მასიკი, 12. ოლექსანდრ ცაპენკო, 11. ოლეგ კოსარიევი, 10. სერგეი მონასტიროვი, 9. ზურაბ კიკაჩეიშვილი. 1. სერგეი სუხიი, 2. მიკოლა კირსანოვი, 3. ივან ზალიზნიაკი, 4. ოლექსანდრ ლომაკინი, 5. ვიაჩესლავ კრასილნიკი, 6. ოლექსანდრ მიშინოვი, 7. ვიაჩესლავ პონამარენკო, 8. სერგეი გარკავი

*16. ევგენი ჩაიკა, 17. ოლექსანდრ პოლიანსკი, 18. სერგეი ცერკოვნი, 19. ოლექსი ნოვოკრეშჩენოვი, 20. ბოგდან ვოლოშინი, 21. სერგეი იანჩი, 22. ანდრი გოლიშჩევი.*

### პორტუგალია-რუმინეთი

#### პორტუგალია

პირველი ხაზი: ჟოაო ჟუნიორი (კდული), ჟორჟე სეგურადო (დირეიტო), კრისტიან სპაშუკი (კოლომიე), ჟუან მურე (ელ სალვადორი), ენტონი ალვესი (მონტობანი), ჟოაო მატეუში (კოიმბრა), ჟოაო კორეია, ნუნო ტაფული (დირეიტო), ლიონელ კამპერნე (პო), ბერნარდო დუარტე (აგრონომია).

მეორე ხაზი: გონსალო უვა (მონპელიე), ჟუან სევერინო (აგრონომია), ედუარდო აკოსტა, რუი დორეი (დირეიტო).

მესამე ხაზი: ჟუკიენ ბარდი (კლერმონი), ლორან ბალანგო (კოლომიე), ვასკო უვა (დირეიტო), ტიაგო გირაუ (კდული), ჟაკ ლე რუ (აგრონომია).

№9: ჟოზე პინტი (დირეიტო)

№10: ჯო გარდნერი (ობენა), ლედრო კაბრალი (კდული)

№12-13: პერდო სილვა (ბელენენსეში), ფრანსისკო მირა (აგრონომია), ფრანსისკო სერა (კოიმბრა), ფრედერიკო ოლივეირა, კარლ მურეი (ორივე-კდული).

№11-14: გონსალო ფორო, ბერნარდო სილვეირა (ორივე-კდული), ჟოზე ლიმა (აგრონომია), ადერიტო ეშტევეში (დირეიტო).

№15: პედრო ლეალი, ანტონიო აგილარი (ორივე-დირეიტო).

#### რუმინეთი

პირველი ხაზი: ცეზარ პოპესკუ (მაკონი), ბოგდან ბალანი (ლიონი), მიჰაი ლაზარი (ექსი), სამუელ მარისი (ტიმიშოარა), კატალინ ბეკა (ბუქარესტი), ბოგდან ზებეგა (სტიაუა).

მეორე ხაზი: კრისტიან პეტრე (სენტ ეტიენი), მარიან დრენკეანუ (ტიმიშოარა), ვალენტინ პოპირლანი (ბუქარესტი), მარიუს სირბე (ტარბი)

მესამე ხაზი: სტელიან ბურეა (ტიმიშოარა), დანიელ კარპო (ფარული), მიჰაი მაკოვეი (ბაია მარე), ოვიდიუ ტონიცა (პერპინიანი), დანიელ იანუსი (სტიაუა), ვიორელ ლუკაკაი (სტიაუა).

№9: ვალენტინ კალაფეტეანუ (ტიმიშოარა), ფლორინ სურუგუი (ბუქარესტი).

№10: დან დუმბრავა (სტიაუა), გაბრიელ კონაკე (ტიმიშოარა)

№12-13: ჩაბა გალი (ბაია მარე), რობერტ დესკალუ (სტიაუა), კონსტანტინ გეარა (ფარული), იონელ კაზანი (სტიაუა).

№11-14: კატალინ ფერკუ, მადალინ ლემნარუ (ორივე-ტიმიშოარა), კატალინ ნიკოლაე (ფარული), იონუც ბოტეზატუ (ბაია მარე).

№15: ფლორინ ვლაიკუ (სტიაუა), იულიან დუმიტრაში (ლურდი).

### ესპანეთი-რუსეთი

#### ესპანეთი

მარტინ ერედია (კოსტა დელ სოლ), ალეხანდრო კრუსი, ლეანდრო არამბურუ (კახასოლი), იგნასიო გუტიერსი, ალეხანდრო გუტიერსი, ანიბალ ბონანი (ენტრპინარესი), ვიქტორ გომესი (მადრიდი), რაფაელ მატი (კისენეროსი), რამონ ნარვაესი (მახადაჰონდა), ხავიერ ასევედო (სანტაბოიანა), ხაიმე კუკი, როდრიგო მარტინესი, მარკოს პოჯი (ლა ვილა), ედუარდო რამირესი (ვალენსია), ფედერიკო ნეგრილო (ბიზკაია), მატიას ტუდელა, პედრო მარტინი (ორდიზია), ანდონი ხორახურია, ადრიენ აიესტარანაი (ბიარიცი), მარტინ ეტჩეპარე (დაქსი), სტეფან ლა პუასოტე, რემი დელგადო (ოლორონი), ბენატ ეტჩეპარე, მაქსიმ სამსონი (ტიროსი), დამიენ სანჩესი (სენ მედარი), სებასტიან პიფარდი (ლურდი), დავით გურგენიძე, სილვაინ ანტეკუერა (ორტეზი), მატიო ამორო (ბეზიე), სერხიო სევილია (კლერმონი), გაუტიერ გიბუინი (ბორდო).

#### რუსეთი

შერკინება: კარლო მაღლაკელიძე, ვალერი ცნობილაძე, ალექსანდრ ვოიტოვი, ანდრეი გარბუზოვი, ვიქტორ გრესევი, ვლადისლავ კორშუნოვი, კირილ კუშნარიოვი, ევგენი მატვეევი, ანდრეი ოსტრიკოვი, ევგენი პრონენკო, ალექსეი ტრავკინი, არტიომ ფატახოვი, ალექსანდრ ხროკინი.

უკანა ხაზი: ალექსანდრ იანუშკინი, ალექსანდრ შაკიროვი, კონსტანტინ რაჩკოვი, ვლადიმირ ოსტროუშკო, ალექსეი მაკოვეცკი, იური კუშნარიოვი, ანდრეი კუზინი, იგორ კლუჩნიკოვი, იგორ გალინოვსკი, მიხაილ ბაბაევი, ვასილი არტემევი.

### ერთა თასი

I ტური, 5 თებერვალი: **საქართველო-უკრაინა**; ესპანეთი-რუსეთი, პორტუგალია-რუმინეთი.

II ტური, 12 თებერვალი: **საქართველო-ესპანეთი**; რუსეთი-პორტუგალია; უკრაინა-რუმინეთი.

III ტური, 26 თებერევალი: **პორტუგალია-საქართველო**; რუმინეთი-რუსეთი; ესპანეთი-უკრაინა.

IV ტური, 12 მარტი: **საქართველო-რუმინეთი**; ესპანეთი-პორტუგალია; უკრაინა-რუსეთი.

V ტური, 19 მარტი: **რუსეთი-საქართველო**; რუმინეთი-ესპანეთი; პორტუგალია-უკრაინა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. NBA. ოლ სტარი 2011




ალმოსავლეთში ბოსტონელები ჭარბობენ

# გარნეტი ზედიზედ მეთოთხმეტედ

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ „ყველა ვარსკვლავის მატჩის" სათადარიგო მოთამაშეთა გვარები დაასახელა, რის შემდეგაც „ოლ სტარში" მონაწილე გუნდების სრულმა შემადგენლობებმა ასეთი სახე მიიღო:

**აღმოსავლეთი**

**სასტარტო**

დერიკ როუზი (ჩიკაგო)
დუეინ უეიდი (მაიამი)
ლებრონ ჯეიმსი (მაიამი)
ამარე სტაუდმაიერი (ნიუ იორკი)
დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)

**რეზერვი**

რაჟონ რონდო (ბოსტონი)
პოლ პირსი (ბოსტონი)
კევინ გარნეტი (ბოსტონი)
რეი ალენი (ბოსტონი)
კრის ბოში (მაიამი)
ჯო ჯონსონი (ატლანტა)
ელ ჰორფორდი (ატლანტა)

**დასავლეთი**

**სასტარტო**

კრის პოლი (ნიუ ორლეანი)
კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)
კევინ დურანტი (ოკლაჰომა)
კარმელო ენტონი (დენვერი)
იაო მინი (ჰიუსტონი)

**რეზერვი**

ბლეიკ გრიფინი (კლიპერსი)
რასელ უესტბრუკი (ოკლაჰომა)
ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
მანუ ჯინობილი (სან ანტონიო)
დირკ ნოვიცკი (დალასი(
პაუ გასოლი (ლეიკრესი)
დერონ უილიამსი (იუტა)

**კევინ გარნეტი** ზედიზედ მეთოთხმეტედ ითამაშებს „ყველა ვარსკვლავის მატჩში". ამ მაჩვენებლით ის გაუთანაბრდა **შაკილ ო'ნილსა** და **კარლ მელოუნს**. ამასთან, მეორედ ისტორიაში „ოლ სტარზე" ერთი გუნდიდან ოთხი კალათბურთელია წარმოდგენილი. „ბოსტონამდე" ასეთი პატივი 2006 წელს „დეტროიტ პისტონზს" ხვდა წილად.

**ბლეიკ გრიფინი** 2003 წლის შემდეგ პირველი დებიუტანტია, ვინც მოედანზე გასვლის უფლება მიილო. ახლა ვარსკვლავურ უქმეებზე მხოლოდ ერთი ვაკანსიაა დარჩენილი. დასავლეთის ძირითადი ცენტრი **იაო მინი** ტრავმირებულია და მის შემცვლელს NBA კომისარი **დევიდ სტერნი** რამდენიმე დღეში დაასახელებს.

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# თითქმის ჯორდანი

გუშინ რეგულარული ჩემპიონატი მხოლოდ სამი მატჩით იყო წარმოდგენილი, მაგრამ დღემ ძალიან საინტერესოდ ჩაიარა, რადგან ორ შეხვედრაში ლიდერები არკვევდნენ ურთიერთობას.

სეზონში მესამედ ხვდებოდნენ ერთმანეთს „მაიამი" და „ორლანდო". მატჩის წინ **ლებრონ ჯეიმსმა** განაცხადა, რომ თანაშტატელი მეტოქის ბანაკიდან წამოსული კრიტიკის გამო სასტიკად იძიებდა შურს. „მეფემ" დანაპირები აასრულა.

ლებრონი პირველივე მეოთხედიდან შეუდგა საქმეს. მართალია, მას ბინძურად მეურვეობდა **ჰედო თურქოგლუ**, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჯეიმსისთვის პირველ 12 წუთში 23 ქულა დაეგროვებინა. ორლანდოელები თამაშს **დუაიტ ჰოვარდზე** აგებდნენ, რომელიც პირველ ტაიმში მთლიანად დომინირებდა მეტოქის ფარზე. საერთო ჯამში, პირველმა 12 წუთმა სწორედ ამ დუელის ფონზე ჩაიარა. ბოლოსკენ გამოცოცხლდა **არენასი**, რომლის წყალობითაც „ორლანდომ" „მაიამის" კომფორტული უპირატესობის მიღების საშუალება არ მისცა.

მეორე მეოთხედში **სპოელსტრამ** დასვენების საშუალება მისცა ლებრონს, რისი გამოყენებაც „ორლანდომ" სცადა, მაგრამ იმ დღეს ძალიან ცუდად მუშაობდა **სტენ ვან განდის** ბიჭების მთავარი იარაღი - სამქულიანები. შესაბამისად, მასპინძლები ვერაფრით ახერხებდნენ მეტოქის დაწევას. თანაც, „მაიამიმ" ჰოვარდის თამაშსაც მოუძებნა გასაღები - მას **დამპიე** მიამაგრა და ამ უკანასკნელმა რამდენჯერმე შეაჩერა „სუპერმენი".

მეორე ტაიმში ჰოვარდს აშკარა კრიზისი დაეწყო. ის შეუცვლელად თამაშობდა, დაიღალა და სულ უფრო და უფრო ხშირად აცილებდა ტყორცნებს. მასზე ხშირად ჯარიმდებოდნენ, მაგრამ „სუპერმენი" საშინლად ესროდა საჯარიმოებს - 3/13. რას შვრებოდა ამ დროს ლებრონი? მას **კვენტინ რიჩარდსონი** მეურვეობდა და თავიდან ეს საქმე კარგადაც გამოსდიოდა - ჯეიმსმა რამდენიმე ტყორცნა ააცილა. მაგრამ „მეფემ" ამ მეტოქესაც აუღო ალღო და **მილერისა** და **ჰაუსის** დახმარებით თავის გუნდს 16-ქულიანი უპირატესობა მოუტანა.

ბოლო მეოთხედში თითქოს განსაკუთრებული არაფერი უნდა მომხდარიყო. „ორლანდოს" მთავარი იარაღი - ჰოვარდი განეიტრალებული იყო და „ჰიტმა" საკუთარ თავს მოდუნების საშუალება მისცა. მატჩის დასრულებამდე 4 წუთითა და 45 წამით ადრე „მაიამის" უპირატესობა 20 ქულას შეადგენდა და აქედან მოყოლებული მოედანზე უცნაური ამბები დატრიალდა. ორი წუთის განმავლობაში აქამდე ჩრდილში მყოფმა „ორლანდოს" სნაიპერებმა იმდენი სამქულიანი ჩააგდეს, რომ წუთ-ნახევრით ადრე სხვაობა ექვს ქულამდე შემცირდა. სიტუაცია დააწყნარა ლებრონმა, რომელმაც ასევე სამქულიანი ჩააგდო. მაგრამ ეს არ იყო დასასრული. **ჯეისონ რიჩარდსონისა** და **ნელსონის** ორი შორეული ტყორცნით 10 წამით ადრე „მაიამის" უპირატესობა სამ ქულამდე დავიდა. ბურთის თამაშში შეტანისას მილერმა და ჯეიმსმა უხეში შეცდომა დაუშვეს, მაგრამ „ჰიტი" იმან გადაარჩინა, რომ **რაიან ანდერსონმა** ბოლო სამქულიანი ააცილა.

ლებრონ ჯეიმსმა 51 ქულა დააგროვა, რაც ამ სეზონის საუკეთესო შედეგია. ფორვარდმა კარიერაში მეცხრედ დააგროვა მინიმუმ 50 ქულა. „ჰიტი" აღმოსავლეთი კონფერენციის მეორე ადგილზე გადავიდა, „ორლანდო" კი კრიზისშია - ბოლო ექვს მატჩში ოთხი წაგება აქვს.

საინტერესოა, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთმა მოთამაშემ შეძლო ერთ მატჩში 50-ზე მეტი ქულის, 8 პასისა და 10 მოხსნის დაგროვება. ეს გახლდათ ლეგენდარული **მაიკლ ჯორდანი**, რომელმაც 1989 წელს 53 ქულა, 14 მოხსნა და 8 შედეგიანი პასი მიითვალა.

არანაკლებ დრამატული გამოდგა შეხვედრა „სტეიპლ ცენტრში", სადაც ჩემპიონი „ლეიკერსი" წლევანდელ ლიდერ „სან ანტონიოს" მასპინძლობდა. **ფილ ჯექსონის** შეგირდებმა მატჩის მოგების რეალური შანსი გაუშვეს ხელიდან. „ლეიკერსმა" ბოლო მეოთხედში ეფექტური სპურტით შეძლო ცხრაქულიანი ჩამორჩენის გაბათილება და საფინალო სირენამდე 27 წამით ადრე წინ გასვლაც მოახერხა: **გასოლმა** გამოიყენა ორი საჯარიმო - 88:87. უფრო მეტიც, კალიფორნიელებმა თითქოს შეძლეს მეტოქის ბოლო შეტევის მოგერიება, მაგრამ **პარკერის** არაზუსტი ტყორცნის შემდეგ ბურთმა მოედანი **რონ არტესტის** ხელიდან დატოვა. ტექსასელებს გადარჩენისთვის 4.6 წამი რჩებოდათ - და **ტიმ დანკანმა** ააცილა! კალიფორნიელთა საუბედუროდ, საჭირო დროს საჭირო ადგილას ბურთს ვეტერანი **ანტონიო მაკდაესი** დახვდა, რომელმაც 0.1 წამით ადრე გამარჯვების ორი ქულა მოუტანა „სპურსს".

სანამ ორლანდოსა და ლოს ანჯელესში ლიდერთა გარჩევები მიდიოდა, ოკლენდში არანაკლებ დამაინტრიგებელი სცენარით წარიმართა „გოლდენ სტეიტისა" და ტრავმებით განამებული „მილუოკის" შეხვედრა. მასპინძლებმა მოიგეს, მაგრამ ამისთვის დიდი ენერგიის დახარჯვამ მოუწიათ. ცხრაჯერ დაფიქსირდა თანაბარი ანგარიში და 22-ჯერ შეიცვალა ლიდერი. გადამწყვეტი ბოლო მეოთხედი აღმოჩნდა, რომელიც „მეომრებმა" შვიდი ქულით მოიგეს.

**ორლანდო-მაიამი 100:104**

**26:30, 19:25, 18:24, 37:25**

ო: ნელსონი (22+6 მოხსნა+6 პასი), ჰოვარდი (17+16 მოხსნა), რიჩარდსონი (16), თურქოგლუ (13), ანდერსონი (11+6 მოხსნა), არენასი (10).

მ: ჯეიმსი (51+11 მოხსნა+8 პასი), უეიდი (14), ბოში (13+6 მოხსნა), ჰაუსი (10+6 მოხსნა), მილერი (5+11 მოხსნა).

**გ. სტეიტი-მილუოკი 100:94**

**18:22, 28:25, 26:26, 28:21**

გ-ს: ელისი (24+5 მოხსნა+6 პასი), რაიტი (16+6 პასი), კარი (16+5 მოხსნა+5 პასი), ლი (15+7 მოხსნა), ბიედრინში (6+10 მოხსნა+10 დაფარება).

მ: ილიასოვა (23+13 მოხსნა), მაგეტი (21), დელფინო (20+8 მოხსნა+8 პასი+5 ჩაჭრა), მბა ა მუტე (15+19 მოხსნა+5 პასი).

**ლეიკერსი-სან ანტონიო 88:89**

**18:22, 24:20, 21:24, 25:23**

ლ: გასოლი (19+7 მოხსნა), ბრაიანტი (16+9 მოხსნა+10 პასი), ოდომი (16+6 მოხსნა), არტესტი (13+5 მოხსნა), ბინუმი (10+10 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება).

ს-ა: პარკერი (21), ჯეფერსონი (18), ჯინობილი (14+5 მოხსნა+8 პასი).



მაკდაესს გამარჯვების ტყორცნას ულოცავენ

## ევროლიგა. TOP 16. II ტური

**E ჯგუფი**

**უნიკახა-ლ. რიტასი 98:91**

**18:23, 27:29, 17:18, 36:21**

უ: ტრიპკოვიჩი (15+4 პასი), სინანოვიჩი (15+8 მოხსნა), არჩიბალდი (13), მაკინტაირი (12), ფრილენდი (12+8 მოხსნა+4 პასი), პრინტეცისი (10), ბ. როდრიგესი (10+6 პასი).

ლ-რ: ელ ამინი (14+8 პასი), იასაიტისი (13), ბიელიცა (12+5 მოხსნა), ვალანჩუნასი (12+7 მოხსნა), ნიული (12+6 მოხსნა), გეჩევიჩუსი (11+4 პასი).

**კ. ლაბორალი-პანათინაიკ. 77:70**

**19:18, 17:15, 23:16, 18:21**

კ-ლ: სან ემეტერიო (21+4 პასი), ტელეტოვიჩი (17), ბატისტა (11+5 მოხსნა), ლოგანი (10).

პ: ნიკოლასი (15), ბატისტი (14), დიამანტიდისი (12+11 პასი), ცარცარისი (11).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 3 | 2 | 1 | 232-192 | 4 |
| 2. კ. ლაბორალი | 3 | 2 | 1 | 239-230 | 4 |
| 3. უნიკახა | 3 | 1 | 2 | 225-249 | 2 |
| 4. ლ. რიტასი | 3 | 1 | 2 | 239-264 | 2 |

**F ჯგუფი**

**ბარსელონა-რომა 80:56**

**21:17, 24:19, 16:9, 19:11**

ბ: ანდერსონი (16), ნავარო (13+5 პასი), პერვიჩი (13).

რ: ტრაორე (17), ვაშინგტონი (16), გორდიჩი (13).

**მაკაბი-ოლიმპია 104:67**

**28:10, 21:16, 22:23, 33:18**

მ: პარგო (21+6 პასი+5 მოხსნა), ელიაჰუ (20+6 მოხსნა), შორცანიდისი (10), ბურშტეინი (10), ეიდსონი (8+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), პერკინსი (8+7 მოხსნა).

ო: შერმადინი (15), მარკოტა (14+8 მოხსნა), გრეგორი (14).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 229-194 | 6 |
| 2. მაკაბი | 3 | 2 | 1 | 274-206 | 4 |
| 3. ოლიმპია | 3 | 1 | 2 | 198-235 | 2 |
| 4. რომა | 3 | 0 | 3 | 177-243 | 0 |

**G ჯგუფი**

**რეალი-ეფესი 89:86**

**18:19, 22:27, 25:19, 14:14**

რ: ტაკერი (19), პრიჯიონი (17), ფიშერი (15+12 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), როდრიგესი (13+7 პასი), მიროტიჩი (12+5 მოხსნა).

ე: ტორნტონი (18+8 მოხსნა), რაკოჩევიჩი (16), გიონლუმი (13+9 მოხსნა), რობერტსი (10), მიურეი (10).

**პარტიზანი-მონტეპასკი 58:66**

**15:19, 11:12, 15:19, 17:16**

პ: გისტი (15+7 მოხსნა), ჯერელსი (13).

მ: მიკელორი (15+5 მოხსნა), კაუკენასი (14), ცისისი (13), კარარეტო (10).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 3 | 3 | 0 | 245-212 | 6 |
| 2. ეფესი | 3 | 2 | 1 | 225-223 | 4 |
| 3. მონტეპასკი | 3 | 1 | 2 | 192-196 | 2 |
| 4. პარტიზანი | 3 | 0 | 3 | 192-223 | 0 |

**H ჯგუფი**

**ფენერბაჰჩე-ჟალგირისი 80:72**

**22:19, 19:22, 17:13, 22:18**

ფ: ტომასი (15), სავაში (15+5 მოხსნა), თურქჩანი (13+14 მოხსნა), პრელჯიჩი (13), უკიჩი (12+4 პასი).

ჟ: კოლინზი (14), იანკუნასი (14+6 მოხსნა), ჩაპინი (12), დელინინკაიტისი (10).

**ოლიმპიაკოსი-ვალენსია 77:62**

**18:12, 20:12, 19:18, 20:20**

ო: ნესტეროვიჩი (17), სპანულისი (14+4 პასი), ბურუსისი (11+7 მოხსნა), პაპალუკასი (8+9 პასი+3 ჩაჭრა).

ვ: კორვერი (16+8 მოხსნა), სავანოვიჩი (13+5 მოხსნა), იავტოკასი (12), ლიშჩუკი (10+7 მოხსნა).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 3 | 3 | 0 | 239-215 | 6 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 3 | 2 | 1 | 218-210 | 4 |
| 3. ვალენსია | 3 | 1 | 2 | 208-211 | 2 |
| 4. ჟალგირისი | 3 | 0 | 3 | 195-224 | 0 |

### ტურის მოთამაშე

ისევე როგორც წინა კვირას, ევროლიგამ ტურის საუკეთესო მოთამაშედ ორი კალათბურთელი დაასახელა - **ლიორ ელიაჰუ** თელ-ავივის „მაკაბიდან" და **დ'ორ ფიშერი** მადრიდის „რეალიდან".

„ოლიმპიასთან" მატჩში (104:67) ელიაჰუმ სეზონში მისთვის სარეკორდო 20 ქულა დააგროვა, აგრეთვე 6 მოხსნა, 2 პასი და ერთი ჩაჭრა მიითვალა, რამაც მას სარგებლიანობის რეიტინგში 30 ქულა მოუტანა.

ამდენივე ქულა აქვს ფიშერს, რომელმაც „ეფესთან" ურთულეს მატჩში (89:86) ორმაგი დუბლი შეასრულა - 15 ქულა და 12 მოხსნა. გარდა ამისა, ამერიკელის ანგარიშზე იყო 3 ჩაჭრა და 3 დაფარება.

## ამბები

### ნიქსი 200 ათასს გადაიხდის

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ 200 ათასი დოლარით დააჯარიმა „ნიუ იორკ ნიქსი". ამის მიზეზი მომავალი დრაფტის პოტენციურ მონაწილეებთან არალეგალური მოლაპარაკებები გახლავთ.

ასეთი სოლიდური თანხის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ „ნიქსი" გადარჩა, რადგან სასჯელი შეიძლება უფრო მკაცრი ყოფილიყო - მაგალითად, დრაფტზე არჩევის უფლების ჩამორთმევა.

ეს ისტორია ჯერ კიდევ გასული წლიდან იღებს სათავეს, როცა „ნიქსის" სკაუტთა სამსახურის უფროსი **როდნი ჰერდი** საწვრთნელი ბანაკების გახსნამდე აწარმოებდა მოლაპარაკებებს დრაფტის მომავალ მონაწილეებთან, რაც NBA-ის წესებით სასტიკად არის აკრძალული.

კლუბის დაკისრებული ჯარიმის გარდა, თავად ჰერდს მოუწევს საკუთარი ჯიბიდან 20 ათასი დოლარის გაღება.

### პავლოვიჩზე დიდი მოთხოვნაა

„ნიუ ორლეან ჰორნეტსმა" ორი კვირით დაკარგა თავისი ერთ-ერთი ლიდერი **ტრევორ არიზა**. მან ორი დღის წინ „ოკლაჰომასთან" მატჩში მარჯვენა ფეხი დაიზიანა. „ჰორნეტსის" ხელმძღვანელობამ ამ დანაკლისის შესავსებად 10-დღიანი კონტრაქტი გაუფორმა სერბ **საშა პავლოვიჩს**.

შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ პავლოვიჩმა ანალოგიური ხელშეკრულება დადო „დალას მავერიქსთან". მაშინ ის **დირკ ნოვიცკის** ცვლიდა და როგორც კი გერმანელი მოედანზე დაბრუნდა, პავლოვიჩს ტექსასის დატოვება მოუხდა.

### ევრობასკეტი კლეიზას გარეშე

ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი დრო დარჩენილი, მაგრამ უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ მასპინძელი - ლიტვის ნაკრები ტურნირზე თავისი ლიდერის **ლინას კლეიზას** გარეშე ითამაშებს. „ტორონტო რეპტორზის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ლიტველმა ფორვარდმა მარჯვენა მუხლზე ოპერაცია გადაიტანა და აღდგენითი პროცესი 9-12 თვე გაგრძელდება. ასე რომ, ლინასი ვერ დაეხმარება ლიტვის ნაკრებს წლევანდელ ევრობასკეტზე, რომელიც აგვისტო-სექტემბერში გაიმართება.

რეგულარული ჩემპიონატის 39 მატჩში კლეიზამ 23-ჯერ ითამაშა „რეპტორზის" სასტარტო ხუთეულში. მისი საშუალო შედეგიანობა 11.2 ქულას უდრიდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



ბოსტონი-დალასი ჩხუბით დაიწყო

# სამი ჩხუბი ოთხ წამში

ძალიან მხიარულად დაიწყო „ბოსტონისა" და „დალასის" შეხვედრა. პირველ ოთხ (!) წამში მაყურებელმა სამი ჩხუბი იხილა! ეს არ ყოფილა უბრალო შეხლა-შემოხლა - ყინულზე ნამდვილი ბრძოლა გაიმართა. პირველი პერიოდის განმავლობაში გუნდებმა ჯამში 46 საჯარიმო წუთი მიიღეს. ამ აურზაურში გამარჯვება „ბოსტონს" დარჩა, რომელმაც პირველ პერიოდში ოთხი შაიბა გაიტანა. ამის შემდეგ ჰოკეისტები დამშვიდდნენ, ჯარიმები ნაკლები იყო, „დალასმა" კი ჩამორჩენის გაბათილება ველარ შეძლო და 3:6 დამარცხდა. კარგი თამაში აჩვენა **რეკის, ბერჟერონისა** და **მარჩანდის** დუეტმა - მათ ცხრა ქულა დააგროვეს.

„ყველა ვარსკვლავის მატჩის" ორგანიზატორი „კაროლინა", როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ეიფორიაშია, გუშინ ამ გუნდმა უშანსოდ წააგო „ტორონტოსთან" - 0:3. კანადელთა ახალგაზრდა მეკარე **ჯეიმს რაიმერმა** ჯერჯერობით კარიერაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა - 27 დარტყმა მოიგერია და NHL-ში პირველი მშრალი მატჩი შეასრულა.

„ნიუ ჯერსის" „სულ რაღაც" სამი თვე დასჭირდა იმისთვის, რომ თავი დაეღწია აღმოსავლეთის ცხრილის ბოლო ადგილისთვის. ეს „რეინჯერსზე" 3:2 გამარჯვების წყალობით გახდა შესაძლებელი. გამარჯვებულთა რიგებში საუკეთესო იყო **დაინიუს ზუბრუსი**, რომელმაც 2 ქულა (1+1) მიითვალა. „რეინჯერსის" შემადგენლობაში კი სეზონში პირველი მატჩი ჩაატარა ვეტერანმა **ვინი პროსპალმა** და დაბრუნება გოლით აღნიშნა. „ნიუ ჯერსისთვის" ეს იყო ბოლო 10 მატჩში მერვე მოგება.

„ფილადელფიასა" და „ნეშვილის" მატჩი „ფლაიერზის" ლეგენდის - **ბობი კლარკის** აღიარებით დაიწყო. მისი მაისურა ფილადელფიელთა საშინაო არენის თაღზე დაკიდეს. მასპინძლებმა სცადეს ეს ზეიმი წაგებით არ გაეფერმკრთალებინათ და მოახერხეს კიდეც - ურთულეს ბრძოლაში დაამარცხეს მეტოქე - 3:2. მთავარი გმირი გახდა ფინელი **ვილე ლეინო** - მან დუბლი შეასრულა, „ფილადელფიამ" კი ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა რეგულარულის ლიდერთან.

სასწაულებს ახდენს „კალგარი". ამ გუნდმა ზედიზედ უკვე მეექვსე გამარჯვება მოიპოვა - ამჯერად სტუმრად დაამარცხა „ატლანტა" - 4:2. თავის მხრივ, „ტრეშერზი", რომელმაც სეზონი წარმატებულად დაიწყო, ბოლო დროს კრიზისში იმყოფება. 2011 წელს ამ გუნდმა 13 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ სამჯერ მოიგო.

**ატლანტა-კალგარი 2:4**

**0:1, 2:1, 0:2**

**გოლები:** 0:1 ჯორდანო-5 (რეგერი-7, ო. იოკინენი-22), 1:1 ლიტლი-14 (ბერგფორსი-18, ე. კეინი-15), 2:1 ე. სტიუარტი-13 (ანტროპოვი-18, ე. კეინი016), 2:2 ბ. მორისონი-9 (ჯორდანო-22, ტანგეი-27), 2:3 ბეკლუნდი-6, 2:4 გლენკროსი-13.

**ბოსტონი-დალასი 6:3**

**4:0, 0:1, 2:2**

**გოლები:** 1:0 ლუჩიჩი-21 (კრეისი-28, ჰორტონი-17), 2:0 პ. ბერჟერონი-18 (მარჩანდი-13, რეკი-24), 3:0 პ. ბერჟერონი-19 (მარჩანდი-14, რეკი-25), 4:0 შ. ტორნტონი-8 (პეი-5, ხარა-19), 4:1 სკრასტინსი-3 (ბარიში-4), 4:2 მოროუ-22 (ოტი-11, ლ. ერიქსონი-33), 4:3 ბ. რიჩარდსი-21 (ლ. ერიქსონი-34, ვოივიტკა-6), 5:3 სეგუინი- 8 (რაიდერი-15, ველერი-13), 6:3 მარჩანდი-14 (პ. ბერჟერონი-25, რეკი-26).

**რეინჯერსი-ნიუ ჯერსი 2:3**

**0:1, 1:2: 1:0**

**გოლები:** 0:1 კოვალჩუკი-15 (ზუბრუსი-11), 0:2 ზუბრუსი-9 (ტალინდერი-7), 0:3 როლსტონი-7 (ელიაში-26), 1:3 კელეჰანი-12 (ანისიმოვი-17), 2:3 პროსპალი-1 (ცუკარელო-10, გაბორიკი-17).

**ფილადელფია-ნეშვილი 3:2**

**1:1, 0:0, 2:1**

**გოლები:** 1:0 ჯ. კარტერი-24 (ტიმონენი-23, ჟირუ-29), 1:1 გოკი-9 (ფრანსონი-14, კ. უილსონი-14), 2:1 ლეინო-12 (ჯ. კარტერი-22, მ. რიჩარდსი-31), 2:2 ჯ. უორდი-7 (ერატი-16, შ. უებერი-23), 3:2 ლეინო-13 (ჟირუ-30, ჯ. კარტერი-23).

**ტორონტო-კაროლინა 3:0**

**0:0, 2:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 მაკარტური-16 (ტ. კაბერლე-30, კულემინი-19), 2:0 ბოისი-3, 3:0 ვერსტეეგი-14 (ფანოფი-11, კ. არმსტრონგი-8).

**კოლორადო-მინესოტა 3:4**

**0:2, 1:1, 2:1**

**გოლები:** 0:1 ბროძიაკი-10 (მულცი-11, კლატერბეკი-9), 0:2 ბრუნეტი-13 (მიეტინენი-15, მ. კოივუ-30), 1:2 ჰეიდუკი-16 (პორტერი-6, კამისკი-7), 1:3 ბრუნეტი-14 (მ. კოივუ-31, ბუშარი-13), 2:3 ჰეიდუკი-17 (კ. სტიუარტი-17, ფუტი-8), 2:4 ბუშარი-5 (ჰავლატი-31), 2:4 კ. სტიუარტი-12 (იიპი-9, გალიარდი-8).

# კაპიტანმა გოლები გააჩუქა

„ლოს ანჯელეს კინგზის" ლიდერმა **რაიან სმიტმა** უარი თქვა ორ გოლზე, რომელიც „ედმონტონ ოილერზთან" მატჩში მის ანგარიშზე ჩაიწერა. 2 თებერვალს ჩატარებული შეხვედრის ვიდეოჩანაწერის შესწავლის შემდეგ ორივე შაიბა „კინგზის" მცველ **დრიუ დაუტის** ჩაუწერეს. ამის შესახებ NHL-ის ოფიციალური ვებგვერდი წერს.

შეხვედრაში, რომელიც 3:1 დასრულდა, „ედმონტონის" რუსი მეკარის **ნიკოლაი ხაბიბულინის** კარში ორი შაიბა დაუტის უძლიერესი დარტყმების შემდეგ შევარდა, თუმცა ოქმში მცველს ორჯერ ასისტენტობა ჩაუწერეს, შეტევები კი სმიტმა დაასრულა. მაგრამ მატჩის შემდეგ რაიანმა განაცხადა, რომ არც ერთ ეპიზოდში არ შეხებია შაიბას. ვიდეოჩანაწერმა დაადასტურა ფორვარდის სიტყვები.

საინტერესოა, რომ სმიტი „ედმონტონის" საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, დაუტი კი მატჩის სამ ვარსკვლავს შორისაც ვერ მოხვდა.

ამ ორი გოლის ჩამოკლების შემდეგ სმიტის ანგარიშზე რეგულარულ ჩემპიონატში 19 შაიბა და 14 საგოლე პასი მოდის. დაუტის 6 გოლი და 22 შედეგიანი გადაცემა აქვს.



კაპიტანი კანადა

სმიტი რეგულარულად თამაშობს კანადის ნაკრებში და ხშირად ამ გუნდის კაპიტნად ნიშნავენ, როგორც ეს მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე იყო. რაიანმა გულშემატკივრებისგან მეტსახელიც მიიღო - „კაპიტანი კანადა".

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| მატერსბურგი-ვილი | 3:2 |
| ვიბორგი-სილკებორგი | 3:2 |
| ტომი-შერიფი | 0:0 |
| სიოგნდალი-ჰიოდი | 2:0 |
| პარტიზანი-შტურმი | 2:1 |
| სილკებორგი-ვიბორგი | 2:3 |
| ლოკომოტივი-ვიდეოტონი | 1:0 |
| რაპიდი (ბ)-პლზენი | 1:0 |
| სპარტაკი-ნორდსილანდი | 4:0 |
| მალმიო-სპორტული | 0:1 |
| რუსენბორგი-შახტარი | 1:4 |
| სტრომენი-ნილი | 0:1 |
| კორკი-შემროკი | 1:2 |

| ინგლისი | |
|---|---|
| **ჩემპიონშიპი** | |
| რიდინგი-ქუინზ პარკი | 0:1 |
| **FA Trophy** | |
| ლუტონი-გლოჩესტერი | 1:0 |

| იტალია | |
|---|---|
| **სერია B** | |
| რეჯინა-პადოვა | 1:1 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| ხერესი-ბარსელონა B | 1:0 |

| გერმანია | |
|---|---|
| დორტმუნდი-შალკე | 0:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფრანკფურტი-ფიურტი | 0:0 |
| კოტბუსი-ალემანია | 3:3 |
| ოსნაბრიუკი-აუგსბურგი | 0:2 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ჰაიდენჰაიმი-ზაარბრიუკენი | 2:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ვილჰელმშავენი-კილი A | გადაიდო |
| ობერნოილანდი-ჰანოვერი A | 0:4 |

| ჰოლანდია | |
|---|---|
| აიაქსი-გრააფსხაპი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ვაალვიკი-ჰელმონდი | 1:0 |
| აპელდოორნი-ტელსტარი | 2:3 |
| ეინდჰოვენი-დორდრეხტი | 0:1 |
| ფორტუნა-ცვოლე | 0:0 |
| იგლზი-ემენი | 1:0 |
| როსენდაალი-ვეენდამი | 0:0 |

| ბელგია | |
|---|---|
| გენტი-ლიერსი | 4:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ბორინაჟი-ტურნჰაუტი | 1:1 |
| ბრიუსელი-რუპელი | 2:4 |
| ოსტენდე-ვიზე | 0:0 |

| პორტუგალია | |
|---|---|
| სპორტინგი-ნავალი | 3:3 |

| ფინეთი | |
|---|---|
| **ლიგის თასი** | |
| ინტერი-მარიეჰამნი | 1:0 |
| ჰიკ-მიუპა | 2:1 |

| თურქეთი | |
|---|---|
| ბურსა-შივასი | 2:1 |

| ავსტრალია | |
|---|---|
| მელბურნ ჰ.-სენტრალ კოუსტი | 1:1 |

### კალათბურთი

| საფრანგეთი | |
|---|---|
| როანი-შალონი | 84:67 |
| **ბალტიის ლიგა** | |
| შიაულიაი-კალევი | 92:72 |

### ჰოკეი

| ავსტრია | |
|---|---|
| ალბა-ოლიმპია | 6:1 |
| გრაცი-ზაგრები | 4:2 |
| ზალცბურგი-აკრონი | 2:3 |
| კლაგენფიურტი-ვილახი | 4:1 |
| ლინცი-ვენა | 4:2 |

| გერმანია | |
|---|---|
| აუგსბურგი-კიოლნი | 4:3 (ბ) |
| ჰამბურგი-მანჰაიმი | 4:3 (ო) |
| იზერლონი-ინგოლშტადტი | 4:2 |
| კრეფელდი-ჰანოვერი | 5:1 |
| ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 2:3 (ო) |
| აისბარენი-შტრაუბინგი | 1:2 (ო) |

| დანია | |
|---|---|
| ოდენსე-როდოვრე | 2:3 |
| ფრედრიკშავნი-ესბერგი | 4:1 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ბისტრიცა-სკალიცა | 0:1 |
| ჟილინა-ზვოლენი | 1:3 |
| ნიტრა-პოპრადი | 3:4 (ო) |
| სლოვანი-ტრენჩინი | 2:4 |
| კოშიცე-მარტინი | 4:2 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-ბრნო | 5:0 |
| პლზენი-კლადნო | 2:1 (ბ) |
| პარდუბიცე-სლავია | 1:3 |
| სპარტა-ლიტვინოვი | 1:3 |
| ბუდეიოვიცე-ზლინი | 1:2 (ბ) |
| ლიბერეცი-ბოლესლავი | 3:0 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ამბრი-ლუგანო | 2:3 (ო) |

### ჩოგბურთი

| ATP. ზაგრები | |
|---|---|
| გასკე-ბერერი | 2:6, 0:6 |
| გარსია ლოპესი-ბოგომოლოვი | 6:2, 7:6 |
| ჩილიჩი-ფ. მაიერი | 3:6, 4:6 |
| ლუბიჩიჩი-დოდიგი | 4:6, 4:6 |

| ATP. სანტიაგო | |
|---|---|
| ჩელა-ხირალდო | 4:6, 3:6 |
| ბელუჩი-ფონინი | 6:1, 2:6, 6:7 |
| სტარაჩე-სებალიოსი | 6:7, 6:3, 7:6 |

| ATP. იოჰანესბურგი | |
|---|---|
| გროილი-ვან დერ მერვე | 6:7, 2:6 |
| დევარმანი-დე ვოესტი | 3:6, 7:6, 6:1 |
| მანარინო-დანჩევიჩი | 6:3, 6:2 |
| ანდერსონი-კ. ბეკი | 6:3, 6:1 |

## TV პროგრამა

### 5 თებერვალი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

19:00 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-არსენალი (LIVE).
21:00 იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-სამპდორია (LIVE).
23:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ლევანტე (LIVE).
01:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ატლეტიკო (LIVE).

**GMG-სპორტი**

23:45 იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-იუვენტუსი (LIVE).

**მზე**

13:00 იმედის ფსონი.

**I არხი**

15:00 რაგბი. ერთა თასი. საქართველო-უკრაინა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

15:55 გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. ჰერტა-უნიონი (LIVE).
20:55 იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-სამპდორია (LIVE).
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ლევანტე (LIVE).
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ატლეტიკო (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

12:55 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. ცვიზელი. გერმანია (LIVE).
14:10 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სუპერ-გიგანტი. ჰინტერსტოდერი. ავსტრია (LIVE).
15:55 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. ცვიზელი. გერმანია (LIVE).
20:00 პროფესიული კრივი. გუნდური პირველობა (LIVE).
23:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-იუვენტუსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-ვერდერი (LIVE).
22:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-სან ხოსე (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

21:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-შტუტგარტი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კლასიკა)**

18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-ვერდერი (LIVE).
22:40 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-დენ ჰააგი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. იოჰანესბურგი. სამხრეთ აფრიკა (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

18:55 რუსეთის ჩემპიონატი. უნიქსი-ცსკა (LIVE).
04:30 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლივლენდი-პორტლენდი (LIVE).
07:30 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. გოლდენ სტეიტი-ჩიკაგო (LIVE).

**SPORT+**

15:15 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1/4 ფინალი. რუსეთი-საფრანგეთი (LIVE).
21:20 მძლეოსნობა. საერთაშორისო ტურნირი - SPARKASSEN-CUP. გერმანია (LIVE).
00:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-პსჟ (LIVE).

**EUROSPORT**

13:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. ცვიზელი. გერმანია (LIVE).
14:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სუპერ-გიგანტი. ჰინტერსტოდერი. ავსტრია (LIVE).
15:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები, ქალები. სპრინტი. რიბინსკი. რუსეთი (LIVE).
16:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. ცვიზელი. გერმანია (LIVE).
16:45 სნუკერი. მასტერსი. 1/2 ფინალი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია (LIVE).
22:00 სნუკერი. მასტერსი. 1/2 ფინალი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
23:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. შერეული ესტაფეტა. პრესკ აილი. აშშ (LIVE).
00:45 სნუკერი. მასტერსი. 1/2 ფინალი. ბერლინი. გერმანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

11:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. უნივერსიადა. ქალები. სლალომი. I ცდა. თურქეთი (LIVE).
12:00 ბიატლონი. უნივერსიადა. მას-სტარტი. კაცები. თურქეთი (LIVE).
14:00 სათხილამურო რბოლა. უნივერსიადა. მას-სტარტი. კაცები. ერზურუმი. თურქეთი (LIVE).
15:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. უნივერსიადა. ქალები. სლალომი. II ცდა. თურქეთი (LIVE).
16:00 რაგბი (LIVE).
19:00 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კაცები. XVII ტური. კასტალანა-ფორლი (LIVE).
22:00 ფრისტაილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰალფ-პაიპი. ფინალეი. დირ ველი. აშშ (LIVE).
23:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. X ტური (LIVE).
03:45 ფრისტაილი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პარალელური მოგული. ფინალი. დირ ველი. აშშ (LIVE).

### 6 თებერვალი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

15:30 იტალიის ჩემპიონატი. ბოლონია-კატანია (LIVE).
18:00 იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-მილანი (LIVE).
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ლივერპული (LIVE).
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სოსიედადი (LIVE).
00:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ბორდო (LIVE).

**GMG-სპორტი**

23:45 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა (LIVE).

**მზე**

13:00 იმედის ფსონი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

25:25 იტალიის ჩემპიონატი. ბოლონია-კატანია (LIVE).
17:55 იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ჩეზენა (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სოსიედადი (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ერკულესი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

12:55 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. გიგანტური სლალომი. I ცდა. ჰინტერსტოდერი. ავსტრია (LIVE).
15:55 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ჰინტერსტოდერი. ავსტრია (LIVE).
18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-სანკტ პაული (LIVE).
03:00 ამერიკული ფეხბურთი. სუპერბოული (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

17:25 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. უტრეხტი-ტვენტე (LIVE).
19:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (LIVE).
23:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

21:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-შტუტგარტი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კლასიკა)**

17:25 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. უტრეხტი-ტვენტე (LIVE).
20:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-აინტრახტი (LIVE).
22:55 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტა. პალმეირასი-კორინთიანსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. იოჰანესბურგი. სამხრეთ აფრიკა (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

21:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-ინდიანა (LIVE).

**SPORT+**

14:30 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1/4 ფინალი. რუსეთი-საფრანგეთი (LIVE).
21:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სოსიედადი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ბორდო (LIVE).
03:00 ამერიკული ფეხბურთი. სუპერბოული (LIVE).

**EUROSPORT**

13:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. გიგანტური სლალომი. I ცდა. ჰინტერსტოდერი. ავსტრია (LIVE).
13:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. კაცები. ესტაფეტა 4x10 კმ. რიბინსკი. რუსეთი (LIVE).
16:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ჰინტერსტოდერი. ავსტრია (LIVE).
16:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. გუნდური. ობერსტდორფი. გერმანია (LIVE).
21:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. პრესკ აილი. აშშ (LIVE).
23:00 სნუკერი. მასტერსი. ფინალი. ბერლინი. გერმანია (LIVE).

კვირის ბოლოს



მხტომელების გადაფრენა

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

სამთო-სათხილამურო სპორტი



ლინდსი ვონი

# ვონს ტვინის შერყევა ჰქონია

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ მსოფლიო თასის მოქმედი მფლობელი **ლინდსი ვონი** ერთ-ერთი ბოლო ვარჯიშის დროს ტრასაზე დაეცა და თავი დაარტყა. თავდაპირველად სამედიცინო შემოწმებამ მცირე დაზიანება დააფიქსირა და ამერიკელმა მოთხილამურემ განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მის გამოსვლას საფრთხე არ ემუქრებოდა.

თუმცა გუშინ ცნობილი გახდა, რომ ვონს ტვინის შერყევა აქვს და დღეს სამედიცინო შემოწმება გაარკვევს, შეძლებს თუ არა თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხილამურე მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლას, რომელიც 8-20 თებერვალს გერმანიის კურორტ გარმიშ-პარტენკირხენში გაიმართება.

■ ■ ■

თუ ვონის საკითხი ჯერ გასარკვევია, უკვე დანამდვილებით არის ცნობილი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გამოვა კიდევ ერთი ძლიერი მოთხილამურე, ავსტრიელი **კატრინ ცეტელი**. სუპერკომბინაციაში მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს დღემდე აწუხებს ბარძაყის ტრავმა, რის გამოც ვერ ახერხებს სრული ძალით ვარჯიშს.

24 წლის ცეტელის განცხადებით, ტრავმის გამიზეზების დიდი რისკი არსებობს, ამიტომაც უარს ამბობს წლის მთავარ სტარტში მონაწილეობაზე.

ჩოგბურთი

# ვოზნიაცკი საკმარისი არ არის

როგორც მოგეხსენებათ, ამ კვირას WTA-ის ტურნირები არ იმართება, რადგან ქალი ჩოგბურთელები ფედერაციის თასზე თამაშობენ. ძირითად ჯგუფში მეოთხედფინალური ეტაპი დღეს დაიწყება, მანამდე კი ნაკრებებმა დაბალ ჯგუფებში გაარკვიეს ურთიერთობა.

დანიის ნაკრებმა ევროპა/აფრიკის ზონის A ჯგუფში მსოფლიოს პირველი ჩოგანი **კაროლინ ვოზნიაცკი** დაიხმარა შვეიცარიის დასამარცხებლად, მაგრამ რეიტინგის ლიდერის გუნდში ყოფნა საკმარისი არ აღმოჩნდა ამ ამოცანის გადასაჭრელად. შვეიცარიამ მატჩი 2:1 მოიგო.

თავიდან კორტზე 46-ე ნომერი, შვეიცარიელი **ტიმეა ბაშჩინსკი** და დანიელი **კარენ ბარბატი** (543) გავიდნენ. უფრო გამოცდილმა ბაშჩინსკიმ 6:0, 6:1 გაანადგურა მეტოქე. მეორე მატჩში ვოზნიაცკის არ გასჭირვებია მსოფლიოს ყოფილი მეშვიდე ჩოგანის **პატი შნიდერის** დამარცხება - 6:3, 6:3. ყველაფერი წყვილთა მატჩმა გადაწყვიტა, სადაც ბაშჩინსკიმ და შნიდერმა 6:3, 6:2 მოუგეს ვოზნიაცკისა და **მეი გრეიჯის** (899) დუეტს.

შვეიცარიას ორიდან ორი მოგება აქვს და ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების რეალურია კანდიდატია. შეგახსენებთ, რომ A, B, C და D ჯგუფების გამარჯვებულები 16-17 აპრილს მეორე მსოფლიო ჯგუფის ორ საგზურს გაითამაშებენ.



კარო ნაკრებს ვერ შველის

# მარტში სერენას ვნახავთ



სერენა ხასიათზე მოვიდა

არ დადასტურდა ინფორმაცია ამერიკელი **სერენა უილიამსის** ფეხის ტრავმის გამიზეზების შესახებ. ჩვენ უკვე ვწერდით ამერიკელი ჟურნალისტის ვარაუდზე - თითქოს მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს ძვლის ანთება აქვს, რის გამოც, შესაძლოა, მას ფეხი მოაჭრან.

გუშინ სერენა უილიამსი ჟურნალისტებს შეხვდა და განუცხადა მათ, რომ სულ მალე აპირებს ვარჯიშების განახლებასა და ტურნირებში მონაწილეობას. ამერიკელმა კონკრეტული თარიღიც დაასახელა - ის 8 მარტს საჩვენებელ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. შეჯიბრება ქალაქ პორტლენდში გაიმართება და მასში მონაწილეობას მიიღებენ რუსი **მარია შარაპოვა**, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** და ესპანელი **რაფაელ ნადალი**.

გარდა ამისა, ფედერაციის თასზე ამერიკის ნაკრების კაპიტანმა **მერი ჯო ფერნანდესმა** განაცხადა, რომ უმცროსმა უილიამსმა წინასწარი თანხმობა მისცა აპრილში ნახევარფინალურ მატჩში მონაწილეობაზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ნალბანდიანი სახლში წავიდა

ATP-ის ტურში მიმდინარე ჩემპიონატებზე მეოთხედფინალური ეტაპის მონაწილეები გაირკვა. მიმოხილვა ზაგრების ტურნირით დავიწყოთ, სადაც მეორე წრეს ხორვატი ჩოგბურთელები ასრულებდნენ და ადგილობრივი პუბლიკის გასახარად, მასპინძლებმა მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

**ივან ლუბიჩიჩს** ზაგრებში ერთხელ გაუმარჯვია და ორჯერ ფინალშიც უთამაშია. ვეტერანმა გუშინ იოლად ჩამოიცილა გზიდან **დანიელ ბრანდსი**. ხორვატი საკუთარ მოწოდებაზე თითქმის იდეალურად თამაშობდა. მართალია, 68 წუთის განმავლობაში მხოლოდ 7 ეისი შეასრულა, სამაგიეროდ საკუთარ გეიმებში სულ რაღაც 12 გათამაშება დათმო. გასაკვირი არ არის, რომ ასეთი სცენარით ბრანდსს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია და შესაბამისად, ლუბიჩიჩის დამარცხება შეუძლებელი ჩანდა.

ახლა ივანი მეოთხედფინალში თანამემამულე **ივან დოდიგს** შეხვდება, ასე რომ, ნახევარფინალში ხორვატიას ერთი წარმომადგენელი აუცილებლად ეყოლება. მეორე შეიძლება გახდეს **მარინ ჩილიჩი**, რომელიც დამაჯერებლად მიიწევს ზაგრებში ზედიზედ მესამე გამარჯვებისკენ.

ყველაზე მოულოდნელია ხორვატიის დედაქალაქში **ალექს ბოგომოლოვის** გამოსვლა. ამერიკელმა სტარტი საკვალიფიკაციო ტურნირიდან აიღო და უკვე მეოთხედფინალამდე მიაღწია. ამერიკელმა ძალიან დამაჯერებლად დაამარცხა მეშვიდე ნომრად განთესილი **ფილიპ პეტცშნერი**. გერმანელს დიდი უპირატესობა ჰქონდა ეისების რაოდენობით (შვიდი ერთის წინააღმდეგ), მაგრამ საკუთარ გეიმებში უფრო დამაჯერებლად ამერიკელი გამოიყურებოდა, რომელმაც ერთადერთი ბრეიკ-პოინტი მისცა მეტოქეს და ეს საფრთხე მოიგერია.

ამ დღეს კიდევ ერთი მატჩი იყო დაგეგმილი, მაგრამ ფრანგმა **რიშარ გასკემ** უბრძოლველად გააღწია მეოთხედფინალში, რადგან მისმა თანამემამულემ **არნო კლემანმა** მხარის ტრავმა მოიმიზეზა და კორტზე არ გავიდა.

■ ■ ■

იოჰანესბურგში მაყურებელს ძირითადად საკუთარი ჩოგბურთელების გამო მოუწიათ ნერვიულობამ. ერთმა სამხრეთაფრიკელმა გაამართლა მათი იმედები. კერძოდ, იოჰანესბურგში დაბადებულმა **კევინ ანდერსმა** 69 წუთში მოუგო ისრაელის წარმომადგენელ **დუდი სელას**. მასპინძელმა 13 ეისი ჩააწოდა და საერთოდ, თავის მოწოდებაზე ბრწყინვალედ ითამაშა, გარდა ამისა, ხუთი ბრეიკ-პოინტიდან ოთხი გამოიყენა. ასე რომ, ახალგაზრდა ანდერსონი შეეცდება გააკვირვოს მაყურებელი და საკუთარი თავი და კარიერაში პირველად მოიგოს „დიდი სლემის“ ტურნირი, ოღონდ ამისთვის კიდევ სამი მატჩის მოგება სჭირდება.

სამხრეთ აფრიკის მეორე წარმომადგენელმა - **ფრიც ვოლმარანსმა** კი ორ პარტიაში წააგო თავისი მატჩი **ფრანკ დანჩევიჩთან**, რომელმაც წინა დღეს **ფელისიანო ლოპესი** გამოთიშა ბრძოლას. სხვათა შორის, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ATP-ის ტურნირის მერვედფინალში ერთმანეთის წინააღმდეგ თამაშობდნენ მსოფლიოს რეიტინგის მესამე ასეულის წევრები. ასეთ რამეს იშვიათად შეხვდებით თანამედროვე ჩოგბურთში.

■ ■ ■

სენსაციით დასრულდა მერვედფინალი სანტიაგოში. ამ ეტაპზე ბრძოლა შეწყვიტა მთავარმა ფავორიტმა **დავიდ ნალბანდიანმა**. 29 წლის არგენტინელმა, რომელიც ტურნირზე პირველ ნომრად იყო განთესილი, თითქმის უბრძოლველად ორ პარტიაში წააგო 25 წლის თანამემამულე **ორასიო სებალიოსთან** - 2:6, 5:7. დავიდის მეტოქე კლასიფიკაციაში 108-ე პოზიციას იკავებს.

ნალბანდიანმა მთელი მატჩის განმავლობაში ორი ბრეიკი გააკეთა, მაგრამ ამასთან, ხუთჯერ წააგო საკუთარი მოწოდება. მატჩი საათსა და 19 წუთს გაგრძელდა.

სხვა თამაშები უფრო დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. სამი პარტიის ჩატარება გახდა საჭირო **სანტიაგო ხირალდოსა** და **იგორ ანდრეევის** მატჩში. კოლუმბიელს მთელი შეხვედრის განმავლობაში ერთი ეისიც არ ჩაუწოდებია, მაგრამ იშვიათად ცდებოდა, რუსმა კი ცხრა ორმაგი შეცდომა დაუშვა და მთელი მონდომება ქარს გაატანა. თითქმის თანაბარ თამაშში უფრო მეტად ხირალდოს გაუმართლა და ბრძოლას სწორედ ის აგრძელებს.

მეორე შეხვედრაში **პოტიტო სტარაჩემ** ხუთივე ბრეიკ-პოინტი მოიგერია, რომელიც **პაბლო ანდუხარის** წინააღმდეგ ჰქონდა. შედეგად იტალიელმა მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა და ახლა შეეცდება თავისი მთავარი ოცნების ასრულებას - კარიერაში ATP-ის პირველი ტურნირის მოგებას.

კიდევ ერთი არგენტინელი მოხვდა რვა საუკეთესოს შორის. ეს გახლავთ ვეტერანი **ხუან იგნასიო ჩელა**, რომელმაც ორ სეტში მოუგო **კაიო ზამპიერის**. მატჩში არც ერთი ეისი არ ყოფილა, სამაგიეროდ, უხვად იყო ბრეიკ-პოინტები. მაგალითად, ჩელმამ მეტოქის გეიმის აღების 12 შანსი მიიღო და აქედან ექვსი გამოიყენა. ეს საათნახევრიან მატჩში მოგებისთვის სავსებით საკმარისი აღმოჩნდა. ჩელა სანტიაგოში კარიერაში მეშვიდე ტიტულის მოგებას ლამობს.

**ATP**

**Movistar Open**

სანტიაგო (ჩილე). გრუნტი
**საპრიზო ფონდი**: 398 250 ევრო

**1/8 ფინალი**

**ორასიო სებალიოსი (არგ)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 1) 6:2, 7:5; **სანტიაგო ხირალდო (კოლ, 8)**-იგორ ანდრეევი (რუს) 7:6, 4:6, 6:2; **პოტიტო სტარაჩე (იტა, 5)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 6:4, 6:1; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 4)**-კაიო ზამპიერი (ბრა) 6:2, 6:3.

**PBZ Zagreb Indoors**

ზაგრები (ხორვატია). ხალიჩა
**საპრიზო ფონდი**: 398 250 ევრო

**1/8 ფინალი**

**ალექს ბოგომოლოვი (აშშ)**-ფილიპ პეტცშნერი (გერ, 7) 6:1, 6:2; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 2)**-დანიელ ბრანდსი (გერ) 6:2, 6:3; **ივან დოდიგი (ხორ)**-ილია მარჩენკო (უკრ) 6:2, 6:3; **რიშარ გასკე (საფ)**-არნო კლემანი (საფ) კლემანის უარი.

**SA Tennis Open**

იოჰანესბურგი (ს. აფრიკა). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 442 500 დოლარი

**1/8 ფინალი**

**კევინ ანდერსონი (ს. აფრი, 4)**-დუდი სელა (ისრ) 6:2, 6:4; **ადრიან მანარიო (საფ, 6)**-დენის გრემელმაირი (გერ) 6:7, 6:4, 6:4; **კაროლ ბეკი (სლოვაკ)**-გო სოედა (იაპ) 3:6, 7:5, 6:0; **ფრანკ დანჩევიჩი (კან)**-ფრიც ვოლმარანსი (ს. აფრ) 7:6, 6:3.



დავიდ ნალბანდიანი